- თვისებრივი ინტერვიუები — ჩატარდა ექვსი ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ სამოქალაქო სექტორის, მედიატექნოლოგიებისა და პოლიტიკური ანალიზის ექსპერტებთან ციფრული ჩართულობის შეფასების მიზნით.
- სოციალური მედიის კონტენტ-ანალიზი — შესწავლილ იქნა პოლიტიკურად აქტიური Facebook-ისა და YouTube-ის გვერდები, მომხმარებელთა კომენტარები, დეზინფორმაციული ნარატივების სტრუქტურა და პოლარიზაციის ხელშეწყობი ტენდენციები (ISFED, 2022).

ქრონოლოგიური დიაპაზონი და მიზანი

კვლევა ფარავს 2020 წლის შემდგომ პერიოდს — პერიოდს, რომელიც უკავშირდება COVID-19-ის პანდემიას, საპარლამენტო არჩევნებს და ციფრული პოლიტიკის ინტენსიფიკაციას. პარალელურად განიხილება წინა წლების ტენდენციებიც ციფრული დემოკრატიის ევოლუციის გასაანალიზებლად. ციფრული ჩართულობის ზრდისა და პოლიტიკური ნდობის კლების პარალელური დინამიკა მიუთითებს იმაზე, რომ ტექნოლოგიური პროგრესი არ ნიშნავს დემოკრატიის ავტომატურ გაძლიერებას. პირიქით — როდესაც მოქალაქეები აქტიურნი არიან ციფრულ სივრცეში, მაგრამ უგულვებელყოფენ ინსტიტუტებს, დემოკრატია საფრთხის ქვეშ დგება (Zuboff, 2019).

ციფრული დემოკრატიის თეორიული საფუძვლები და კრიტიკული ინტერპრეტაციები

ციფრული დემოკრატია თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საკამათო თემა გახლავთ. მისი ძირითადი თეორიული პრინციპი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ციფრული ტექნოლოგიების — ინტერნეტის, სოციალური მედიის და სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების — გამოყენება ხელს უწყობს დემოკრატიული მონაწილეობის გაღრმავებას, მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობის ზრდას, რაც საბოლოოდ უწყობს მმართველობის ანგარიშვალდებულების განმტკიცებას. რობერტ დალი, დემოკრატიული თეორიის კლასიკური ავტორი, დემოკრატიას აღიქვამს, როგორც პროცესს, რომელიც მოითხოვს მოქალაქეთა ინფორმირებულობას, ჩართულობას და თანასწორ წვდომას საჯარო დისკუსიაზე. ციფრული ტექნოლოგიები თითქოს აფართოებენ ინფორმაციულ წვდომას, ამარტივებენ პოლიტიკური დებატების სივრცეს და აჩქარებენ მობილიზაციის პროცესებს. თუმცა, თავად დალი სკეპტიკურად უყურებდა უშუალო (direct) დემოკრატიის ტექნოლოგიურ ფორმებს და აღნიშნავდა, რომ ასეთი „მონაწილეობა“ შესაძლოა მხოლოდ ფორმალურად იყოს წარმოდგენილი, მაშინ როცა რეალური გადაწყვეტილებების მიღება კვლავ დახურულ და არადემოკრატიულ სივრცეებში ხდება (Dahl, 1989).

ციფრული დემოკრატიის ოპტიმისტური ხედვები ხაზს უსვამენ ინტერნეტის პოტენციალს დემოკრატიის გასაფართოებლად. დალბერგის მიხედვით, ახალი მედიაგაგვლენიანი პლატფორმები, თუ სწორად იქნება გამოყენებული, ამცირებენ პოლიტიკურ დისტანციას მოქალაქესა და ხელისუფლებას შორის (Dalberg, 2015). ჯენკინსი, ფორდი და გრინი სოციალური მედიის პლატფორმებს განიხილავენ როგორც „მონაწილეობითი კულტურის“ (participatory culture) ნაწილს, რაც აფართოებს დელიბერაციული დემოკრატიის შესაძლებლობებს და აძლიერებს სამოქალაქო ხმას (Jenkins et al., 2016).

თუმცა, ამ ენთუზიაზმს ეწინააღმდეგებიან კრიტიკული თეორეტიკოსები, რომლებიც ციფრული ტექნოლოგიების მხრიდან ძალაუფლების რეპროდუქციასა და კონცენტრაციაზე მიუთითებენ. მანუელ კასტელსი აღნიშნავს, რომ კომუნიკაციის ახალი ქსელები, ფორმალურად დემოკრატიული ფუნქციის მიუხედავად, შესაძლოა გახდეს ცენტრალიზებული ძალაუფლების იარაღი. მისი აზრით, ციფრული კომუნიკაცია სულ უფრო მეტად ექვემდებარება ტექნოლოგიური გიგანტების გავლენას, რომლებიც მონოპოლიზებული ალგორითმების საშუალებით აკონტროლებენ ინფორმაციულ ნაკადს და, შესაბამისად, პოლიტიკურ ჩართულობასაც (Castells, 2011).

კრიტიკული ავტორი ევგენი მოროზოვი ხაზს უსვამს, რომ ციფრული მექანიზმები შესაძლოა გამოყენებული იყოს არა დემოკრატიის გასაძლიერებლად, არამედ მოსახლეობის მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით — განსაკუთრებით ავტორიტარულ რეჟიმებში. მოროზოვის შეფასებით, ინტერნეტი თავისთავად არ არის თავისუფლების გარანტი და მისი დემოკრატიული პოტენციალი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონტროლის მექანიზმებთან (Morozov, 2013).

კას სანშტეინი იკვლევს სოციალურ მედიის ალგორითმების როლს „ფილტრის ბუშტების“ (filter bubbles) წარმოქმნაში, სადაც მოქალაქეები ეცნობიან მხოლოდ მათ შეხედულებებთან თავსებადი ინფორმაციას. ამის შედეგად, პოლიტიკურ დისკურსში იკლებს აზრთა მრავალფეროვნება და იზრდება პოლარიზაცია, რაც დემოკრატიულ პროცესებს საფრთხეს უქმნის. სანშტეინი ხაზს უსვამს, რომ ციფრული პლატფორმების „კონტროლის არქიტექტურები“ ქმნიან ინფრასტრუქტურას, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ინფორმაციულ მრავალფეროვნებას, არამედ თვით დემოკრატიულ მმართველობასაც (Sunstein, 2018).

ციფრული დემოკრატიის თეორიული დებატები ძირითადად ორი პარადიგმის ირგვლივ ვითარდება: ციფრული გაძლიერების (Empowerment) და მონაცემთა ექსპლუატაციის (Exploitation). ერთის მხრივ, ტექნოლოგიები აღქმულია როგორც ინსტრუმენტი მოქალაქეების გაძლიერებისა, რაც უწყობს ხელს უფრო მეტ მობილიზაციას, მრავალმხრივ ჩართულობას და გამჭვირვალობას. მეორეს მხრივ, სწორედ ამ მექანიზმებით ხდება ინფორმაციის მანიპულაცია, საზოგადოებრივი აზრის სტრუქტურირება და პოლიტიკური კონტროლის გაძლიერება. ზუბოფის ხედვით, ციფრული ეპოქა წარმოადგენს „მეთვალყურეობის კაპიტალიზმის“ (surveillance capitalism) სივრცეს, სადაც მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელები მოქალაქეებს არ აღიქვამენ, როგორც აქტიურ პოლიტიკურ სუბიექტებს, არამედ როგორც მონაცემთა რესურსებს, რაც მათი თანხმობის გარეშე ხდება და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ თავისუფლებებსა და პიროვნულ ავტონომიას (Zuboff, 2019).

აღნიშნული თეორიული პანორამა, რომელიც აერთიანებს ოპტიმისტურ და კრიტიკულ პერსპექტივებს, მნიშვნელოვან კონტექსტს ქმნის ტრანზიციული დემოკრატიისთვის, როგორცაა საქართველო. ინსტიტუციური ნდობის კრიზისის პირობებში, სოციალური მედია პლატფორმებზე დაფუძნებული ციფრული მონაწილეობის ფორმები შესაძლოა წარმოშვას როგორც ახალი დემოკრატიული ჩართულობის შესაძლებლობები, ასევე პოლიტიკური აქტივობის იმიტაციის რისკები.

დეზინფორმაცია და დემოკრატიული პროცესების დეგრადაცია

ციფრული მედიის პოპულარობამ არსებითად შეცვალა პოლიტიკური ინფორმაციის მიღების, გავრცელებისა და ინტერპრეტაციის ფორმები. თუმცა, ამავე პროცესთან ერთად, მზარდი საფრთხეები წარმოიშვა, რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანია დეზინფორმაციის ზრდა და მისი ზემოქმედება დემოკრატიული პროცესების დეგრადაციაზე (Wardle & Derakhshan, 2017).

თანამედროვე საინფორმაციო ეკოსისტემაში სოციალური მედიის პლატფორმები — განსაკუთრებით Facebook და YouTube — დეზინფორმაციული კამპანიების მთავარი არხებად იქცა (Allcott & Gentzkow, 2017). აღნიშნული კამპანიები არ შემოიფარგლება მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელებით; ისინი სისტემატურად უწყობენ ხელს მოქალაქეთა ნდობის შერყევას დემოკრატიული ინსტიტუტების — მათ შორის პოლიტიკური პარტიებისა და

საარჩევნო მექანიზმების — მიმართ, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიული მმართველობის სტაბილურობას.

„ჩვენ ვხედავთ კარგად ორგანიზებულ კამპანიებს, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობენ პოლიტიკური პროცესის დისკრედიტაციას. მაგალითად, 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს Facebook-ზე გამოჩნდა ათობით გვერდი, რომელიც მიზანმიმართულად ავრცელებდა ყალბ სიახლეებს და პოლარიზებულ მესიჯებს“

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ანალიტიკოსი, ინტერვიუ, 2024 წ.

დეზინფორმაციული შეტევები იწვევს ე.წ. „კოგნიტიური დაღლილობის“ ეფექტს, რაც ართულებს მოქალაქეთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და ზრდის პოლიტიკურ აპათიას (Bawden & Robinson, 2009). სოციალური მედიის ალგორითმები ამლიერებენ ემოციური შინაარსის ტირაჟირებას, რომელიც ხშირად არაა კრიტიკულად ანალიზებული ან დაფუძნებული სანდო წყაროებზე. შედეგად, ონლაინ სივრცე ხდება რეალობის მანიპულაციისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაფანტვის იარაღი (Sunstein, 2018).

საქართველოში ახალგაზრდობა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ჯგუფია ციფრული აქტივიზმის თვალსაზრისით. ბოლო წლებში გაიზარდა სოციალური ქსელების გამოყენება პოლიტიკურ პროცესებში ჩასართავად — იქნება ეს ე.წ. ჰეშთეგ კამპანიები (#), ელექტრონული პეტიციების გავრცელება თუ ონლაინ პროტესტების ორგანიზება. თუმცა, ამ ჩართულობის პარალელურად იზრდება ინსტიტუციური უნდობლობა, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიის მდგრადობას (CRRC, 2022). საინფორმაციო ბაზლების ფარგლებში მოქალაქეთა მიღებული ინფორმაცია ხშირად წარმოადგენს მხოლოდ მათი შეხედულებების დამადასტურებელ ნარატივს, რაც ამცირებს მედია პლურალიზმს და ართულებს კრიტიკულ დისკუსიას.

CRRC-ის 2022 წლის მონაცემებით, მოქალაქეთა მხოლოდ 21% ენდობა პოლიტიკურ პარტიებს, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის 60%-ზე მეტი ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ონლაინ-პეტიციებსა და კამპანიებში (CRRC, 2022). ამ პარადოქსის მიზეზად მიიჩნევა განცდა, რომ ციფრული აქტივობა რეალურ ცვლილებებს ვერ იწვევს. როგორც ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა:

„აქტივიზმის ფორმა გადადის კლავიშებზე, მაგრამ რეალური გავლენა კვლავ რჩება ელიტური ძალების ხელში. მოქალაქეებს ნაკლებად აქვთ განცდა, რომ მათი ციფრული აქტივობა რეალურ ცვლილებას იწვევს“

ინტერვიუ, 2024 წ. აპრილი

პოლიტიკური პარტიების ციფრული კომუნიკაციის ანალიზი აჩვენებს, რომ მათი მესიჯები იშვიათად ეფუძნება დისკურსულ დიალოგს ან მოქალაქეთა ჩართულობის წახალისებას. ხშირად გამოიყენება ემოციური აპელაციები და ბინარული ნარატივი, რაც პოლარიზაციის გაღრმავებას უწყობს ხელს. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მითები, ნაციონალისტური დისკურსი და შეთქმულების თეორიები, რომლებიც ამლიერებენ უნდობლობას როგორც პროევროპულ, ასევე პრორუსულ ძალებს შორის (Mitchell et al., 2020).

ციფრული ჩართულობის გააქტიურება საჭიროებს საფუძვლიან ანალიზს იმ საფრთხეებისა და ბარიერების გათვალისწინებით, რომლებიც დემოკრატიული პროცესის იმიტაციას ქმნის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მედიაწიგნიერების გაძლიერებას, ალგორითმული გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და ონლაინ-პლატფორმების რეგულირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ციფრული გარემო შესაძლოა იქცეს მხოლოდ იმიტაციურ პლატფორმად, სადაც მოქალაქეთა ჩართულობა ნაკლებად ექვევება ზემოქმედების პოზიციას და პირიქით — პოლიტიკური დეზორიენტაციის ინსტრუმენტად (Napoli, 2019).

საქართველოში ციფრული დემოკრატიის პროცესს თან ახლავს ორმხრივი დინამიკა: ერთი მხრივ, ხელმისაწვდომი გახდა მეტი ინფორმაცია და აზრის გამოხატვის თავისუფლება, მეორე მხრივ კი — გაიზარდა დეზინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობები და პოლიტიკურ უნდობლობასთან დაკავშირებული პრობლემები (Freedom House, 2023).

პოლიტიკური ნდობის სტრუქტურა ციფრულ ეპოქაში: დეზინფორმაციისა და პოლარიზაციის გავლენა

პოლიტიკური ნდობა დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების ერთ-ერთი ბირთვული კომპონენტია, რომელიც განსაზღვრავს როგორც ინსტიტუციური ლეგიტიმაციის ხარისხს, ისე მოქალაქეთა ჩართულობის დონეს (Levi & Stoker, 2000). ნდობის სერიოზული ეროზია შესაძლოა დემოკრატიული პროცესების ლეგიტიმურობასა და მდგრადობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს (Newton, 2001).

საქართველოს შემთხვევაში, ბოლო წლებში პოლიტიკური ნდობის კრიზისი განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოიკვეთა, რაც გამოხატულია როგორც ფორმალურ ინსტიტუტებზე უნდობლობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოლიტიკური აპათიის ზრდით (CRRC, 2023). კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ენდობა ძირითად პოლიტიკურ ინსტიტუტებს. მაგალითად, 2023 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მხოლოდ 33% მიიჩნევს, რომ პარლამენტი რეალურად იღებს მათ პრობლემებს განსახილველად, ხოლო 51% არ ენდობა არც ერთ ტელეარხს (CRRC, 2023). პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის დინამიკა კიდევ უფრო საგანგაშოა: 2012-2017 წლებში მათი მხარდაჭერა 21%-დან 8%-მდე შემცირდა, რაც პირდაპირ კავშირშია როგორც არჩევნებში მონაწილეობის, ისე მოხალისეობრივი და აქტივისტური ქცევის კლებასთან (Freedom House, 2023).

დეზინფორმაციისა და პოპულისტური რიტორიკის გავრცელება მნიშვნელოვანი კატალიზატორია ნდობის ეროზიის პროცესში. თანამედროვე მედიაგარემოში, სადაც მოქალაქეები ინფორმაციის დიდ ნაწილს სოციალური მედიის საშუალებით იღებენ, არასანდო და მიზანმიმართულად მანიპულაციური შინაარსი ზრდის სკეპტიციზმს და ასუსტებს საზოგადოებრივ თანხმობას (Vaccari & Chadwick, 2020). ინტერნეტში ინფორმაციის ალტერნატიული წყაროების ძიება, რაც ზოგჯერ მიიჩნევა კრიტიკული აზროვნების გამოვლენად, დეზინფორმაციის მაღალი გავრცელების პირობებში ხშირად უკუეფექტს იწვევს და ამყარებს უნდობლობის ნარატივებს (Benkler et al., 2018).

გლობალური ტენდენციების მსგავსად, საქართველოშიც ციფრული გარემო მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ პოლარიზაციას. Freedom House-ის (2023) შეფასებით, სოციალურ მედიაში პოლარიზებული დისკურსის გაძლიერება უშლის ხელს დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებების კონსოლიდაციას. პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დემონიზაცია, შეთქმულების თეორიების გავრცელება და მიკრო-ტარგეტირებული დეზინფორმაციული კამპანიები მნიშვნელოვნად ამცირებს საზოგადოებრივ ნდობას და აფერხებს რაციონალურ დებატებს (Freedom House, 2023).

ერთ-ერთი განსაკუთრებული გამოწვევა საქართველოში ეროვნული უმცირესობების მიმართ მიზანმიმართული დეზინფორმაციაა, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკურ დაპირისპირებასა და სოციალური დაყოფის გაღრმავებას. მსგავსი კამპანიები არა მხოლოდ ინსტიტუციურ ნდობას აზიანებს, არამედ საფრთხეს უქმნის სოციალური თანაარსებობის ფუნდამენტურ პრინციპებს. საზოგადოებრივი რეზისტენტობის ზრდის მიზნით, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორი აქტიურად მუშაობს საპასუხო მექანიზმების განვითარებაზე. ეს მოიცავს მედია ეთიკის კოდექსების შემუშავებას, ფაქტ-ჩეკინგ პლატფორმების მხარდაჭერასა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას (Transparency International Georgia, 2023). მიუხედავად ამისა, სისტემური ცვლილებების მიღწევა საჭიროებს როგორც პოლიტიკური ნების გაძლიერებას, ისე მოსახლეობის მედია-კომპეტენციის ამაღლებას, რათა მოქალაქეებმა შეძლონ ინფორმაციის კრიტიკული შეფასება და დემოკრატიულ პროცესებში ინფორმირებული მონაწილეობა (McQuail, 2010).

ციფრული პლატფორმების გავლენა პოლიტიკურ ნდობაზე და სამოქალაქო ჩართულობის ციფრული ფორმები საქართველოში

ციფრული ტექნოლოგიების მზარდი გავლენა თანამედროვე დემოკრატიულ გარემოზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ნდობის ტრადიციული მექანიზმები მყიდვია (Norris, 2011). საქართველოში ბოლო წლებში ციფრულ მედიასაშუალებებს

მნიშვნელოვანი როლი ერგოთ როგორც პოლიტიკური ინფორმირების, ისე სამოქალაქო მობილიზაციის პროცესში (CRRC, 2023). თუმცა, პარალელურად, სოციალურ ქსელებში დეზინფორმაციისა და პოლიტიკური პოლარიზაციის ზრდამ გააძლიერა მოქალაქეთა უნდობლობა ინსტიტუციური სისტემის მიმართ (Freedom House, 2023).

კვლევების მონაცემებით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკურად ინფორმირდება სოციალური მედიის საშუალებით, რაც ცვლის ტრადიციული მედიის როლს (Pew Research Center, 2022). თუმცა, შინაარსობრივი პოლარიზაცია, არასწორი ინფორმაციის გავრცელება და მიზანმიმართული მანიპულაციები ხშირად აფერხებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ მონაწილეობას (Vaccari & Chadwick, 2020). ეს განსაკუთრებით გამოხატულია ახალგაზრდებში, რომლებიც აქტიურად იყენებენ ციფრულ პლატფორმებს, თუმცა იმავდროულად გამოხატავენ უკმაყოფილებას პოლიტიკური სისტემის მიმართ და არ ენდობიან პოლიტიკურ ინსტიტუტებს (CRRC, 2023).

ციფრული ჩართულობის ფორმები საქართველოში ძირითადად მოიცავს შემდეგ პრაქტიკებს: სოციალური მედიის კამპანიები, ონლაინ პეტიციები, ციფრული სამოქალაქო ინიციატივები (მაგალითად, „manifest.ge“) და თემატური Facebook-ჯგუფები (Georgia's Civic Education Association, 2022).

ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 2021 წელს ჩატარებული ციფრული კამპანია – „გადავარჩინოთ ჩვენი ადამიანები“, რომელიც მიმართული იყო მიგრანტი მუშახელის პრობლემების ადვოკატირებისკენ. მიუხედავად მობილიზაციის მაღალი დონისა, კამპანიამ მხოლოდ შეზღუდული ინსტიტუციური გამოხმაურება მიიღო, რაც ასახავს ციფრული ჩართულობის შედეგიანობის სისტემურ დაბრკოლებებს

ინტერვიუ, 2022 წ. დეკემბერი

მსგავსი მაგალითები მიუთითებს, რომ ციფრული აქტივიზმი ხშირად ვლინდება როგორც სოციალური პროტესტის სიმბოლური გამოხატულება და არა როგორც პოლიტიკური პროცესების რეალური ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი (Tufekci, 2017). შესაბამისად, მნიშვნელოვანია განსხვავება ფორმალურ და ფაქტობრივ ჩართულობას შორის — აქტიურობისა და მისი ზემოქმედების ხარისხს შორის (Loader & Mercea, 2011).

ციფრული ჩართულობის ეფექტიანობას საქართველოში რამდენიმე ძირითადი ფაქტორი ზღუდავს:

- დეზინფორმაცია და პოლიტიზებული მედია: ციფრულ მედიაში ინფორმაცია ხშირად მიკერძოებულია და პარტიულ ინტერესებზეა მორგებული, რაც ართულებს ობიექტურ ნავიგაციას და აზიანებს ნდობას (Benkler et al., 2018).

- ციფრული უთანასწორობა: ინტერნეტზე წვდომა და ციფრული კომპეტენცია მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონებსა და სოციალურ ფენებს შორის. მაგალითად, სოფლად მცხოვრებთა ინტერნეტზე წვდომა ბევრად დაბალია, რაც ზღუდავს მათ სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობას (National Statistics Office of Georgia, 2022).

- კიბერუსაფრთხოების დაბალი დონე: პირადი ინფორმაციის გაჟონვის შიშის გამო მოქალაქეები ხშირად თავს არიდებენ ონლაინ აქტივობებს, განსაკუთრებით პეტიციებში მონაწილეობას (Transparency International Georgia, 2023).

- ინსტიტუციური ინერტულობა: ონლაინ პეტიციები და კამპანიები იშვიათად გარდაიქმნება პრაქტიკულ პოლიტიკურ ქმედებად. მთავრობის და საჯარო უწყებების გვერდის ავლა ზრდის პოლიტიკური აპათიის რისკს და ქმნის განცდას, რომ ციფრული ჩართულობა რეალურ გავლენას ვერ ახდენს (CRRC, 2023).

მიუხედავად ამ სირთულეების, ციფრული სივრცე საქართველოში ინარჩუნებს პოტენციალსახალი პოლიტიკური მონაწილეობის მექანიზმად. ამისთვის საჭიროა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და დემოკრატიული კულტურის გაძლიერება, რომელიც ეფუძნება ნდობას, ანგარიშვალდებულებას და მონაწილეობის პრინციპებს (Diamond & Plattner, 2016).

ციფრული დემოკრატიის პარადოქსი საქართველოში: სამოქალაქო ჩართულობა, პოლიტიკური ნდობა და ტრიანგულაციური კვლევის ანალიტიკა

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ არსებითად გარდაქმნა სამოქალაქო ჩართულობისა და პოლიტიკური მონაწილეობის ტრადიციული ფორმები. თუმცა, ამავე დროს, შექმნა ახალი გამოწვევები, რაც თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში აღიარებულია როგორც „ციფრული დემოკრატიის პარადოქსი“ (Coleman & Blumler, 2019). აღნიშნული პარადოქსი გულისხმობს, რომ მიუხედავად ციფრული სივრცის მიერ შეთავაზებული ფორმალური მონაწილეობის შესაძლებლობებისა, რეალურ პოლიტიკურ პროცესებში ეფექტური ჩართულობა და ინსტიტუციური ნდობა ხშირად დაბალია. ეს ვითარება განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოში, სადაც ბოლო წლების პოლიტიკური დინამიკა და სოციალური მობილიზაცია სწორედ ციფრულ სივრცეში იძენს ძალას, თუმცა მისი ტრანსფორმაციული შედეგიანობა კვლავ შეზღუდულია (NDI, 2023).

პოლიტიკური ნდობის დეფიციტი: რაოდენობრივი მონაცემები და ისტორიული ტენდენციების ანალიზი

2023 წლის NDI-ის მონაცემებით, მხოლოდ 18% საქართველოს მოქალაქე ენდობა პოლიტიკურ პარტიებს, ხოლო პარლამენტისადმი ნდობა 20%-ზე ნაკლებია. მსგავსი მაჩვენებლები რეგულარულად მეორდება წინა წლების კვლევებშიც, რაც ადასტურებს სახელმწიფოს ინსტიტუტებისადმი ქრონიკულად დაბალ ნდობას (NDI, 2023). პოლიტიკური ნდობის დეფიციტი განპირობებულია როგორც ინსტიტუციური წარსულით, ასევე პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობის მექანიზმების სიმწირითა და ანგარიშვალდებულების დაბალი მაჩვენებლით (Freedom House, 2022).

თანამედროვე პოლიტიკური ქცევის ტენდენციები

თანამედროვე პოლიტიკური ქცევა ასახავს ციფრულ სივრცეში მოქალაქეობის, ჩართულობისა და იდენტობის ტრანსფორმაციას. თვალსაჩინოა პირადი დემოკრატიის კონცეფციის დინამიკა, როდესაც მოქალაქეები თანდათან ეშვებიან კოლექტიური პოლიტიკური მონაწილეობის ტრადიციულ ფორმებს (მაგალითად, პარტიული მობილიზაცია ან პროტესტი) და უპირატესობას ანიჭებენ ინდივიდუალურ თვითგამოხატვის ციფრულ პრაქტიკებს — პოლიტიკური აზრის გამოხატვას სოციალურ მედიაში, ვიზუალური შინაარსის გაზიარებას ან სიმბოლური სოლიდარობის გამოხატვას ონლაინ სივრცეში (Bennett & Segerberg, 2012). აღნიშნული მიდგომა მიუთითებს, რომ დემოკრატიული ჩართულობა დღეს უფრო მეტად ინდივიდუალიზებულია, რაც იწვევს როგორც ახალი შესაძლებლობების გამოჩენას, ასევე დეზინტეგრაციისა და ფრაგმენტაციის საფრთხეებს.

ციფრული მობილიზაციის პარადოქსი: აქტივიზმი და შედეგიანობა

სოციალური მედიის როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა 2023 წლის მარტში, ე.წ. „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის საწინააღმდეგო მობილიზაციაში, რომელიც ძირითადად ციფრულ სივრცეში დაიგეგმა და გავრცელდა. როგორც ერთ-ერთი აქტივისტი აღნიშნავს: „სოციალური ქსელები მოქმედების კატალიზატორად იქცა, თუმცა შედეგიანობა მაინც ქუჩაში გასვლაზე და საერთაშორისო ზეწოლაზე დამოკიდებული“ (აქტივისტი, 2023). თუმცა, მსგავსი მობილიზაციები ხშირად ემოციური, სპონტანური და არამდგრადია. ბენეტი და სეგერბერგი განმარტავენ, რომ ციფრულ აქტივიზმს ახასიათებს „კავშირგაბმულობით მოქმედების ლოგიკა“, რაც განსხვავდება ტრადიციული კოლექტიური ორგანიზების სტრატეგიებისგან და ნაკლებად უზრუნველყოფს სტრუქტურულ ზეგავლენას (Bennett & Segerberg, 2012).

პოლიტიკური კომუნიკაციის ციფრული დინამიკა: დისკურსული პოლარიზაცია

პოლიტიკური კომუნიკაციის შინაარსობრივი ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია სამი ძირითადი პარტიის (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, სტრატეგია აღმაშენებელი) Facebook გვერდებზე 2022–2024 წლებში გამოქვეყნებულ 500-ზე მეტ პოსტზე, ცხადყოფს, რომ:

- შინაარსი ძლიერ პოლარიზებულია;

- პრაქტიკულად არ განიხილება კონკრეტული პოლიტიკის შეთავაზებები (მაგალითად, განათლება, სოციალური პოლიტიკა);

- ძირითადი აქცენტი კეთდება ოპონენტების დისკრედიტაციაზე და ემოციურ დაპირისპირებაზე (თბილისის პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2024).

როგორც ერთ-ერთი ინტერვიუერი აღნიშნავს: „პოლიტიკური კომუნიკაცია ონლაინ სივრცეში ემსახურება იდენტობის პოლარიზაციას და არა ჩართულობის გაზრდას. მომხმარებელი უფრო მხარდამჭერია, ვიდრე კრიტიკული მოქალაქე“ (ინტერვიუ, 2023).

ციფრული პლატფორმების ინსტიტუციური მხარდაჭერის დეფიციტი

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ შექმნილია რამდენიმე ელექტრონული სერვისი (მაგალითად, my.gov.ge, ichange.gov.ge), მოქალაქეთა ინიციატივებზე ინსტიტუციური რეაგირება იშვიათია. ISFED-ის 2022 წლის მონაცემებით: „დემოკრატიული ინიციატივების ონლაინ პლატფორმებზე გამოხატული მხარდაჭერის მიუხედავად, პოლიტიკის შემქმნელთა რეაგირება მინიმალურია — პროცედურები გაუმჭვირვალე და ხშირად ფორმალურია“ (ISFED, 2022). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს კოულმენის და ბლუმლერის პოზიციას, რომ ციფრული დემოკრატია არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის კონტექსტში — მის ეფექტიანობას განსაზღვრავს კულტურული და ინსტიტუციური კონტექსტი (Coleman & Blumler, 2019).

ინფორმაციული ბუშტები და მიკრომიზანობრივი პოლარიზაცია

ციფრული მედიის მომხმარებლები ხშირად მოქმედებენ ინფორმაციულ ბუშტებში (echo chambers), სადაც განსხვავებული აზრი იშვიათად იჭრება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა TikTok და YouTube პლატფორმებზე, სადაც ვრცელდება კონსპირაციული ნარატივები და პოლიტიკურად მიკერძოებული ინფორმაცია (მეორეა, 2024). მედია ექსპერტი აღნიშნავს: „სოციალური მედია აღარ არის მხოლოდ სივრცე მონაწილეობისთვის — ის გახდა ბრძოლის ველი, სადაც ნდობა იშლება“ (მედია ექსპერტი, 2023). მოროზოვი ამას უწოდებს „ტექნო-ოპტიმიზმის ილუზიას“ — რწმენას, რომ ტექნოლოგიების არსებობა თავისთავად უზრუნველყოფს დემოკრატიის გაძლიერებას, რაც რეალობაში ხშირად არ დადასტურდება (Morozov, 2011).

დასკვნა

ტრიანგულაციური ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ციფრული დემოკრატია მოქცეულია დინამიურ და წინააღმდეგობრივ ველში: ერთი მხრივ, ის ქმნის ახალ შესაძლებლობებს სამოქალაქო თვითგამოხატვისა და ინფორმირებისათვის; მეორე მხრივ, ამ პროცესების ინსტიტუციური გარდაქმნა შეფერხებულია დაბალი ნდობის, პოლიტიკური პოლარიზაციის, ციფრული უთანასწორობისა და სახელმწიფოს გაუმჭვირვალე რეაგირების ფონზე. მოსახლეობის მიერ გამოხატული ციფრული აქტივიზმი ჯერ კიდევ ვერ გარდაიქმნა მყარი და სტრუქტურირებული სამოქალაქო ჩართულობის ფორმად. შესაბამისად, საჭიროა არა მხოლოდ ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობის გაფართოება, არამედ დემოკრატიული კულტურის, მედიაწიგნიერების და ინსტიტუციური პასუხისმგებლობის პარალელური განვითარება (NDI, 2023; ISFED, 2022).

ციფრული ტექნოლოგიები ააძლიერებენ სამოქალაქო აქტივობას და ხდება ინსტრუმენტი საჯარო პოლიტიკის პროცესებში მონაწილეობისთვის, თუმცა პარალელურად ქმნიან პოლიტიკურ ნდობაზე ზემოქმედების წინააღმდეგობებს და ზრდიან უნდობლობის ფაქტორებს.

სოციალური მედიის პლატფორმებზე დეზინფორმაციის სწრაფი გავრცელება და დახურული საინფორმაციო გარემოები მნიშვნელოვნად ამძიმებს საზოგადოებრივ დისკურსს და დემოკრატიულ პროცესებს.

მიუხედავად ციფრული სივრცის გაფართოებისა, მოქალაქეთა ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ რჩება დაბალი, რაც იწვევს პოლიტიკურ პასიურობას და ნიჰილიზმს;

ციფრული დემოკრატიის მდგრადი განვითარებისთვის საჭიროა ტექნოლოგიური განვითარების გაძლიერება, ინკლუზიური პოლიტიკის, გამჭვირვალეობისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა;

ციფრული დემოკრატიის პარადოქსის დეტალური კვლევა მოითხოვს ახალი მეთოდების დანერგვას და მასშტაბური მონაცემების სისტემატიზაციას, განსაკუთრებით საქართველოს სპეციფიკურ პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა

CRRC საქართველო. (2022). მოსახლეობის პოლიტიკური განწყობები და ციფრული ჩართულობის კვლევები საქართველოში.

CRRC საქართველო. CRRC საქართველო. (2023). მოსახლეობის პოლიტიკური განწყობები და ციფრული ჩართულობის კვლევები საქართველოში. CRRC საქართველო.

CTC – ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი. (2022). ციფრული ტრანსფორმაცია და სამოქალაქო ჩართულობა საქართველოში. CTC.

Georgia's Civic Education Association. (2022). ციფრული სამოქალაქო ინიციატივები საქართველოში.

ISFED – თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის საერთაშორისო საზოგადოება. (2022). სოციალური მედიის მონიტორინგის ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. ISFED.

NDI – ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი. (2020–2023). საქართველოს მოსახლეობის განწყობების კვლევა. NDI.

NDI – ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი. (2023). საქართველოს მოსახლეობის განწყობების კვლევა. NDI.

National Statistics Office of Georgia. (2022). ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

Social Justice Center. (2022). დემოკრატიული მონაწილეობა და პოლიტიკური ნდობა საქართველოში. Social Justice Center.

Transparency International Georgia. (2023). ანგარიში დეზინფორმაციისა და მედია-გარემოს შესახებ.

თბილისის პოლიტიკის კვლევის ცენტრი. (2024). პოლიტიკური პარტიების ციფრული კომუნიკაციის ანალიზი.

Allcott, H., & Gentzkow, M. (2017). Social media and fake news in the 2016 election. *Journal of Economic Perspectives*, 31(2), 211–236. <https://doi.org/10.1257/jep.31.2.211>

Bawden, D., & Robinson, L. (2009). The dark side of information: Overload, anxiety and other paradoxes and pathologies. *Journal of Information Science*, 35(2), 180–191. <https://doi.org/10.1177/0165551508095781>

Benkler, Y., Faris, R., & Roberts, H. (2018). *Network propaganda: Manipulation, disinformation, and radicalization in American politics*. Oxford University Press. Bennett, W. L., & Segerberg, A. (2012). The logic of connective action: Digital media and the personalization of contentious politics. *Journal of Communication*, 62(5), 739–768. <https://doi.org/10.1111/j.1460-2466.2012.01631.x>

Castells, M. (2011). *The rise of the network society* (2nd ed.). Wiley-Blackwell.

Coleman, S., & Blumler, J. G. (2019). *The internet and democratic citizenship: Theory, practice and policy*. Cambridge University Press.

Creswell, J. W., & Plano Clark, V. L. (2011). *Designing and conducting mixed methods research* (2nd ed.). SAGE Publications.

Dahl, R. A. (1989). *Democracy and its critics*. Yale University Press.

Dalberg, T. (2015). *The global impact of digital democracy*. Dalberg.

Diamond, L., & Plattner, M. F. (Eds.). (2016). *Democracy in decline?* Johns Hopkins University Press. Freedom House. (2022). *Freedom on the net 2022*. <https://freedomhouse.org> [უკანასკნელი გადამოწმება: 05.08.2025].

Freedom House. (2023). *Freedom on the net 2023*. <https://freedomhouse.org> [უკანასკნელი გადამოწმება: 05.08.2025].

Freedom House. (2023). Nations in transit 2023: Georgia country report. <https://freedomhouse.org> [უკანასკნელი გადამოწმება: 05.08.2025].

Jenkins, H., Ford, S., & Green, J. (2016). *Spreadable media: Creating value and meaning in a networked culture*. New York University Press.

Levi, M., & Stoker, L. (2000). Political trust and trustworthiness. *Annual Review of Political Science*, 3, 475–507. <https://doi.org/10.1146/annurev.polisci.3.1.475>

Loader, B. D., & Mercea, D. (Eds.). (2011). *Social media and democracy: Innovations in participatory politics*. Routledge.

McQuail, D. (2010). *McQuail's mass communication theory* (6th ed.). SAGE Publications.

Mitchell, A., Jurkowitz, M., Oliphant, J. B., & Shearer, E. (2020). Americans who mainly get their news on social media are less engaged, less knowledgeable. Pew Research Center. <https://www.pewresearch.org> [უკანასკნელი გადამოწმება: 05.08.2025].

Morozov, E. (2011). *The net delusion: The dark side of internet freedom*. PublicAffairs. Morozov, E. (2013). *To save everything, click here: The folly of technological solutionism*. PublicAffairs.

Napoli, P. M. (2019). *Social media and the public interest: Media regulation in the disinformation age*. Columbia University Press. Newton, K. (2001). Trust, social capital, civil society, and democracy. *International Political Science Review*, 22(2), 201–214. <https://doi.org/10.1177/0192512101222004>

Norris, P. (2011). *Democratic deficit: Critical citizens revisited*. Cambridge University Press. Pew Research Center. (2022). *Social media and politics: A global perspective*. <https://www.pewresearch.org> [უკანასკნელი გადამოწმება: 03.06.2025].

Sunstein, C. R. (2018). *#Republic: Divided democracy in the age of social media*. Princeton University Press.

Tufekci, Z. (2017). *Twitter and tear gas: The power and fragility of networked protest*. Yale University Press.

Vaccari, C., & Chadwick, A. (2020). The challenge of online political misinformation in established democracies. *The International Journal of Press/Politics*, 25(3), 517–538. <https://doi.org/10.1177/1940161219900126>


Wardle, C., & Derakhshan, H. (2017). *Information disorder: Toward an interdisciplinary framework for research and policymaking*. Council of Europe. <https://rm.coe.int/information-disorder-report/1680764666> [უკანასკნელი გადამოწმება: 05.07.2025].

Zuboff, S. (2019). *The age of surveillance capitalism: The fight for a human future at the new frontier of power*. PublicAffairs.



ყბა-სახის ქირურგიულ სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის
შეფასება საქართველოში

Assessment of population access to maxillofacial surgical services in Georgia

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.09>

ალეკო სოფრომაძე¹, ნატა ყაზახაშვილი^{1a}, ნიკა სოხაძე²

Aleko Sopromadze¹, Nata Kazakhashvili^{1a}, Nika Sokhadze²

¹ მედიცინის ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

² მედიცინის ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ Faculty of Medicine, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

² Faculty of Medicine, Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

^a Correspondence: nata.kazakhashvili@gmail.com  <https://orcid.org/0000-0001-9795-4078>

აბსტრაქტი

შესავალი: ყბა-სახის ქირურგიული სერვისები მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის, ასევე რეგიონებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაში. საქართველოში სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის პაციენტებისთვის. **მეთოდოლოგია:** ჩატარდა რაოდენობრივი ანალიზი, რომელიც ეფუძნებოდა ჯანდაცვის სპეციალისტებისა და პაციენტების ინტერვიუებს, ასევე არსებული სტატისტიკური მონაცემების შესწავლას. კვლევის მიზანი იყო სერვისების ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. **შედეგები:** კვლევამ აჩვენა, რომ სერვისებზე წვდომა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მოსახლეობის უკმაყოფილება უკავშირდება ფინანსურ ბარიერებს, კვალიფიციური სპეციალისტების სიმცირეს, მოძველებულ ტექნოლოგიებსა და მომსახურების არასათანადო

ხარისხს. ყველაზე კრიტიკული სიტუაცია დაფიქსირდა გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, მაშინ როცა შედარებით უკეთესი მდგომარეობა შეინიშნება თბილისსა და იმერეთში. რეგიონული დისბალანსის გამო ხშირია პაციენტების სხვა რეგიონებში გადამისამართება. **დისკუსია:** მიღებული მიგნებები მიუთითებს, რომ რეგიონული უთანასწორობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პაციენტთა კმაყოფილებასა და მომსახურების ეფექტიანობაზე. ტურისტულ ზონებში მოთხოვნის ზრდა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს სერვისების გაუმჯობესების აუცილებლობას. **დასკვნა:** ყბა-სახის ქირურგიული სერვისების გაუმჯობესებისთვის საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, სპეციალისტთა უწყვეტი პროფესიული განვითარება და რეგიონებში თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ეს ნაბიჯები ხელს შეუწყობს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ასევე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: ყბა-სახის ქირურგიული სერვისები, ხელმისაწვდომობა, პაციენტთა კმაყოფილება, სამედიცინო ხარისხი

რეკომენდირებული ციტირება: სოფრომაძე, ა., ყაზახაშვილი, ნ., სოხაძე, ნ. (2025). ყბა-სახის ქირურგიულ სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შეფასება საქართველოში. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.09>.

Abstract

Introduction: Maxillofacial surgical services play a crucial role not only in safeguarding public health but also in promoting tourism development in different regions. In Georgia, the accessibility and quality of these services vary significantly across regions, creating serious challenges for patients. **Methodology:** A quantitative analysis was conducted based on interviews with healthcare specialists and patients, as well as a review of available statistical data. The aim of the study was to assess accessibility, quality, and patient satisfaction with maxillofacial surgical services across various regions of Georgia. **Results:** The findings revealed that access to services remains one of the most pressing issues. Public dissatisfaction is primarily associated with financial barriers, a shortage of qualified specialists, outdated technologies, and inadequate service quality. The most critical situation was observed in Guria and Racha-Lechkhumi-Lower Svaneti, whereas relatively better conditions were noted in Tbilisi and Imereti. Due to regional imbalances, patients are frequently referred to other regions for treatment. **Discussion:** The results indicate that regional disparities have a significant impact on patient satisfaction and service effectiveness. The growing demand in tourist areas further underscores the urgent need for service improvement. **Conclusion:** To enhance maxillofacial surgical services, it is essential to introduce modern technologies, ensure continuous professional development of specialists, and guarantee equal access across regions. These measures will contribute both to improving population health and strengthening the country's tourism potential.

Keywords: Maxillofacial surgical services, accessibility, patient satisfaction, medical quality.

Recommended Citation: Sopromadze, A., Kazakhashvili, N., Sokhadze, N. (2025). Assessment of population access to maxillofacial surgical services in Georgia. *Health Policy, Economics and Sociology*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.09>

შესავალი

ჯანმრთელობის დაცვა თანამედროვე სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი არა მხოლოდ მოსახლეობის საერთო ჯანმრთელობის დონეს განსაზღვრავს, არამედ მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგრადობაზე (WHO, 2023). თანამედროვე ჯანდაცვა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ორიენტირებული მოდელით; იგი მოიცავს კოორდინირებულ, მაღალტექნოლოგიურ და თანაბრად ხელმისაწვდომ სერვისთა სისტემურ მიწოდებას (OECD, 2022).

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყბა-სახის ქირურგია — ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც აერთიანებს ტრავმატოლოგიას, ონკოლოგიას, ორთოგნათიას, ინფექციური დაავადებების მართვასა და რეკონსტრუქციულ ესთეტიკურ მედიცინას. მისი ეფექტური განხორციელება მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის

სპეციალისტებს, თანამედროვე ინფრასტრუქტურას და ტექნოლოგიურ ბაზას, ასევე ინტენსიურ თანამშრომლობას ნევროლოგებთან, ოტორინოლარინგოლოგებთან, სტომატოლოგებთან და პლასტიკურ ქირურგებთან (Speight et al., 2020).

საქართველოში ყბა-სახის ქირურგიის განვითარება შედარებით ახალი მოვლენაა. მისი ინსტიტუციონალიზაციის საწყისები XX საუკუნის შუა წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც პირველად გამოჩნდნენ სპეციალიზებული კადრები სტომატოლოგიურ და ზოგად ქირურგიულ კლინიკებში. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში კადრების მომზადება მიმდინარეობდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რამაც საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. დღეს საქართველოში მოქმედებს არაერთი სახელმწიფო და კერძო კლინიკა, სადაც ტარდება როგორც გადაუდებელი, ისე გეგმური ოპერაციები, თუმცა ხელმისაწვდომობასა და სერვისების ხარისხს შორის კვლავ რჩება რეგიონული უთანასწორობები (ჯანდაცვის სამინისტრო, 2023; Gzirishvili et al., 2020).

ყბა-სახის ქირურგიის კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელია სტომატოლოგიური ფაკულტეტის დასრულება და შემდგომი სპეციალიზაცია რეზიდენტურის საფუძველზე. თანამედროვე პრაქტიკა მოითხოვს რეგულარულ პროფესიულ განვითარებასა და საერთაშორისო გამოცდილების ათვისებას. ამასთანავე, ახალი ტექნოლოგიების — CT, MRI, CAD/CAM სისტემების და 3D ბიოპრინტინგის — გამოყენება განიხილება პროფესიული კომპეტენციის აუცილებელ კომპონენტად (Kesting et al., 2021).

საქართველოში, როგორც გარდამავალ ეკონომიკურ ქვეყანაში, მკვეთრად იჩენს თავს სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების უთანასწორო განაწილება. რეგიონული მოსახლეობა ხშირად აწყდება გეოგრაფიულ, ფინანსურ და ინფორმაციულ ბარიერებს, ასევე კადრების დეფიციტსა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობას (UNDP Georgia, 2022).

კვლევის მიზანია ყბა-სახის ქირურგიული სერვისების სისტემური ანალიზი საქართველოში, რათა დასაბუთებულად შეფასდეს არსებული სიტუაცია და შემუშავდეს ეფექტიანი რეკომენდაციები თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ისე სერვისების სამართლიან განაწილებას.

მეთოდი

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის დიზაინის ფარგლებში. შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა 18–70+ ასაკის ინდივიდები, რომელთაც ერთხელ მაინც ესაჭიროათ ყბა-სახის ქირურგიული სერვისი ან მიუმართავთ კონსულტაციისთვის ყბა-სახის ქირურგთან. სულ გამოკითხულ იქნა 300 რესპონდენტი.

მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც წინასწარ შეიქმნა კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი პრინციპით, თუმცა გამოკითხვა მიზანმიმართულად მოიცავდა იმ სეგმენტს, ვინც საქართველოს მასშტაბით უკვე ჰქონდათ ყბა-სახის ქირურგიული სერვისის გამოცდილება.

გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ პლატფორმებისა და სოციალური ქსელების საშუალებით, რაც შესაძლებელს ხდიდა ფართო გეოგრაფიული მასშტაბის დაფარვასა და განსხვავებული სოციალური ჯგუფების ჩართვას.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა პროგრამა SPSS 22.0-ის გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკის პარალელურად ჩატარებულ იქნა ცვლადებს შორის ასოციაციების იდენტიფიკაცია, რაც შესაძლებელს ხდიდა რეგიონული განსხვავებებისა და მომხმარებელთა კმაყოფილების ფაქტორების გამოვლენას.

შედეგები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 300-მა რესპოდენტმა, მათგან 58% (n=174) იყო ქალი, ხოლო 42% (n=126) – კაცი. ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, ყველაზე დიდი ნაწილი (47%; n=142) შედგებოდა 18–39 წლამდე პირებისგან. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 71%-ს (n=214). კვლევამ მოიცვა საქართველოს 11 რეგიონი; მონაწილეთა უმრავლესობა თბილისიდან (22%; n=65) და იმერეთიდან (18%; n=54) იყო.

რესპოდენტთა 40% (n=120) გამოხატავს კმაყოფილებას ყბა-სახის ქირურგიული სერვისების მიმართ, ხოლო უკმაყოფილო აღმოჩნდა 18% (n=54). ეს მიუთითებს საშუალო დონეზე კმაყოფილებაზე, შედარებით დაბალი უკმაყოფილების ფონზე.

ყბა-სახის ქირურგიის პროფესიონალიზმის მიმართ კმაყოფილება უფრო მაღალია – 45%, მაშინ როდესაც უკმაყოფილება შეადგენს 16%-ს. აქედან გამომდინარე, ქირურგებთან დაკავშირებული კმაყოფილება აღემატება ზოგადი სერვისით კმაყოფილებას.

სერვისის რეკომენდაციის მაჩვენებელი (Net Promoter Score) დაბალია და შეადგენს მხოლოდ 19%-ს, რაც ნიშნავს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა სერვისს არ რეკომენდაციას არ უწევს.

ცხრილი 1. ყბა-სახის ქირურგიული სერვისების რეკომენდაციის სტრუქტურა

რეკომენდაცია	%
პრომოუტერ მომხმარებლები (კმაყოფილი და სერვისის ერთგული მომხმარებლები)	27%
პასიური მომხმარებლები (ნეიტრალურად განწყობილი მომხმარებლები)	27%
დეტრაქტორ მომხმარებლები (აგრესიულად განწყობილი მომხმარებლები)	46%
რეკომენდაციის ქულა	19%

მონაცემებმა აჩვენა, რომ იმერეთში გამოკითხული მომხმარებლების მნიშვნელოვანი ნაწილი (26%; n=14) ხშირად მიმართავს ყბა-სახის ქირურგიულ სერვისს, მაშინ როდესაც გურიასა (84%; n=16) და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში (56%; n=12) მოსახლეობის უმრავლესობა საერთოდ არ მიმართავს.

სერვისის ხელმისაწვდომობა მკვეთრად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. აჭარაში გამოკითხულთა 100% მიიჩნევს, რომ სერვისი ხელმისაწვდომია, ხოლო გურიაში 95% და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 72% ფიქრობს, რომ სერვისი საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი.

ცხრილი 2: რეგიონებში ყბა-სახის ქირურგიული სერვისებზე ხელმისაწვდომობა

რეგიონი	სრულიად ხელმისაწვდომია	ნაკლებადაა ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი
აჭარა	85%	15%	0%
გურია	0%	5%	95%
თბილისი	82%	17%	2%
იმერეთი	69%	19%	13%
კახეთი	38%	57%	5%
მცხეთა-მთიანეთი	11%	84%	5%
რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი	6%	39%	56%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	20%	80%	0%
სამცხე-ჯავახეთი	12%	80%	8%
ქვემო ქართლი	11%	84%	5%
შიდა ქართლი	20%	70%	10%

კვლევამ აჩვენა, რომ ხელმისაწვდომობა ყველაზე მაღალია აჭარაში, თბილისში და იმერეთში, ხოლო ყველაზე დაბალი – გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში გამოკითხულთა 72% მიიჩნევს, რომ ადგილობრივ ქირურგებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება. რესპოდენტები ასევე ხშირად აღნიშნავენ თანამედროვე აპარატურის ნაკლებობას, განსაკუთრებით გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში.

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონებში მიმართვიანობა ზოგადად დაბალია, რაც უკავშირდება ფინანსურ ბარიერებს, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დეფიციტს. მიუხედავად ამისა, თბილისსა და იმერეთში ყბა-სახის ქირურგიული მომსახურება შედარებით მაღალი ხარისხით არის ხელმისაწვდომი.

რეგიონებში ხშირად აღინიშნა შემთხვევები, როდესაც პაციენტებმა სერვისის მიღების შემდეგ სხვა რეგიონში მიმართეს, რადგან ადგილობრივმა კლინიკამ ვერ უზრუნველყო სათანადო დახმარება ან მკურნალობა არასწორად განხორციელდა.

ქირურგების მიმართ კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა იმერეთში (76%), ასევე თბილისსა (58%) და მცხეთა-მთიანეთში (58%). უკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში (39%).

სერვისის მიმართ კმაყოფილების მიხედვით, ლიდერობს იმერეთი (55%), თბილისი (55%) და მცხეთა-მთიანეთი (47%). ყველაზე ცუდი პოზიცია უკავია რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს (50% უკმაყოფილება) და სამცხე-ჯავახეთს (40% უკმაყოფილება).

რესპოდენტებმა გამოყვეს ექვსი ძირითადი ფაქტორი, რომელთა გაუმჯობესებას ისურვებდნენ:

- მომსახურების გაუმჯობესება;
- ქირურგების პროფესიონალიზმის გაზრდა;
- ფინანსური ხელმისაწვდომობა;
- თანამედროვე აპარატურის დანერგვა;
- რეგიონებში სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- „ყველაფერი მომწონს/არაფერს შევცვლიდი“.

ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემა არის ფინანსური ხელმისაწვდომობა (42%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – სრული კმაყოფილება სერვისით (5%).

ცხრილი N3 გაუმჯობესების პრიორიტეტები

ფაქტორი	%
ფინანსური ხელმისაწვდომობა	42%
მეტი პროფესიონალიზმი	20%
მომსახურების გაუმჯობესება	16%
თანამედროვე აპარატურა	9%
რეგიონებში ხელმისაწვდომობის გაზრდა	9%
მომწონს ყველაფერი/არაფერს შევცვლიდი	5%

დისკუსია

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ყბა-სახის ქირურგიული სერვისის ხელმისაწვდომობა რეგიონებში წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას. განსაკუთრებით მწვავედ იკვეთება ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა, რომელიც თითქმის ყველა გამოკვლეულ რეგიონშია გავრცელებული და მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის პაციენტებს საჭირო მომსახურების მიღების პროცესში.

მომსახურების მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს მიღებული სერვისის ხარისხის მიმართ. უკმაყოფილების ძირითადი მიზეზებია: თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების არარსებობა, ქირურგების პროფესიონალიზმის დაბალი დონე, პასუხისმგებლობის ნაკლებობა და მომსახურების ორგანიზაციული ხარვეზები. ეს ფაქტი განსაკუთრებულად თვალსაჩინოა იმ გარემოებიდან, რომ რეგიონებში მომსახურების მიღების შემდეგ პაციენტების უმრავლესობა იძულებული ხდება მიმართოს სხვა რეგიონებში არსებულ დაწესებულებებს. ამის მიზეზებად დასახელებულია არასწორი მკურნალობა, გართულებების განვითარება ან ადგილობრივ დონეზე შესაბამისი დახმარების მიუწვდომლობა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ რეგიონში ყბა-სახის ქირურგიული სერვისი საერთოდ არ ფუნქციონირებს, ხოლო იქ, სადაც არსებობს, მისი მუშაობა სერიოზული პრობლემებით

ხასიათდება. ეს გარემოება პაციენტებს აიძულებს დამატებითი ფინანსური და დროითი რესურსის გაღებას სხვა რეგიონებში სამკურნალოდ მოგზაურობისთვის, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს უკმაყოფილებას. რიგ შემთხვევებში მომსახურება იმდენად ძვირადღირებულია, რომ პაციენტები საერთოდ ვერ სარგებლობენ მასთან წვდომით, რაც სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას იწვევს.

გამოკვეთილი პრობლემები პირდაპირ აისახება მომხმარებელთა კმაყოფილებაზე: პაციენტებში მაღალია აგრესიული განწყობა როგორც უშუალო სერვისის, ისე მთლიანად ჯანდაცვის სისტემის მიმართ. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ რეგიონში უკმაყოფილების ინდექსი განსაკუთრებით მაღალია, ხოლო უმრავლესობა საერთოდ არ უწევს რეკომენდაციას ადგილობრივ ყბა-სახის ქირურგიულ სერვისს. ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ რეგიონული ჯანდაცვის სისტემის მიმართ ნდობა სერიოზულად შერყეულია.

რეგიონულ ჭრილში განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა შეინიშნება გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, სადაც სერვისის ხარისხი და ხელმისაწვდომობა მინიმალურია. შედარებით უკეთესი სურათი ფიქსირდება თბილისში, იმერეთსა და ზოგ შემთხვევაში აჭარაში, სადაც კმაყოფილების მაჩვენებლები სხვა რეგიონებთან შედარებით მაღალია.

ამრიგად, კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ ყბა-სახის ქირურგიული სერვისის არსებული მდგომარეობა რეგიონებში ვერ პასუხობს მოსახლეობის საჭიროებებს და ხშირად თავად პრობლემის გამწვავებასაც კი უწყობს ხელს. ამ გამოწვევის დაძლევა მოითხოვს როგორც ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ასევე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, სერვისის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და რეგიონულ დონეზე ხარისხის მართვის მექანიზმების გაძლიერებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სერვისის მიმართ ნდობის აღდგენა და მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა.

დასკვნა

კვლევამ ცხადყო, რომ ყბა-სახის ქირურგიული სერვისების ხელმისაწვდომობა რეგიონებში დღესაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. მოსახლეობის ძირითადი უკმაყოფილება უკავშირდება მომსახურების დაბალ ხარისხს, მოძველებულ მეთოდებსა და ტექნიკას, სპეციალისტების არაპროფესიონალიზმს, ასევე ფინანსურ ხელმიუწვდომლობას. აღნიშნული ფაქტორები ქმნის მოსახლეობის ნეგატიურ დამოკიდებულებას და განაპირობებს იმას, რომ პაციენტები ნაკლებად რეკომენდაციას უწევენ ამ სერვისით სარგებლობას.

რეგიონული ჭრილით ყველაზე მწვავე პრობლემები გამოიკვეთა გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც სერვისისადმი უარყოფითი განწყობა ყველაზე მაღალია. შედარებით უკეთესი მდგომარეობა შეინიშნება თბილისში და იმერეთში, თუმცა დანარჩენ რეგიონებში კმაყოფილება და უკმაყოფილება თითქმის თანაბრად ნაწილდება, ზოგადად მაინც უარყოფითი ფონის შენარჩუნებით.

ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ პაციენტები ხშირად იძულებული ხდებიან მიმართონ სხვა რეგიონების კლინიკებს, სადაც სერვისი მეტ-ნაკლებად გამართულად ფუნქციონირებს. ამასთან, პრობლემად რჩება ქირურგების სიმცირე რეგიონებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს არსებული მდგომარეობას.

რეკომენდაციები

კვლევის საფუძველზე მიზანშეწონილია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- რეგიონებში ყბა-სახის ქირურგიული სერვისების განვითარება და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვა;
- სპეციალისტების პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- რეგიონებში ქირურგების რაოდენობის გაზრდა, მათ შორის სტიმულირების მექანიზმების გამოყენებით;
- ყბა-სახის ქირურგიული სერვისების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა რეგიონის მაცხოვრებლისთვის, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ტურიზმი სწრაფად ვითარდება (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯაფარიძე ი., კალანდაძე ლ. ყბა-სახის ქირურგიის განვითარება საქართველოში. საქართველოს სამედიცინო ჟურნალი. 2015;12(3):41-47.
2. ბოჭორიშვილი თ., მაღლაკელიძე გ. ჯანდაცვის სისტემის რეფორმები და სპეციალიზებული ქირურგიის ხელმისაწვდომობა საქართველოში. ჯანდაცვა და საზოგადოება. 2019;7(1):23-30.
3. ჯავახიშვილი ნ. საქართველოში ყბა-სახის ტრავმატიზმის ეპიდემიოლოგიური ანალიზი. სტომატოლოგია. 2021;13(2):11-18.
4. ჩიგოგიძე ი. სტომატოლოგიური სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში. საქართველოს ჯანდაცვა. 2018;10(1):29-34.
5. ქობულაძე თ. სამედიცინო პროფესიის რეგულაციები და სპეციალისტთა მომზადება საქართველოში. აკადემიური მიმოხილვა. 2020;15(4):55-61.
6. AAOMS. (2022). Scope of Oral and Maxillofacial Surgery. American Association of Oral and Maxillofacial Surgeons.
7. Ackerman, M., & Nguyen, L. (2018). The impact of oral and maxillofacial surgery on public health. *Journal of Oral Health*, 14(3), 123-130.
8. Adekeye, E. A., et al. (2019). Maxillofacial Surgical Services in Developing Countries: Challenges and Solutions. *African Journal of Oral Health*, 15(2), 45-53.
9. Alpert, B. (2018). The Evolution of Oral and Maxillofacial Surgery Over the Past 100+ Years—With Special Emphasis on the Role of Fluoride and the High-Speed Handpiece. *Journal of Oral and Maxillofacial Surgery*. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/30053939/>
10. American College of Surgeons. (2022). *Surgical Workforce and Access to Surgical Care in the United States*. Chicago, IL: ACS.
11. Booth, A., Sutton, A., & Papaioannou, D. (2016). *Systematic Approaches to a Successful Literature Review*. Sage Publications.
12. Ministry of IDPs, Labour, Health and Social Affairs of Georgia. (2023). *Annual Report*. <https://www.moh.gov.ge>
13. WHO. (2016). *Global Strategy on Human Resources for Health: Workforce 2030*.
14. WHO. (2017). *Ethical Standards in Surgical Care*. Geneva: World Health Organization.
15. WHO. (2019). *Oral Health and Maxillofacial Surgery Report*. Geneva: World Health Organization.
16. WHO. (2020). *Health Systems Strengthening and Surgical Services*. Geneva: World Health Organization.
17. WHO. (2023). *Primary Health Care and Health Systems Resilience*. <https://www.who.int>
The study by Xin J et al 2021, discussed C3 complement factor involvement in microglia-mediated synaptic pruning post sleep deprivation. The results of the study indicated that CX3CR1 has a pivotal function in modulating the neurological reaction to SD and the interaction of environmental stimuli and brain function, and its absence aids in the recovery from insomnia-related cognitive deterioration. (Xin J et al 2021)

Table: Overview of microglia activation pathways

Pathway	Type of SD	Mechanism	Reference
TREM 2 dependent	Chronic	Enhances microglial reactivity via TREM2, and Aβ plaques.	Parhizkar et al, 2023
CRH-mediated	Chronic	Elevated CRH in the hippocampus upregulates Galectin-3, impairing microglial lysosomes and activating microglia	Guo et al, 2022
Elevated Inflammatory Cytokines	Chronic	Increases IL-1β and TNF-α, activating microglia, contributing to neuroinflammation	Wisor et al, 2011
Mitochondrial Dysfunction and oxidative stress	Acute	Mitochondrial DNA release and oxidative stress trigger inflammation.	Hu et al, 2024
Disrupted CX3CR1 signaling	Acute, Chronic	Disruption of neuron-microglia signaling impairs synaptic pruning and activates microglia.	Xin J et al 2021
Altered microglial morphodynamics	Acute	Changes in process motility and surveillance capacity alter microglial morphology and activates them.	Hristovska et al, 2022
Impaired Autophagic and Lysosomal Pathways	Chronic	Impaired degradation pathways lead to cellular debris accumulation and microglial activation.	Parhizkar et al, 2023
Sustained microglial activation post sleep deprivation	Acute	Microglial activation persists even after recovery sleep.	Liu et al, 2023
Disruption of circadian clock genes	Chronic	Disrupts BMAL1 and REV-ER Bα expression, promoting neuroinflammation	Griffin et al, 2019

Pathways of Neuronal Damage in Sleep Deprivation

Microglial activation initiates primarily three pathways of neural damage. Additionally, crosstalk between glial cells can further amplify the neuronal damage, particularly through dysregulated interactions between microglia and astrocytes. These pathways are briefly described below:

- **Inflammatory Pathways:** Characterized by the enhancement of cytokines (Interleukin-1 β , Tumor Necrosis Factor- α , Interleukin-6) and complement proteins, which contribute to a sustained inflammatory milieu (Cai et al, 2022).
- **Oxidative Stress:** Involves increased synthesis of ROS, lipid peroxidation, and mitochondrial DNA (mtDNA) damage that further exacerbate neuronal injury (Atrooz et al, 2019).
- **Excitotoxicity:** Results from excessive glutamatergic signaling, dysregulation of receptors, and imbalance of inhibitory and excitatory neurotransmission, ultimately leading to synaptic excitotoxic damage. (Nicosia et al, 2024; Colonna & Butovsky, 2017)
- **Cross-Talk Between Glial Cells:** During sleep deprivation, the interaction of astrocytes and microglia is critical (Carvalho et al, 2023). Initially, astrocytic phagocytosis functions as a protective mechanism, removing damaged synaptic components. However, continuous sleep deprivation exceeds astrocytes' compensatory capacities, resulting in chronic microglial activation (Bellesi et al, 2017). Persistent inflammation stresses neurons, leading to oxidative stress and toxic protein buildup, including beta-amyloid (Carvalho et al, 2023).

Inflammatory Pathway: Microglial Activation and Cytokine release

Microglia are inherently highly motile cells with continuous monitoring activity (Carvalho et al, 2023). Under standard conditions, they contribute to synaptic plasticity and debris clearance (Carvalho et al, 2023). However, during sleep deprivation, these cells undergo significant morphological changes and become activated—a process marked by the upregulation of inflammatory mediators (Bellesi et al, 2017). Cytokines, mainly Interleukin-1 β and 6, and Tumor Necrosis Factor- α are released by activated microglia (Bellesi et al, 2017). These cytokines potentiate the inflammatory response by further recruiting immune cells and activating local astrocytes, which can also become phagocytic under conditions of prolonged wakefulness. (Bellesi et al, 2017)

The priming that occurs due to sleep deprivation increases microglia's sensitivity to secondary insults, such as amyloid deposition and environmental toxins. (Bellesi et al, 2017) Such changes corroborate that a prolonged inflammatory state may underlie the neural degeneration observed in conditions like Alzheimer's disease (Bellesi et al, 2017).

Oxidative Stress and Lysosomal Dysfunction

The biochemical environment of sleep loss is further exacerbated by oxidative stress. ROS and lipid peroxidation can damage neuronal membranes and affect lysosomal integrity, as observed in investigations on astrocytic and microglial cells (Atrooz et al, 2019). The combination of oxidative stress and compromised autophagy mechanisms leads to the accumulation of cellular waste, rendering neurons more susceptible to injury (Atrooz et al, 2019).

Excitotoxicity: Complement Cascade Activation

Along with cytokine production, complement cascade is activated during the microglial response. (Bellesi et al, 2017) Chronic SD has been shown to significantly upregulate proteins such C3, which are part of the complement cascade. (Bellesi et al, 2017) Complement activation causes synaptic pruning, which is normally advantageous during development but can be harmful if it occurs abnormally in the human brain. (Bellesi et al, 2017) Overactivation of the complement system can lead to synapse loss, impairing cognitive activities and promoting neurodegeneration. (Bellesi et al, 2017)

TREM2 and Amyloid- β consequences

Inadequate clearance of Amyloid-beta can negatively impact neuronal health. Amyloid-beta plaques impede synaptic function, cause oxidative stress, and can lead to tau pathology, which is a characteristic of Alzheimer's disease. (Zhou et al, 2018) TREM2-dependent reduction in microglial cleaning function may synergize with additional SD-induced mechanisms, including as metabolic

dysregulation and astrocytic overload, causing a complex vulnerability of neurons. (Zhou et al, 2018; Parhizkar et al, 2023).

Implications for Neurodegenerative Diseases and Potential Therapeutic Targets

Sleep deprivation causes significant cellular and molecular changes that have far-reaching implications in neural illnesses including Alzheimer's, Parkinson's, along with other cognitive dysfunctions. (Ahmadian et al, 2018) Chronic SD promotes the buildup of neurotoxic proteins such beta-amyloid-13 and primes the immune system to respond disproportionately to secondary insults through microglial activation. (Ahmadian et al, 2018)

Neurodegenerative Outcomes

The failure of proper A β clearance due to TREM2-dependent microglial dysfunction is a central pathway that links sleep loss and Alzheimer's disease emergence (Parhizkar et al, 2023). In parallel, CRH-mediated activation of microglia and the ensuing disruption in autophagy contribute to a neuroinflammatory environment that, over time, can lead to tau pathology and synaptic loss (Guo et al, 2022). Such processes have been correlated with declines in cognitive performance and memory impairment, as validated by both animal models and human studies. (Parhizkar et al, 2023)

Therapeutic Approaches:

Interventions aimed at mitigating SD-induced neuronal damage target multiple aspects of the pathology:

Enhancing Glymphatic Function: Strategies to boost glymphatic clearance may reduce the accumulation of beta-amyloid and other metabolites. Research has shown that exercise can accelerate glymphatic clearance and reduce amyloid-beta accumulation (Murdock et al, 2024). Studies have also shown that multisensory gamma stimulation and focused ultrasound treatment promote amyloid removal and stimulate glymphatic activity in mice. (Murdock et al, 2024)

Modulating Glial Activation: Pharmacological agents that regulate microglial activity—such as CRHR2 blockers to counteract CRH-mediated effects or compounds that restore TREM2 function—could help maintain a more homeostatic glial environment (Guo et al, 2022).

Discussion

Research papers highlight the complex lineage between neurodegeneration and sleep deprivation, focusing on the pivotal role played by microglial activation in mediating inflammatory, oxidative, and synaptic damage. Sleep deprivation initiates a cascade of pathological events, including the stimulation of inflammatory cytokine production, intensified reactive oxygen species activity, and altered glutamate stability. (Bellesi et al, 2017; Atrooz et al, 2019; Nicosia et al, 2024). The findings align with current literature that positions glial dysfunction, especially that of microglia, as a key contributor to neurodegenerative processes. (Colonna & Butovsky, 2017)

A central mechanism identified involves the TREM2 signaling pathway, which, when disrupted by chronic sleep loss, impairs microglial capacity to clear β -amyloid, thus facilitating amyloid plaque formation—a hallmark of Alzheimer's disease (Zhou et al, 2018). Simultaneously, CRH-induced microglial activation via the HPA axis highlights a systemic component to the localized neuroinflammatory process (Guo et al, 2022). This dual influence - one molecular and the other neuroendocrine - suggests that sleep deprivation primes microglia not only to initiate inflammation but also to respond aberrantly to subsequent neurotoxic challenges (Guo et al, 2022).

Furthermore, pertaining to the relationship between astrocytes and microglia, particularly in relation to chronic glial overload, accentuates the vulnerability of neurons under sustained wakefulness (Carvalho et al, 2023). The astrocytic failure to regulate synaptic homeostasis leads to a chronic activation state in microglia, perpetuating low-grade inflammation and accelerating oxidative damage (Zhou et al, 2018). The review also emphasizes the breakdown of lysosomal and autophagic pathways, compounding neuronal stress and impairing cellular repair mechanisms. (Guo et al, 2022)

While this review synthesizes current knowledge effectively, limitations remain. First, a substantial portion of the cited research is based on animal models, limiting direct translation to human pathology. Additionally, the heterogeneity in experimental protocols, such as duration and type of sleep deprivation,

introduces variability that complicates comparison across studies. The absence of long-term human data and the lack of consideration for sex and age-specific factors further constrain the potential of these results to be generalized. Further research ought to strive to include systematic reviews or meta-analyses, and encourage longitudinal clinical studies to strengthen causal conclusions.




Figure 1: Overview of SD leading to Neuronal Damage.

Legend: SD: Sleep Deprivation; ASD: Acute Sleep Deprivation; CSD: Chronic Sleep Deprivation; CRH: Corticotropin-releasing Hormone; ROS: Reactive Oxygen Species; TREM: Triggering receptor expressed on myeloid cells; $A\beta$: Amyloid beta; TNF: Tumor Necrosis Factor; NO: Nitric Oxide; IL-1 β : Interleukin 1 beta

Sleep deprivation, categorized as Acute or Chronic, initiates a cascade of pathophysiological processes that establishes a sustained state of neural activation. This environment is characterized by a proinflammatory milieu, excessive synaptic pruning mediated by astrocytes, and elevated levels of Corticotropin-releasing hormone (CRH). Their alterations are subsequently accompanied by TREM2 signaling dysfunction, metabolic compromise, and diminished phagocytic capacity of microglial cells. Collectively, these factors exert detrimental effects on microglial function, ultimately leading to the activation of neurotoxic cascades. These pathophysiological pathways include: Excitotoxic pathway characterized by glutamate accumulation and consequent synaptic injury; Oxidative stress pathway, involving the release of cytotoxic mediators such as tumor necrosis factor (TNF), nitric oxide (NO), and reactive oxygen species (ROS); and Inflammatory pathway, driven by the upregulation of proinflammatory cytokines and chemokines secreted by activated microglia. Impaired amyloid-beta clearance, resulting from microglial dysfunction, further exacerbates neuroinflammation through extracellular plaque buildup. These pathological mechanisms are further modulated by bidirectional glial cell interactions, particularly between microglia and astrocytes.

Conclusion

Sleep deprivation exerts profound effects on brain health by activating complex inflammatory, oxidative and metabolic pathways, predominantly mediated by glial cells (Parhizkar et al, 2023). Microglial activation, mainly through TREM2 and CRH signaling, disrupts essential functions such as synaptic pruning and Amyloid-beta ($A\beta$) clearance, resulting in persistent neuroinflammation (Guo et al, 2022; Zhou et al, 2018).

Cross-talk between astrocytes and microglia, coupled with oxidative stress, further exacerbates neurodegeneration. These findings highlight the pressing need to address sleep disturbances not only as lifestyle issues, but also as significant neurobiological challenges (Carvalho et al, 2023).

Therapeutic methods targeting glial modulation, glymphatic enhancement and oxidative damage mitigation may hold promise for mitigating the cognitive decline associated with chronic sleep loss. Further translational and clinical research is essential to validate these pathways and develop effective interventions.

By understanding the interdependent roles of the underlying pathways, and particularly the central involvement of microglial activation, researchers can better identify effective interventions to preserve neuronal integrity. Future studies should continue to refine our knowledge of these mechanisms and integrate findings into medical practice with the ultimate goal of mitigating the risk of neurodegenerative disease.

References

1. Colonna M, Butovsky O. **Microglia Function in the Central Nervous System During Health and Neurodegeneration.** *Annu Rev Immunol.* 2017 Apr 26;35:441-468. doi: 10.1146/annurev-immunol-051116-052358. Epub 2017 Feb 9. PMID: 28226226; PMCID: PMC8167938. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC8167938/>
2. Qin J, Ma Z, Chen X, Shu S. **Microglia activation in central nervous system disorders: A review of recent mechanistic investigations and development efforts.** *Front Neurol.* 2023 Mar 7;14:1103416. doi: 10.3389/fneur.2023.1103416. PMID: 36959826; PMCID: PMC10027711. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC10027711/>
3. Worley SL. **The Extraordinary Importance of Sleep: The Detrimental Effects of Inadequate Sleep on Health and Public Safety Drive an Explosion of Sleep Research.** *P T.* 2018 Dec;43(12):758-763. PMID: 30559589; PMCID: PMC6281147. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC6281147/>
4. Atrooz F, Salim S. **Sleep deprivation, oxidative stress and inflammation.** *Adv Protein Chem Struct Biol.* 2020;119:309-336. doi: 10.1016/bs.apcsb.2019.03.001. Epub 2019 Apr 24. PMID: 31997771. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S187616231930029X?via%3Dihub>
5. Cai Y, Liu J, Wang B, Sun M, Yang H. **Microglia in the Neuroinflammatory Pathogenesis of Alzheimer's Disease and Related Therapeutic Targets.** *Front Immunol.* 2022 Apr 26;13:856376. doi: 10.3389/fimmu.2022.856376. PMID: 35558075; PMCID: PMC9086828. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC9086828/>
6. Nicosia N, Giovenzana M, Misztak P, Mingardi J, Musazzi L. **Glutamate-Mediated Excitotoxicity in the Pathogenesis and Treatment of Neurodevelopmental and Adult Mental Disorders.** *Int J Mol Sci.* 2024 Jun 13;25(12):6521. doi: 10.3390/ijms25126521. PMID: 38928227; PMCID: PMC11203689. (Nicosia et al, 2024) <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC11203689/>
7. Bellesi M, de Vivo L, Chini M, Gilli F, Tononi G, Cirelli C. **Sleep Loss Promotes Astrocytic Phagocytosis and Microglial Activation in Mouse Cerebral Cortex.** *J Neurosci.* 2017 May 24;37(21):5263-5273. doi: 10.1523/JNEUROSCI.3981-16.2017. PMID: 28539349; PMCID: PMC5456108. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC5456108/>
8. Xin J, Wang C, Cheng X, Xie C, Zhang Q, Ke Y, Huang X, Chen X, Pan X. **CX3C-chemokine receptor 1 modulates cognitive dysfunction induced by sleep deprivation.** *Chin Med J (Engl).* 2021 Nov 3;135(2):205-215. doi: 10.1097/CM9.0000000000001769. PMID: 34732662; PMCID: PMC8769116. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC8769116/>
9. Zhou Y, Ulland TK, Colonna M. **TREM2-Dependent Effects on Microglia in Alzheimer's Disease.** *Front Aging Neurosci.* 2018 Jul 9;10:202. doi: 10.3389/fnagi.2018.00202. PMID: 30038567; PMCID: PMC6046445. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC6046445/>
10. Parhizkar S, Gent G, Chen Y, Rensing N, Gratuzze M, Strout G, Sviben S, Tycksen E, Zhang Q, Gilmore PE, Sprung R, Malone J, Chen W, Remolina Serrano J, Bao X, Lee C, Wang C, Landsness E, Fitzpatrick

- J, Wong M, Townsend R, Colonna M, Schmidt RE, Holtzman DM. **Sleep deprivation exacerbates microglial reactivity and A β deposition in a *TREM2*-dependent manner in mice.** *Sci Transl Med.* 2023 Apr 26;15(693):eade6285. doi: 10.1126/scitranslmed.ade6285. Epub 2023 Apr 26. PMID: 37099634; PMCID: PMC10449561. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC10449561/#ABS2>
11. Guo L, Reed KM, Carter A, Cheng Y, Roodsari SK, Martinez Pineda D, Wellman LL, Sanford LD, Guo ML. **Sleep-Disturbance-Induced Microglial Activation Involves CRH-Mediated Galectin 3 and Autophagy Dysregulation.** *Cells.* 2022 Dec 30;12(1):160. doi: 10.3390/cells12010160. PMID: 36611953; PMCID: PMC9818437. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC9818437/>
 12. Ahmadian N, Hejazi S, Mahmoudi J, Talebi M. **Tau Pathology of Alzheimer Disease: Possible Role of Sleep Deprivation.** *Basic Clin Neurosci.* 2018 Sep-Oct;9(5):307-316. doi: 10.32598/bcn.9.5.307. Epub 2018 Sep 1. PMID: 30719245; PMCID: PMC6360494. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC6360494/>
 13. Murdock MH, Yang CY, Sun N, Pao PC, Blanco-Duque C, Kahn MC, Kim T, Lavoie NS, Victor MB, Islam MR, Galiana F, Leary N, Wang S, Bubnys A, Ma E, Akay LA, Sneve M, Qian Y, Lai C, McCarthy MM, Kopell N, Kellis M, Piatkevich KD, Boyden ES, Tsai LH. **Multisensory gamma stimulation promotes glymphatic clearance of amyloid.** *Nature.* 2024 Mar;627(8002):149-156. doi: 10.1038/s41586-024-07132-6. Epub 2024 Feb 28. PMID: 38418876; PMCID: PMC10917684. <https://www.nature.com/articles/s41586-024-07132-6>
 14. Carvalhas-Almeida C, Serra J, Moita J, Cavadas C, Álvaro AR. **Understanding neuron-glia crosstalk and biological clocks in insomnia.** *Neurosci Biobehav Rev.* 2023 Apr;147:105100. doi: 10.1016/j.neubiorev.2023.105100. Epub 2023 Feb 17. PMID: 36804265. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0149763423000696>
 15. Wisor JP, Schmidt MA, Clegern WC. **Evidence for neuroinflammatory and microglial changes in the cerebral response to sleep loss.** *Sleep.* 2011 Mar 1;34(3):261-72. doi: 10.1093/sleep/34.3.261. PMID: 21358843; PMCID: PMC3041702. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC3041702/>
 16. Hu Y, Wang Y, Wang Y, Zhang Y, Wang Z, Xu X, Zhang T, Zhang T, Zhang S, Hu R, Shi L, Wang X, Li J, Shen H, Liu J, Noda M, Peng Y, Long J. **Sleep Deprivation Triggers Mitochondrial DNA Release in Microglia to Induce Neural Inflammation: Preventative Effect of Hydroxytyrosol Butyrate.** *Antioxidants (Basel).* 2024 Jul 12;13(7):833. doi: 10.3390/antiox13070833. PMID: 39061901; PMCID: PMC11273532. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC11273532/>
 17. Hristovska I, Robert M, Combet K, Honnorat J, Comte JC, Pascual O. **Sleep decreases neuronal activity control of microglial dynamics in mice.** *Nat Commun.* 2022 Oct 21;13(1):6273. doi: 10.1038/s41467-022-34035-9. PMID: 36271013; PMCID: PMC9586953. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC9586953/>
 18. Griffin P, Dimitry JM, Sheehan PW, Lananna BV, Guo C, Robinette ML, Hayes ME, Cedeño MR, Nadarajah CJ, Ezerskiy LA, Colonna M, Zhang J, Bauer AQ, Burris TP, Musiek ES. **Circadian clock protein Rev-erba regulates neuroinflammation.** *Proc Natl Acad Sci U S A.* 2019 Mar 12;116(11):5102-5107. doi: 10.1073/pnas.1812405116. Epub 2019 Feb 21. PMID: 30792350; PMCID: PMC6421453. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC6421453/>




ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია
Health Policy, Economics & Sociology

PRINT ISSN 2960-9992

ONLINE ISSN 2960-9984

ნეოლიბერალიზმი და მენტალური ჯანმრთელობა: კრიტიკული თეორიული
ანალიზი

Neoliberalism and Mental Health: A Critical Theoretical Analysis

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.03>

ალექსანდრა აროშვილი ^{1a}

Alexandra Aroshvili ¹⁵

¹ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ Faculty of Sciences and Arts, Ilia State University, Tbilisi, Georgia



This is an open-access article distributed under the terms of the Creative Commons Attribution 4.0 International License (CC BY 4.0) (<https://creativecommons.org>)



აბსტრაქტი

ნაშრომი მიმოიხილავს ნეოლიბერალიზმის, როგორც ეკონომიკური მოდელისა და სოციალურ-პოლიტიკური მმართველობის სტილის გავლენას მენტალურ ჯანმრთელობაზე, რაც ძირითადად ინდივიდუალიზაციის კულტურას, ბაზრის ლოგიკის დომინაციასა და სახელმწიფო პასუხისმგებლობის შემცირების მექანიზმებს ეფუძნება. აღნიშნული სოციალური რეალობა, ერთი მხრივ, ზრდის მენტალური ჯანმრთელობის გამოწვევებს, ხოლო მეორე მხრივ ზღუდავს შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობას. მენტალური ჯანმრთელობის სფეროში გავრცელებული ხდება მომსახურებების გასაქონლება, თერაპიისა და დიაგნოსტიკის კომერციალიზება და მკურნალობის ისეთი მოდელების გაძლიერება, რომლებიც ფარმაცევტულ ინდუსტრიებზეა ორიენტირებული. ნაშრომი ეფუძნება კრიტიკული თეორეტიკოსების, მათ შორის მარკ ფიშერისა და ნიკ როუზის, ანალიზს და აერთიანებს კვლევებს, რომლებიც აჩვენებენ ნეოლიბერალური პოლიტიკების კავშირს მენტალური ჯანმრთელობის ინდივიდუალიზებასთან, ბიომედიკალიზებასა და აპოლიტიკურ დისკურსად გარდაქმნასთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნეოლიბერალური ლოგიკის შემოსვლას პოსტსოციალისტურ სივრცეში, რაც ამწვავებს სოციალური უთანასწორობიდან გამომდინარე ფსიქიკურ ტანჯვას. ნაშრომი ასკვნის, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში მენტალური ჯანმრთელობის განხილვა საჭიროებს სოციალურ და პოლიტიკურ ჩარჩოს და არა მხოლოდ ინდივიდუალურ ან კლინიკურ მიდგომებს. მენტალური კეთილდღეობის გაუმჯობესება საჭიროებს სისტემურ ცვლილებებს, რომლებიც აღიარებენ ფსიქიკური ტანჯვის სტრუქტურულ მიზეზებს და სცილდებიან ინდივიდუალურ ინტერვენციებზე დაფუძნებულ პრაქტიკებს.

საკვანძო სიტყვები: ნეოლიბერალიზმი, მენტალური ჯანმრთელობა, ბიომედიკალიზაცია, ფარმაცევტული ინდუსტრია, სტრუქტურული უთანასწორობა, სოციალური ტანჯვა.

რეკომენდირებული ციტირება: აროშვილი, ა. (2025). ნეოლიბერალიზმი და მენტალური ჯანმრთელობა: კრიტიკული თეორიული ანალიზი. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.03>.

Abstract

This paper explores the impact of neoliberalism, as both an economic model and a style of socio-political governance, on mental health. It focuses on how neoliberalism, rooted in the culture of individualization, the dominance of market logic, and mechanisms of diminishing state responsibility, shapes the conditions under which mental health is experienced and addressed. The social reality constructed by neoliberal regimes both challenges mental well-being and limits access to related services. It commodifies mental health care by reshaping therapeutic and diagnostic practices to align with market demands and by developing treatment pathways that are increasingly oriented toward pharmaceutical industries. The study draws on the work of critical theorists—most notably Mark Fisher and Nikolas Rose—and compiles research and data that demonstrate the direct connection between neoliberal policies and the individualization, biomedicalization, and depoliticization of mental health. Particular attention is given to the introduction of neoliberal logic into post-socialist contexts, which exacerbates suffering rooted in structural inequality. The paper concludes that under contemporary capitalism, mental health must be understood not merely through individual or clinical frameworks but within broader social and political contexts. Its improvement requires systemic changes that move beyond individual approaches and acknowledge the structural sources of psychological distress.

Keywords: Neoliberalism, mental health, biomedicalization, pharmaceutical industry, structural inequality, social suffering.

Recommended Citation: Aroshvili, A. (2025). Neoliberalism and Mental Health: A Critical Theoretical Analysis. *Health Policy, Economics and Sociology*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.03>

მესავალი

ნეოლიბერალიზმი, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც გულისხმობს ბაზრის უპირატესობას, სახელმწიფოს შემცირებას, სახელმწიფოს ეკონომიკასა და სხვა სფეროებში ჩარევის მინიმიზაციას და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კულტურაზე დაფუძნებულ მმართველობას, დღეს უკვე მნიშვნელოვან სოციალურ ჩარჩოდ ითვლება მენტალური ჯანმრთელობის საკითხების განხილვისთვის. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ნეოლიბერალური მმართველობა თანდათან ცვლის არა მხოლოდ ეკონომიკის მართვას, არამედ ცხოვრების სხვა, ყოველდღიურ განზომილებებს, მათ შორის არა მხოლოდ სოციალურს, არამედ ფსიქიკურსა და მენტალურს, რაც ხშირად აღიქმება როგორც მხოლოდ შინაგანი, ორგანული ან სოციალურისგან (და ყველა გარე შოკისგან) დამოუკიდებელი — მათ შორის, ცვლის იმ გზებსაც, თუ როგორ აღვიქვამთ, ვაფასებთ და ვუმკლავდებით საკუთარ (ან სხვების) მენტალურ ჯანმრთელობას - ე.ი ნეოლიბერალიზმი, როგორც კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკებისა და მმართველობის სტილის პაკეტი, აღწევს სოციალურ, კოგნიტურ, ემოციურ და მენტალურ სფეროშიც. აღნიშნული გარდაქმნა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმგვარ სტრუქტურებში, ინსტიტუტებსა და თუ კულტურებში, რომლებიც ადრე კოლექტიურ სოლიდარობაზე და სახელმწიფო პასუხისმგებლობაზე იყო დაფუძნებული, ამ ისტორიული პერიოდიდან კი სულ და უფრო მეტად მორგებულია ინდივიდის ქცევის მოდელირებაზე - მისი პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის უტილიზაციისთვის.

მენტალური ჯანმრთელობის სფეროში ნეოლიბერალიზმის გავლენა გამოიხატება როგორც პოლიტიკურ-ინსტიტუციურ, ისე კულტურულ დონეზე. კლინიკური ფსიქიატრია და თერაპია სულ უფრო მეტად ექვემდებარება შედეგებზე ორიენტირებულ მოდელს, რაც ხშირად ფოკუსირებულია სიმპტომების სწრაფ მართვასა და ინდივიდის ბაზრისთვის მომზადებაზე, იმის ნაცვლად, რომ გაიაზროს და/ან იმუშაოს პრობლემების სოციალურ კონტექსტზე. მაგალითად, ბრიტანეთში „IAPT“ (Improving Access to Psychological Therapies) პროგრამის კრიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზი უკავშირდება სწორედ იმას, რომ პროგრამას ჰქონდა ეკონომიკური იმპერატივი, რაც შეიძლება მეტი მოქალაქე დაებრუნებინა შრომის ბაზარზე (Thomas, 2013). თერაპიის მიზნად განისაზღვრებოდა არა პაციენტის ცხოვრების ხარისხის ამაღლება, არამედ მისი ფუნქციური სარგებლიანობის აღდგენა. მსგავსი მიდგომა უარყოფს მენტალური ტანჯვის პოლიტიკურ და სოციალურ განზომილებებს, აწევს ნორმატიულ კრიტერიუმებს და ამოცანებს და ქმნის ერთგვარ „ეფექტურობის ეთიკას“, რომელიც იშვიათად ითვალისწინებს პიროვნულ, სტრუქტურულ ან ისტორიულ გარემოებებს.

ნეოლიბერალური მოდელის პირობებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები თანდათან კომოდიფიცირდა, პრივატიზდა და იქცა საბაზრო სერვისად (Esposito and Perez, 2014). ფსიქოთერაპია, ფსიქიატრიული დიაგნოსტიკა და მედიკამენტოზური მკურნალობა მთლიანად ბაზრის ლოგიკას დაექვემდებარა. ჯანდაცვის, როგორც სერვისის სტანდარტიზაციამ და კერძო სექტორის გაძლიერებამ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ხელახლა განსაზღვრა კლინიკური ურთიერთობები: პაციენტი იქცა მომხმარებლად, პროფესიონალი კი — მომსახურების მიმწოდებლად, რომელიც ხშირად პაციენტს სამეცნიერო, სამედიცინო თუ კლინიკური ცოდნის ნაცვლად, იგივე ბაზრის მიერ ჯანდაცვის ბიზნესში შექმნილ პროდუქტებს სთავაზობს. ეს დინამიკა მძლავრად აისახა ფსიქიატრიული დიაგნოსტიკის გაფართოებაზე და იმ დისკურსებზე, რომელიც შრომის „შეწყვეტის“, ბაზრისადმი „არაეფექტურობის“ ან „მოუშვადებლობის“ ინდივიდუალიზებულ მეტაფორებს უტრიალებს.

ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი, რომელსაც კრიტიკული კვლევები უსვამს ხაზს, არის სოციალური სტრესორების იგნორირება ნეოლიბერალურ გარემოში. როგორც მონკრიფი და კუპერი (Moncrieff & Cooper, 2015) ამტკიცებენ, თანამედროვე ფსიქიატრია მოწყობილია არა სოციალური უსამართლობის, სიღარიბისა და უთანასწორობის შედეგების დასადგენად, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ადამიანების მენტალურ ჯანმრთელობაზე, არამედ პირიქით, ამ ვითარებებს აღიქვამს და გარდაქმნის ინდივიდუალურ პათოლოგიებად. გარდა ამისა, კრიტიკა მიემართება ამ პრობლემის აღმოფხვრის საშუალებებსაც, რომლებიც ფუნდამენტურ შეცდომას უშვებს, მკურნალობს რა ინდივიდს ქიმიურად, კლინიკურად თუ მედიკამენტოზურად, მკურნალობს მის ორგანიზმსა თუ ფსიქიკას იმისთვის, რომ მან

განსხვავებულად აღიქვას სოციალური სტრესორები და ისწავლოს მათი იგნორირება ან მათზე რეაგირება, თუმცა რეალურად, პრობლემა ხშირად შეიძლება მოდიოდეს გარემოდან და არა ინდივიდის ორგანიზმიდან თუ დამოკიდებულებებიდან, ხოლო რეაქციების მართვა, ხშირ შემთხვევაში ემსგავსება არანორმალურ გარემოზე ნორმალური რეაქციის გამომუშავების ლიკვიდრებას იმისთვის, რომ პაციენტი დარჩეს შრომისუნარიანი და ეფექტური. ეს პროცესი უფრო ფართო, ჯგუფურ სოციალურ პროცესებსაც მიემართება, ჩანაცვლებულია რა კოლექტიური პოლიტიკური ბრძოლა ამ საერთო სოციალური სტრესორების გამოსწორებისთვის პირად ცვლილებაზე ორიენტირებული გადაჭრის გზებით — მედიკამენტებით, ქვევითი თერაპიით და თვითკონტროლის ტექნიკებით, რომლებიც ხშირად შეუსაბამოა სტრუქტურული ძალადობით გამოწვეული ტანჯვის მიმართ.

ამრიგად, ნეოლიბერალიზმის გავლენა მენტალურ ჯანმრთელობაზე არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკის, სერვისების ხელმისაწვდომობის ან დაფინანსების საკითხებით. ის ცვლის, ასევე, წარმოდგენებს, თუ რას ნიშნავს „ჯანმრთელობა“, რა ითვლება „ნორმალურად“, და როგორ უნდა ვუპასუხოთ ფსიქიკურ თუ მენტალურ ტანჯვას. ეს გავლენა მძლავრად აღწევს პროფესიულ პრაქტიკაში, მოქალაქეების თვითშეფასებასა და იმ სტანდარტებში, რომლის მიხედვითაც ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს აფასებენ. სწორედ ამიტომ, ნეოლიბერალიზმი უნდა განვიხილოთ როგორც არა მხოლოდ ეკონომიკური პროექტი, არამედ როგორც ექსპლიციტური ფსიქო-პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც თავისებურად განსაზღვრავს სუბიექტურობას, ჯანმრთელობას და პათოლოგიას.

ნეოლიბერალიზმი, როგორც მენტალური ტანჯვის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა

ნეოლიბერალიზმისა და მენტალური ჯანმრთელობის ურთიერთობის ანალიზის გასაღრმავებლად, აუცილებელია იმ ავტორების განიხილვა, რომლებმაც მნიშვნელოვნად ჩამოაყალიბეს კრიტიკული ჩარჩო ამ სფეროში. ასეთი ავტორები გვთავაზობენ განსხვავებულ, თუმცა ურთიერთდამაკავშირებელ გზებს იმის ასახსნელად, თუ როგორ იქცევა მენტალური ტანჯვა ინდივიდის პირად პასუხისმგებლობად იმ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში, რომელშიც სწორედ სტრუქტურული ფაქტორები და პოლიტიკები ქმნის ტანჯვის საფუძველს.

მარკ ფიშერი თავის ცნობილ ნაშრომში “Capitalist Realism: Is There No Alternative?” (2009) ასახავს იმ კულტურულ განწყობას, რომლის მიხედვითაც უკვე წარმოუდგენელია კაპიტალიზმის ალტერნატივა. ფიშერისთვის მენტალური ჯანმრთელობის გავრცელება არ არის ფსიქოლოგიური თუ ბიოლოგიური მიზეზების შედეგი, არამედ პირდაპირი შედეგია იმ სტრუქტურებისა, რომლებშიც ვცხოვრობთ. ფიშერი წერს: “დეპრესია არ არის კერძო მარცხი — ის პოლიტიკური მდგომარეობაა.” ამით ფიშერი ამხელს იმ კულტურულ მექანიზმებს, რომლებიც ინდივიდს საკუთარ ტანჯვაში ადანაშაულებს, მაშინ როდესაც სინამდვილეში ეს ტანჯვა ნეოლიბერალური ცხოვრების წესის შედეგია — შრომითი დაუცველობა, სოციალური ფრაგმენტაცია, კოლექტიური მხარდაჭერის ქსელების ნგრევა. ფიშერის თქმით, ფსიქიკური დაავადების „ეპიდემია“ არ გვესაუბრება მხოლოდ ადამიანების მდგომარეობაზე, არამედ, იგი გვაუწყებს კულტურულ მარცხზე, რომლის პირობებში საზოგადოებამ დაკარგა კოლექტიური წარმოდგენა მომავალზე.

ნიკ როუზი — გავლენიანი სოციოლოგი და ფსიქოპოლიტიკის თეორეტიკოსი — რომელსაც ეკუთვნის წიგნი “Governing the Soul: The Shaping of the Private Self” (1989) გვთავაზობს ანალიზს იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის ინსტიტუციონალიზაცია ლიბერალურ დემოკრატიებში. როუზი აჩვენებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე სუბიექტის ფორმირებაში, რომელიც მართავს საკუთარ ემოციებს, აკონტროლებს ქცევას და პასუხისმგებელია თავის მდგომარეობაზე. ნეოლიბერალური პირობებში ეს მმართველობა ხდება კიდევ უფრო ინტენსიური: პაციენტი უნდა გახდეს თვითრეგულირებადი, თვითმმართველი ინდივიდი, რომელიც არ მოითხოვს სტრუქტურულ ცვლილებებს, არამედ ცდილობს არსებული სისტემის პირობებში “შემლოს, გაართვას თავი”. როუზის ხედვით, მენტალური ჯანმრთელობა ნეოლიბერალიზმში იქცევა მმართველობის ერთ-ერთ ფორმად —

გამართული პირადი ფუნქციონირება და ემოციური სტაბილურობა ხდება სოციალური მიღების მთავარი პირობა.

წიგნში „De-Medicalizing Misery: Psychiatry, Psychology and the Human Condition“ შესულ ერთ-ერთ ესეში ჯეიმს ბურნი ხაზს უსვამს, რომ სწორედ ნეოლიბერალიზმის მიერ შექმნილი მოლოდინები და ამ მოლოდინების დაუკმაყოფილებლობა - ნეოლიბერალიზმისავე შექმნილი სოციალური პირობების გამო, ადამიანებისთვის „წაგებულობის“ შეგრძნებად იქცევა, რასაც ისინი საკუთარ პრობლემად, შემდგომ კი სამედიცინო პრობლემად აღიქვამენ: „ინდივიდუალური პასუხისმგებლობის იდეა ჩვენი კულტურის ცენტრალური ელემენტია. თუ საზოგადოების „წაგებულებს“ შორის ხარ და ცხოვრება გიჭირს, ეს შენი პირადი პრობლემაა, ნეოლიბერალური ეკონომიკური და სოციალური წესრიგის მეორე მხარეს კი დგას უთანასწორობისა და შრომითი დაუცველობის ზრდა, რასაც თან ერთვის მოლოდინების ზრდაც, რომელიც ვარსკვლავური ცხოვრების დემონსტრაციული მოხმარებით ყალიბდება. ამ ფონზე, სწორედ ნეოლიბერალიზმში “წაგებულებისთვის” იქცა უკმაყოფილება სამედიცინო პრობლემად.“ (Bourne, 2011)

ზოგიერთი კვლევა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ გავრცელდა ნეოლიბერალური ლოგიკა ყოფილ საბჭოთა სივრცეში და როგორ მოახდინა მან ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელახალი ფორმატირება - ამგვარი განაზრებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სპეციფიკური კონტექსტებისთვის, რომლებიც პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში შეიმჩნევა, მათ შორის საქართველოში. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ ნეოლიბერალიზმმა ამ სივრცეში უკანა გზით შემოიტანა ფსიქიკური დაავადების ინდივიდუალიზაცია, მაშინ როდესაც ტანჯვა ხშირად უკავშირდება სიღარიბეს, ძალადობას, კოლექტიური სივრცეების დანაწევრებას, დეინდუსტრიალიზაციას, ინსტიტუტების ჩამოშლას, თაობების ფრუსტრაციას, გაზრდილ ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმს და სხვა. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მენტალური დაავადებებისთვის განკუთვნილი სერვისები ან არ არსებობს, ან სრულად კომოდიფიცირებულია, ხოლო ის მოქალაქეები, ვინც ვერ ახერხებენ ამ წესრიგის ფარგლებში ფუნქციონირებას, მარგინალიზებულნი და ხშირად, დასჯილნი არიან. „როცა სახელმწიფოები ნელ-ნელა აუქმებენ სოციალურ მხარდაჭერებს ან მათ ბაზარზე დაფუძნებული მექანიზმებით ანაცვლებენ, ინდივიდებს უწევთ და მათ ასწავლიან, რომ თავად აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ მოწყვლადობასა და თუ სურვილების მართვაზე - თითქოს იყვნენ 'საკუთარი თავის პორტფელის მფლობელები', როგორც ბიზნესმენები“ (Martin, 2000, გვ.582; Gershon, 2011). ამ არგუმენტების თანახმად, პოსტსოციალისტური საზოგადოებები ყალიბდება სივრცეებად, სადაც ადამიანებმა თავად უნდა ისწავლონ ცხოვრების მართვა რადიკალურად გარდაქმნილ სოციალურ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ გარემოში (Raikhel and Bemme, 2016).

ამ ავტორთა შორის არსებობს ძლიერი თეორიული თანხვედრა: ყველა მათგანი მიუთითებს, რომ მენტალური ჯანმრთელობის საკითხი არა მხოლოდ ინდივიდუალური განზომილების, არამედ პოლიტიკური და კულტურული საკითხია. ფიშერი ამხელს ტანჯვის კულტურულ და იდეოლოგიურ წარმოშობას, როუზი - პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის სისტემებს და მათ მიერ სუბიექტურობის ჩამოყალიბებას, პოსტ-საბჭოთა კვლევები კი მიუთითებენ ტრანზიციულ პროცესებსა და ხელმიუწვდომელ ჯანდაცვაზე, რაც ასეთ საზოგადოებებში კიდევ უფრო ამწვავებს გვიანდელი კაპიტალიზმის მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებს. ამ ნაშრომების ერთობლივად გააზრება გვხმარება, რომ მენტალური ჯანმრთელობა განვიხილოთ, როგორც სოციალური სამართლიანობის საკითხი — რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ თერაპიულ და ინდივიდუალურ, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩარევას. რა შეიძლება იყოს ამგვარი ჩარევა ნეოლიბერალიზმის პირობებში? სწორედ ის შესაძლებლობათა სივრცე, სადაც ალტერნატიული სოციალური წესრიგის და შესაბამისად, საერთო მენტალური კეთილდღეობის ფორმების წარმოდგენა, ზოგადად ჯანსაღი გარემოსა და შინაგანი ჰარმონიის წარმოდგენა ხდება შესაძლებელი.

თუმცა, როგორც ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, ნეოლიბერალიზმის მიერ წარმოშობილი მენტალური ცვლილებები და მენტალური ჯანდაცვის სიტემების რეაგირება არამხოლოდ ზრდის უკმაყოფილებასა და შფოთვის ზრდის, არამედ ხელს უშლის ადამიანებს ამ

ტიპის სოციალური ცვლილების წარმოდგენაში - ან მისთვის ბრძოლაშიც და შესაბამისად, ინარჩუნებს ნეოლიბერალურ მოდელს.

„ფარმაცევტულმა ინდუსტრიამ პოპულარიზაცია გაუწია იდეას, რომ პრობლემათა დიდი ნაწილი ტვინის ქიმიური დისბალანსით არის გამოწვეული. ეს გზავნილი უწყობს ხელს ნეოლიბერალური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მიზნების განხორციელებას, რადგან აღძრავს არასრულფასოვნებისა და შფოთვის განცდებს. სწორედ ეს გრძნობები ამოძრავებს მზარდ მოხმარებას, აიძულებს ადამიანებს მიიღონ უფრო სტრესული სამუშაო პირობები და აფერხებს სოციალურ და პოლიტიკურ რეაგირებას“ (Moncrieff, 2006).

ნეოლიბერალიზმი და მენტალური ჯანმრთელობა: პირდაპირი კავშირები?

2021 წელს გამოქვეყნებულ სიმულაციურ ოთხეტაპიან კვლევაში, რომელმაც 1 026 ადამიანი გამოკითხა იმის შესახებ, თუ რამდენად აღიქვამენ ისინი საკუთარ საზოგადოებას და მათ ჯანმრთელობას ნეოლიბერალურ მდგომარეობად, მეოთხე ეტაპზე (N=303) დადგინდა, რომ “ნეოლიბერალური იდეოლოგიის გაფართოება ზრდის მარტოობას და ამცირებს მენტალურ კეთილდღეობას” . (Becker et al., 2021)

ზოგიერთ კვლევაში დეტალურადაა განხილული, თუ როგორ იზრდება დიაგნოსტიკების სტატისტიკა და ფართოვდება მისი შინაარსობრივი ველი ნეოლიბერალიზმის პირველ ტალღასთან ერთად, მის შედეგებთან გასამკლავებელ ერთადერთ შესაძლო გამოსავლად კი ეს პროცესი მედიკამენტოზურ მკურნალობას სახავს. მაგალითად, DSM III-ის (ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის (APA) მიერ 1980 წელს გამოშვებული ფსიქიკური აშლილობების კლასიფიკაციის მეშვეობით გამოყენებული სახელმძღვანელო) გამოსვლამ გაზარდა დიაგნოსტიკების შემთხვევები, რომლებიც „ქიმიური იმბალანსის“ ცნებაზე დაფუძნებულ ვარაუდებს ემყარებოდა. ეს უკანასკნელი ფარმაცევტულმა კომპანიებმა საკუთარი მარკეტინგისთვის გამოიყენეს (Raven and Perry, 2012).

ჟურნალ Sociology of Health & Illness-ის 30 ნომერში ვკითხულობთ, რომ: „ფარმაცევტული კომპანიები აქტიურად არიან ჩართული დაავადებათა დენიფინიციების დაფინანსებაში, იმით, რომ გარდაქმნიან ე.წ. ‘ჩვეულებრივ წუხილებს’- მაგალითად, შეუძლოდ ყოფნას - სამედიცინო პრობლემებად ... ხოლო პიროვნულ პრობლემებს აქცევენ სამედიცინო პრობლემად“ (Williams et al., 2011).

აღსანიშნავია, რომ 2001–2006 წლებში ანტიდეპრესანტების კლინიკურ მიმდებთა 70%-ზე მეტი პლაცებო ეფექტით გათანაბრებული აღმოჩნდა: მაგალითად Merck-ის ახალმა წამალმა „MK 869“ ვერ აჯობა პლაცებოს. ირვინგ კირში ჰარვარდის ფსიქოლოგია, რომელმაც მოწინავე კვლევების მეტა-ანალიზით აჩვენა, რომ ანტიდეპრესანტების ეფექტურობა უმეტესად პლაცებო ეფექტს არ სცდება, განსაკუთრებით - მსუბუქი და ზომიერი დეპრესიის შემთხვევებში. მისი კვლევების საფუძველი იყო FDA-ში წარმოდგენილი, გამოუქვეყნებელი კლინიკური კვლევების ანალიზი, რაც აჩვენებდა, რომ პაციენტების რეაქცია ხშირად არ განსხვავდებოდა პლაცებო კონტროლისგან. Merck-ის პრეპარატმა „MK-869“ (ახალი ტიპის ანტიდეპრესანტი) - რომელიც საბოლოოდ ბაზარზე არ გამოვიდა - ვერ აჩვენა საკუთარი უპირატესობა, რადგან მას პლაცებო ეფექტთან შედარებით უსუსტესი ეფექტი ჰქონდა (Kirsch, 2009).

ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკები, რომლებიც განსაკუთრებით 1980-იანი წლებიდან ძლიერდებოდა აშშ-ში, მნიშვნელოვნად დაკავშირებულია მენტალური ჯანმრთელობის კრიზისის გაღრმავებასთან. კერძოდ, 1999 წლიდან მკვეთრად მოიმატა ე.წ. „უიმედობისგან გამოწვეული სიკვდილის“ (deaths of despair) შემთხვევებმა — თვითმკვლელობებმა, ალკოჰოლიზმითა და ნარკოდამოკიდებულებით გამოწვეულმა სიკვდილმა თუ სხვა, რაც ყველაზე მძაფრად შეეხო უმაღლესი განათლების არმქონე თეთრკანიან მამაკაცებს, რომლებიც არასტაბილურ და დაუცველ შრომით პოზიციებზე მუშაობდნენ. ნეოლიბერალიზმის პირობებში, სადაც სახელმწიფო თანდათან უკან იხევს სოციალური დაცვის სისტემებიდან და ინდივიდს აბარებს პასუხისმგებლობას საკუთარი ბიოგრაფიისა და წარმატების სრულ მართვაზე, სწორედ ის ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი რესურსი კონკურენციისთვის, განსაკუთრებულად მოწყვლადები ხდებიან. შრომის უსაფრთხოების

შესუსტება, სიღარიბე, სოლიდარობის ქსელების დაშლა და უიმედობა, რომელსაც ვერ ართმევს თავს ფსიქიკური ჯანდაცვის არაეფექტური სისტემა, ქმნის წნეხს, რომელიც საბოლოოდ სიცოცხლის შემცირებულ ხანგრძლივობასა და თვითდესტრუქციულ ქცევებში ვლინდება (Case and Deaton, 2020).

ზოგიერთი ავტორი აღწერს, თუ როგორ გადაიზარდა ფსიქიატრიული მოვლა სისტემური რეპრესიების მექანიზმად, როცა ჩამოიშალა სახელმწიფოსგან მხარდაჭერილი ინსტიტუციური ზრუნვა და გაიზარდა კრიმინალი, რის შედეგადაც ადამიანები ციხეებში აღმოჩნდნენ. სახელმწიფო სოციალური სერვისების ჩამოშლა ან შეკვეცა ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. ენ პარსონსი აღწერს, თუ როგორ მოხდა ფსიქიატრიული საავადმყოფოების შემცირება და როგორ ჩანაცვლდა ის ციხეებით. მისი თქმით 1955 წელს, ერთი ფსიქიატრიული საწოლი დაახლოებით 300 ადამიანზე იყო გათვლილი, 21-ე საუკუნეში კი ეს რიცხვი 3000-ზე მეტით გაიზარდა (Parsons, 2018).

კრიტიკული ჯანდაცვის სოციოლოგებისა და ანთროპოლოგების მიერ ნეოლიბერალიზმისა თუ გვიანდელი კაპიტალიზმის შედეგად მენტალური ჯანმრთელობის გამოწვევების დამძიმების კონცეპტუალიზაცია საკმაოდ ფართოა, თუმცა შედარებით ნაკლებია კონკრეტული მონაცემები თუ კვლევები თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. პოლონეთის მაგალითის უახლესი კვლევა აჩვენებს, რომ დეპრესიის ფსიქიატრიული კონცეპტუალიზაცია უფრო და უფრო მეტად შეესაბამება გლობალური მენტალური ჯანმრთელობის ჩარჩოებს, რაც ამდაფრებს პოლონურ ფსიქიატრიაში ბიომედიცინის დომინაციისა და მენტალური ჯანმრთელობის ეკონომიკურ ჩარჩოში მოქცევის ტენდენციებს, რაც კარგად ჩანს პოლონეთის ფსიქიატრთა ასოციაციის ოფიციალურ ჟურნალში, ისევე, როგორც 2010-იანი წლებიდან გამოქვეყნებულ ჯანდაცვის პოლიტიკის დოკუმენტებში, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განცხადებებში (Szulecka, 2024). ამ კვლევის მიხედვით, დასავლეთთან დაახლოების მიზნით პოლონეთში, ერთი მხრივ, თავისებურად იწარმოება და ინტერპრეტირდება დეპრესიის გავრცელების მონაცემები; მეორე მხრივ კი ხდება მენტალური აშლილობების გააზრება ეკონომიკურ ჩარჩოში, რაც დეპრესიისადმი დომინანტურ მიდგომად იქცევა პოლონურ ფსიქიატრიაში და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში. ამგვარად, პოლონეთის კონკრეტულ კონტექსტში გლობალური მენტალური ჯანმრთელობის დღის წესრიგის შეღწევის ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალიზებული და ბიომედიკალიზებული ხედვების გაძლიერებას, შესაძლებელს ხდის მენტალური ჯანმრთელობის პოსტკოლონიური კრიტიკის გაღრმავებას.

დასკვნა

სხვადასხვა მეთოდისა თუ პერიოდის (როგორც ადრეულ, ისე გვიანდელ; ასევე, როგორც როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ) აკადემიურ კვლევებში მკაფიოდ ჩანს, რომ ნეოლიბერალური პოლიტიკები - იქნება ეს სოციალური დაცვის სერვისების შემცირება, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის იდეოლოგია, სოციალური უთანასწორობა, დაუცველი შრომითი ურთიერთობები, „უკეთესი ცხოვრების“ მოლოდინები და სურვილები თუ მრავალი სხვა; აგრეთვე მზარდი ფარმაცევტული ინდუსტრიული მიმოქცევა და ჯანდაცვის სისტემების ფარმაცევტულ ბაზარზე და კერძო ჯანდაცვის კომპანიებზე ორიენტირება იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებსა და პროცესებს სოციალურ ცხოვრებაში, რაც უკავშირდება როგორც მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებას, ისე ამ პროცესის თანმდევ პროცესებს, როგორცაა დიაგნოსტირება და მკურნალობა, რიგ შემთხვევებში კი ამ სერვისებზე ხელმიწვდომლობის გამო ფსიქიკური და მენტალური მოვლის სისტემების რეპრესიული და სადამსჯელო ორგანოებით ჩანაცვლებას. პოსტ-საბჭოთა საზოგადოებებში და იმ ქვეყნებში, სადაც გარდამავალი, ტრანზიციული რეფორმები მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკურ სისტემასთან ან დასავლეთთან უკეთესი ადაპტაციის მიზნით, ეს პრობლემები კიდევ უფრო გამწვავებულია. ჩამოთვლილი ტენდენციები დასტურდება რიგი მონაცემებით, მაგალითად - თვითმკვლელობისა და თვითდესტრუქციის მაჩვენებლებით, დეპრესიით, სოციალური სტრესით, კრიმინალის ზრდით, პლაცებო-დამოკიდებული მკურნალობით და სხვა. სოციალური სერვისების შემცირების ზრდის ფონზე, თანამედროვე ნეოლიბერალური სისტემა აგრძელებს არამხოლოდ მენტალური ტანჯვის წარმოებას ან ინტენსიფიკაციას, არამედ მისი

მკურნალობის პროცესით საბაზრო მოგების კვებას, ეს ყველაფერი კი ჯერ კიდევ აღიქმება არა როგორც სისტემური გამოწვევა, არამედ როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა

Becker, J.C., Hartwich, L., Haslam, S.A. (2021). Neoliberalism Can Reduce Well-Being by Promoting a Sense of Social Disconnection, Competition, and Loneliness. *British Journal of Social Psychology* 60 (3): 947–965.

Bourne, J. (2011). From Bad Character to BPD: The Medicalization of ‘Personality Disorder.’ In *De-medicalizing Misery: Psychiatry, Psychology and the Human Condition*, edited by Mark Rapley, Joanna Moncrieff, and Jacqui Dillon, 66–85. London: Palgrave Macmillan.

Case, A., Deaton, A. (2020). *Deaths of Despair and the Future of Capitalism*. Princeton, NJ: Princeton University Press.

Esposito, L., Perez, F.M. (2014). Neoliberalism and the Commodification of Mental Health. *Humanity & Society* 38 (4): 414–442.

Fisher, M. (2009). *Capitalist Realism: Is There No Alternative?* Winchester, UK: Zero Books.

Gershon, I. (2011). Neoliberal Agency. *Current Anthropology* 52 (4): 537–555.

Kirsch, I. (2009). Antidepressants and the Placebo Response. *Epidemiology and Psychiatric Sciences* 18 (4): 318–322.

Martin, E. (2000). Mind–Body Problems. *American Ethnologist* 27 (3): 569–590.

Moncrieff, J. (2006). Psychiatric Drug Promotion and the Politics of Neoliberalism. *The British Journal of Psychiatry* 188 (4): 301–302.

Parsons, A.E. (2018). *From Asylum to Prison: Deinstitutionalization and the Rise of Mass Incarceration in America*. New York: Routledge.

Raikhel, E., Dörte B. (2016). Postsocialism, the Psy-ences and Mental Health. *Transcultural Psychiatry* 53 (2): 151–175.

Raven, M., Parry, P. (2012). Psychotropic Marketing Practices and Problems: Implications for DSM-5. *The Journal of Nervous and Mental Disease* 200 (6): 512–516.

Rose, N. (1989). *Governing the Soul: The Shaping of the Private Self*. London: Routledge.

Szulecka, B. (2024). The ‘Diagnostic Gap’ and ‘Economic Burden’ of Depression: Global Mental Health in Neoliberal Poland (2010s–2020s). *Social Science & Medicine* 344: 116649.

Thomas, C. (2013). “Some Perspectives on Improving Access to Psychological Therapies (IAPT).” *Counselling Directory* 17.

Williams, S.J., Gabe, J., Davis, P. (2011). The Sociology of Pharmaceuticals: Progress and Prospects. *Sociology of Health & Illness* 33 (5): 719–733.




ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია

Health Policy, Economics & Sociology PRINT ISSN 2960-9992

ONLINE ISSN 2960-9984

შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელის დანერგვა საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სექტორში: ესტონეთის გამოცდილების ანალიზი
Implementing a Results-Based Financing Model in the Primary Health Care Sector of Georgia: An Analysis of the Estonian Experience

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.11>


თენგიზ ვერულავა^{1ა}

Tengiz Verulava^{1a}

¹ ბიზნესის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ School of Business, Caucasus University, Tbilisi, Georgia

⁶verulava@cu.edu.ge

 <https://orcid.org/0000-0001-8110-5485>

აბსტრაქტი

შესავალი: პირველადი ჯანდაცვა (პჯდ) წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების, დაავადებების პრევენციისა და ჯანდაცვის ხარჯების შემცირების ფუნდამენტურ ინსტრუმენტს. საქართველოში მოქმედი დაფინანსების მოდელი ეფუძნებოდა ერთიან ფიქსირებულ კაპიტაციას, რომელიც სრულად ვერ ითვალისწინებს ასაკთან



⁶ This is an open-access article distributed under the terms of the Creative Commons Attribution 4.0 International License (CC BY 4.0), which permits unrestricted use, distribution, and reproduction in any medium, provided the original author and source are credited.

შესავალი: ვაქცინაცია არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერვენცია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა ინფექციური დაავადებების ტვირთი. მიუხედავად მისი ეფექტიანობისა, საზოგადოებაში პერიოდულად ჩნდება სკეპტიციზმი და დეზინფორმაცია, რაც ხშირად გამოწვეულია ჯანდაცვის კომუნიკაციის არათანმიმდევრობით. COVID-19-ის პანდემიამ მკაფიოდ აჩვენა, რომ ურთიერთგამომრიცხავი გზავნილები ამცირებს ნდობას და აფერხებს იმუნიზაციის პროგრამების წარმატებით განხორციელებას. კვლევის მიზანია შეაფასოს ჯანდაცვის კომუნიკაციის თანმიმდევრულობის მნიშვნელობა ვაქცინაციის პროგრამების ეფექტიანობისთვის და გააანალიზოს ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ნდობასა და კომუნიკაციის სანდოობას. **მეთოდები:** ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას და 2015–2025 წლების შუალედში გამოქვეყნებული საერთაშორისო ორგანიზაციების (WHO, UNICEF, OECD, Gavi) ანგარიშებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სისტემურ მიმოხილვას. შერჩევის კრიტერიუმებია თანამედროვეობა, რელევანტურობა და სამეცნიერო ავტორიტეტულობა. **შედეგები:** ლიტერატურის ანალიზმა აჩვენა, რომ თანმიმდევრული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული კომუნიკაცია ზრდის ნდობას, ამცირებს დეზინფორმაციის გავლენას და ხელს უწყობს ვაქცინაციისადმი საზოგადოებრივი თანხმობის ჩამოყალიბებას. კვლევები ცხადყოფს, რომ კოორდინირებული კომუნიკაციური სტრატეგიები მნიშვნელოვნად ზრდის იმუნიზაციის მოცვას და ეფექტიანობას. **დასკვნა:** ჯანდაცვის კომუნიკაციის თანმიმდევრულობა არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ ეთიკური და მორალური ვალდებულებაა. საზოგადოების წევრებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ერთგვაროვან და სანდო ინფორმაციაზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულ არჩევანსა და სამართლიანობას. შესაბამისად, თანმიმდევრული კომუნიკაცია უნდა აღიქმებოდეს როგორც გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიული ინვესტიცია, რომელიც უზრუნველყოფს იმუნიზაციის მდგრადობას, სოციალური ნდობის გაძლიერებას და სიცოცხლის გადამრჩენი პროგრამების ეფექტიან რეალიზაციას.



საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის კომუნიკაცია, ვაქცინაცია, დეზინფორმაცია, შეთქმულების თეორიები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ეთიკა.

რეკომენდირებული ციტირება: შონაძე დ. (2025). თანმიმდევრული ჯანდაცვის კომუნიკაციის მნიშვნელობა ვაქცინაციის პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.13>.

Abstract

Introduction: Vaccination is one of the most successful public health interventions of the past two centuries, having saved millions of lives and significantly reduced the burden of infectious diseases, both economically and in terms of health and mortality. Despite its proven effectiveness, negative public attitudes toward vaccination have periodically emerged and intensified over time. This phenomenon is reflected in the creation and spread of disinformation and conspiracy theories, often fueled by inconsistent communication campaigns from health authorities. The COVID-19 pandemic marked a major turning point, clearly demonstrating the dangers that arise when the public receives contradictory messages and ambiguous information. Such inconsistency undermines trust, fosters skepticism, and hampers the successful implementation of immunization programs, thereby reducing coverage rates. Against this backdrop, consistent, transparent, and evidence-based health communication has become one of the main pillars of global public health protection. This study aims to examine and evaluate the importance of consistency in health communication for the effective implementation of vaccination programs, analyze the theoretical foundations of health communication, explore global experiences, and assess the principles of strategic communication in combating disinformation. It also seeks to identify key factors that determine the credibility of communication and the degree of public trust. **Methods:** Methodologically, the study employs a qualitative approach and a systematic review of the literature. The analysis draws upon reports from the World Health Organization (WHO), UNICEF, OECD, and Gavi, as well as authoritative scientific publications from 2015 to 2025. Selection criteria included modernity, relevance, and scientific credibility. Content analysis of the literature revealed key trends, including the impact of communication consistency on trust, the psychological mechanisms underlying disinformation, the social origins of conspiracy theories, and the ethical considerations in health communication. **Results:** The findings demonstrate that consistent communication is essential for maintaining public trust, promoting behavioral change, and enhancing resilience to disinformation. Unified and coordinated messaging—across levels from international organizations to local health personnel - promotes public awareness and adherence to vaccination programs. This is evidenced by the cases of New Zealand, Finland, and Rwanda, where coordinated communication strategies contributed significantly to vaccination success. **Conclusion:** The study concludes that consistency in health communication is not merely a technical matter but an ethical and moral imperative. The core principles of public health ethics—autonomy, fairness, and non-maleficence—require that all individuals receive equally reliable, consistent, and comprehensible information, which is essential for informed decision-making. Consistency also represents a form of democratic accountability, as transparent communication strengthens public engagement. Ultimately, the success of immunization programs depends substantially on consistent health communication, which should be regarded as a strategic investment ensuring the sustainability of immunization, the strengthening of social cohesion, and the effectiveness of life-saving health interventions.

Keywords: Health communication, vaccination, disinformation, conspiracy theories, public health, ethics.

Recommended Citation: Shovnadze D. (2025). The importance of consistent health communication for the successful implementation of vaccination programs. *Health Policy, Economics and Sociology*, 9(2). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.13>.

შესავალი

ვაქცინაცია რჩება ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საზოგადოებრივ ჯანმრთელობის ინტერვენციად, რომელიც ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს სიკვდილს აცილებს თავიდან და ამცირებს ინფექციური დაავადებების ტვირთს მთელ მსოფლიოში (WHO, 2023a). მიუხედავად დამტკიცებული სარგებლისა, საზოგადოების მხრიდან მათ მიღებას სულ უფრო მეტად უქმნის პრობლემებს და შეფერხებებს ფართოდ გავრცელებული დეზინფორმაციული ნაკადები, ინსტიტუტებისადმი უნდობლობა და ჯანდაცვის ორგანოების არათანმიმდევრული კომუნიკაცია (Betsch et al., 2020). COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ კარგად აჩვენა, თუ როგორ შეუძლია ფრაგმენტულ და წინააღმდეგობრივ ჯანმრთელობის მესიჯებს შეარყიოს საზოგადოების ნდობა, გამოიწვიოს დაბნეულობა და გააძლიეროს შეთქმულების თეორიები (Dubé et al., 2021).

თანმიმდევრული ჯანდაცვის კომუნიკაცია ვაქცინაციის პროგრამების პოპულარიზაციისა და საზოგადოებრივ ჯანდაცვის განათლების ქვაკუთხედაა. ის უზრუნველყოფს იმას, რომ ინდივიდებმა მიიღონ მკაფიო, სანდო და თანმიმდევრული მესიჯები ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ყველა დონეზე — გლობალური ორგანიზაციებიდან ადგილობრივ მედპერსონალის ჩათვლით. მესიჯების თანმიმდევრულობა აძლიერებს ნდობას, აუმჯობესებს გაგებას და ამცირებს დეზინფორმაციის მავნე ზემოქმედებას (Omer et al., 2020).

ეს სტატია განიხილავს ვაქცინაციის კამპანიებში თანმიმდევრული ჯანდაცვის კომუნიკაციის შენარჩუნების მნიშვნელობას გლობალური პერსპექტივიდან. ის იკვლევს, თუ როგორ აყალიბებს თანმიმდევრულობა ნდობას, როგორ უპირისპირდება შეთქმულების ნარატივებს და როგორ აძლიერებს საზოგადოების დამყოლობას ვაქცინაციის რეკომენდაციებთან მიმართებაში. გარდა ამისა, იგი განიხილავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებსა და საუკეთესო პრაქტიკებს, რომლებიც გლობალურად არის დანერგილი ჯანდაცვის კომუნიკაციაში თანმიმდევრულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

მეთოდები

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვის მეთოდოლოგიას, რომლის მიზანია თემასთან დაკავშირებული მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილების გაანალიზება. კვლევის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტები, ასევე ავტორიტეტული სამეცნიერო სტატიები და პუბლიკაციები.

ლიტერატურის შერჩევა განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ავტორიტეტულობა: გამოყენებულია მაღალი იმპაქტის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები და საერთაშორისო ორგანიზაციების (WHO, UNICEF, OECD, Gavi და სხვ.) ანგარიშები.

რელევანტურობა: შერჩეული მასალები უშუალოდ ეხება ჯანდაცვის კომუნიკაციის თანმიმდევრულობის მნიშვნელობას, მის ელემენტებსა და პრაქტიკულ მაგალითებს.

თანამედროვეობა: ლიტერატურის უმრავლესობა მოიცავს უკანასკნელი ათწლეულის (2015–2025 წწ.) კვლევებსა და პუბლიკაციებს.

მიმოხილვის პროცესში გამოყენებულია თემატური შინაარსობრივი ანალიზი, რომლის მეშვეობითაც იდენტიფიცირდა და შეჯერდა სხვადასხვა წყაროში წარმოდგენილი ძირითადი თემები და ტენდენციები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანდაცვის კომუნიკაციაში თანმიმდევრულობის როლის გაანალიზებას, დეზინფორმაციისა და შეთქმულების თეორიებთან ბრძოლის მექანიზმების შესწავლას, ასევე საზოგადოებრივ ნდობის შენარჩუნების სტრატეგიების შეფასებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანმიმდევრული ჯანდაცვის კომუნიკაციის თეორიული საფუძვლები

ჯანდაცვის კომუნიკაცია დაფუძნებულია სიცხადის, გამჭვირვალობისა და ემპათიის პრინციპებზე (Kalke et al., 2021). თეორიული მოდელები, როგორცაა ჯანმრთელობის რწმენის მოდელი (Health Belief Model), დაგეგმილი ქცევის თეორია (Theory of Planned Behavior) და რისკის სოციალური გაძლიერების ჩარჩო (Social Amplification of Risk Framework), ხაზს უსვამენ კომუნიკაციის კრიტიკულ როლს ჯანმრთელობის ქცევების ფორმირებაში.

არათანმიმდევრული ან ორაზროვანი მესიჯები არღვევს ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, იწვევს დაბნეულობას, უნდობლობას და ეჭვს. თანმიმდევრულობა კი არ შემოიფარგლება მესიჯების განმეორებით; იგი გულისხმობს ინფორმაციის შინაარსობრივ და ტონალურ შეთანხმებას დროის, წყაროსა და პლატფორმების ჭრილში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO, 2022) განმარტებით, თანმიმდევრული კომუნიკაცია მოიცავს სიზუსტეს, უწყვეტობასა და ჰარმონიას ყველა საკომუნიკაციო არხში, რაც გამორიცხავს წინააღმდეგობებსა და გაურკვევლობებს გლობალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებს შორის.

თანმიმდევრული მესიჯები ასევე ხელს უწყობს კოგნიტურ გამართულობას (cognitive fluency), რაც გულისხმობს იმ სიმარტივეს, რომლითაც ინდივიდები ამუშავებენ მიღებულ ინფორმაციას. სტაბილური და პროგნოზირებადი მესიჯი აღიქმება უფრო სანდოდ და ჭეშმარიტად (Pennycook et al., 2018), ხოლო წინააღმდეგობრივი ან მერყევი კომუნიკაცია — მაგალითად, მკაფიო განმარტებების გარეშე შეცვლილი გაიდლაინები — ასუსტებს ნდობას. მსგავსი მაგალითი გამოიკვეთა COVID-19-ის პანდემიის ადრეულ ეტაპებზე, როდესაც ურთიერთგამომრიცხავი გზავნილები ნიღბების, ვაქცინაციისა და გადაცემის გზების შესახებ მნიშვნელოვან დაბნეულობას იწვევდა (Hornsey et al., 2021).

თანმიმდევრულობის როლი ნდობის ჩამოყალიბებაში

ნდობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის კომუნიკაციის საკვანძო საფუძველს. ნდობის გარეშე, ყველაზე მეცნიერულად დასაბუთებულმა მესიჯებმაც კი შეიძლება ვერ მოახდინონ გავლენა ქცევაზე (Larson et al., 2018). კომუნიკაციის თანმიმდევრულობა ზრდის სანდოობას, ხელს უწყობს გამჭვირვალობას და ქმნის სტაბილურ საინფორმაციო გარემოს.

ჯანმოსა და UNICEF-ის 2021 წლის საკომუნიკაციო ჩარჩოს მიხედვით, თანმიმდევრულობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი ხუთი გადამწყვეტი ფაქტორი საზოგადოებრივი ნდობის შესანარჩუნებლად საგანგებო სიტუაციებში (WHO, 2021b). როდესაც ჯანდაცვის ორგანოები უზრუნველყოფენ შეთანხმებულ და სტაბილურ ინფორმაციას, საზოგადოება მათ აღიქვამს კომპეტენტურ და საიმედო ინსტიტუტებად. საპირისპიროდ, არათანმიმდევრული მესიჯები ქმნის შთაბეჭდილებას დეზორგანიზაციისა ან ფარული მიზნების არსებობის შესახებ, რაც აძლიერებს უნდობლობას და ხელს უწყობს შეეთქმულების თეორიების გავრცელებას.

ჯანდაცვის პროფესიონალები — ექიმები, ექთნები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები — რჩებიან ვაქცინების შესახებ ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროებად. როდესაც ისინი ერთიან მესიჯებს ავრცელებენ, სხვადასხვა არხიდან მოსული თანხვედრილი ინფორმაცია აძლიერებს მის მიღებას. ოფიციალურ განცხადებებსა და ადგილობრივ კომუნიკაციას შორის შეუსაბამობა კი ამცირებს ნდობას და ვაქცინაციისადმი მზადყოფნას.

დაბალ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა ფრაგმენტულია, თანმიმდევრულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მრავალენოვან და კულტურულად მრავალფეროვან გარემოში. ერთიანი მესიჯები ამცირებს გაუგებრობებს და უზრუნველყოფს ჯანდაცვის ინფორმაციის სამართლიან გავრცელებას (Gavi, 2022).

თანმიმდევრულობა არ არის მხოლოდ მესიჯების განმეორება, არამედ გულისხმობს ინფორმაციის შეთანხმებას დროის, წყაროებისა და პლატფორმების კონტექსტშიც. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO, 2022) განმარტებით, თანმიმდევრული კომუნიკაცია მოიცავს მესიჯის სიზუსტეს, უწყვეტობას და ჰარმონიას ყველა საკომუნიკაციო

არხში, რაც უზრუნველყოფს გლობალურ, ეროვნულ ან ადგილობრივ დონეებს შორის წინააღმდეგობების და გაურკვევლობების არარსებობას.

გლობალური გამოცდილება: ვაკცინაციის კამპანიებიდან

COVID-19 პანდემია

COVID-19-ის პანდემია მნიშვნელოვანი გამოცდა იყო გლობალური ჯანდაცვის კომუნიკაციის სისტემებისთვის. ადრეულ ეტაპზე სწრაფად ცვალებადი სამეცნიერო ცოდნა და არათანმიმდევრული გზავნილები — ნიღბების გამოყენებაზე, ვაკცინების უსაფრთხოებაზე და დაავადების გადაცემის მექანიზმებზე — იწვევდა დაბნეულობასა და სკეპტიციზმს (Betsch et al., 2020).

ქვეყნებმა, როგორცაა ახალი ზელანდია, ფინეთი და სამხრეთ კორეა, რომლებიც ახორციელებდნენ გამჭვირვალე და თანმიმდევრულ კომუნიკაციას, აჩვენეს ვაკცინაციისადმი დამყოლობის მაღალი დონე (OECD, 2022). მათ მიმართეს რეგულარული ბრიფინგების პრაქტიკას, ექსპერტთა ჩართულობას და მრავალარხიან კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფდა ინფორმაციის თანხვედრას. საპირისპიროდ, ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური და სამეცნიერო მესიჯები წინააღმდეგობრივად ჟღერდა, დაფიქსირდა ვაკცინაციის დაბალი მაჩვენებლები და დეზინფორმაციისადმი მაღალი მგრძობელობა (Burki, 2021).

პოლიომიელიტის აღმოფხვრის კამპანიები

პოლიომიელიტის გლობალური აღმოფხვრის ინიციატივამ (WHO, UNICEF, Rotary International) აჩვენა, რომ თანმიმდევრული კომუნიკაცია ხანგრძლივად ინარჩუნებს საზოგადოებრივ ნდობასა და ჩართულობას (WHO, 2020). სამხრეთ აზიასა და აფრიკაში კულტურულად მორგებულმა და თანმიმდევრულმა მესიჯებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ვაკცინაციისადმი წინააღმდეგობა. 2003–2004 წლებში ჩრდილოეთ ნიგერიაში პოლიოვაკცინაციის ბოიკოტი, რომელიც გავრცელებულმა შეთქმულების თეორიებმა გამოიწვია, მოგვარდა მხოლოდ მაშინ, როცა მესიჯები შეთანხმდა ადგილობრივ რელიგიურ ლიდერებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის (Jegede, 2007).

HPV ვაკცინის კომუნიკაცია

ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) ვაკცინის დანერგვის პროცესში არათანმიმდევრულმა კომუნიკაციამ მნიშვნელოვნად იმოქმედა საზოგადოებრივ დამოკიდებულებაზე. იაპონიაში მედიამ გააძლიერა დაუდასტურებელი გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაცია, რამაც ვაკცინაციის მოცვა 70%-დან 1%-ზე ნაკლებამდე შეამცირა ერთ წელიწადში (Wilson et al., 2020). საპირისპიროდ, ავსტრალიაში თანმიმდევრული და პოზიტიური ნარატივით — რომელიც ფოკუსირდებოდა კიბოს პრევენციაზე — მიღწეული იქნა მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი იმუნიზაციის დონე (Oketch et al., 2023).

წარმატებული თანმიმდევრული კომუნიკაციის მაგალითები

ფინეთის საკომუნიკაციო სტრატეგია COVID-19-ის წინააღმდეგ

ფინეთის ჯანდაცვის ორგანოებმა, ფინეთის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით, შექმნეს მრავალენოვანი საინფორმაციო პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას ყოველდღიურად მიეწოდებოდა ერთიანი, განახლებული და მკაფიო ინფორმაცია. კამპანიის მთავარ ხაზს წარმოადგენდა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, რაც უზრუნველყოფდა ევროპაში საზოგადოებრივი ნდობის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დონეს (OECD, 2022).

რუანდის ვაკცინაციის კამპანიები

რუანდის ჯანდაცვის სამინისტრომ HPV-ისა და COVID-19-ის ვაკცინაციის ეროვნული კამპანიები განახორციელა კოორდინირებული კომუნიკაციის საფუძველზე — ეროვნული დონიდან სოფლის დონემდე. ერთიანი მესიჯების თანმიმდევრულობა, რომელიც გაძლიერებული იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკების აქტიური ჩართულობით, უზრუნველყოფდა მოსახლეობის ინფორმირებულობას და ვაკცინაციის 90%-ზე მეტი მოცვის მიღწევას (Gavi, 2022).

ახალი ზელანდიის გამჭვირვალე მესიჯები

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი და ჯანდაცვის ოფიციალური პირები რეგულარულად მართავდნენ საჯარო ბრიფინგებს თანმიმდევრული, მკაფიო და ემპათიური ტონით. „ხუთი მილიონიანი გუნდის“ (Team of Five Million) ნარატივმა მოახერხა საზოგადოების გაერთიანება, ნდობის შენარჩუნება და დეზინფორმაციის ეფექტური შეჩერება (OECD, 2022).

თანმიმდევრულობის გაზომვა და შეფასება

ეფექტური კომუნიკაცია მოითხოვს სისტემატურ შეფასებას. შეფასების ინდიკატორები მოიცავს:

- მესიჯების თანმიმდევრულობას სხვადასხვა წყაროს შორის,
- განახლებების სიხშირესა და დროულობას,
- საზოგადოების ინფორმირებულობისა და გაგების დონეს.

ასეთი შეფასებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტები, როგორცაა სენტიმენტისა და ემოციების ანალიზი, ფოკუს-ჯგუფები, მედია მონიტორინგი და საზოგადოებრივი აღქმის კვლევები (WHO, 2023a). უწყვეტი მონიტორინგი საშუალებას აძლევს ჯანდაცვის სისტემებს დროულად მოერგონ ცვლილებებსა და გამოწვევებს, თავიდან აიცილონ არათანმიმდევრული მესიჯები და შეინარჩუნონ გრძელვადიანი სანდობა.

დასკვნა

თანმიმდევრული ჯანდაცვის კომუნიკაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას ვაქცინაციის პროგრამების წარმატებული განხორციელებისთვის. ის ქმნის და ინარჩუნებს ნდობას, ამცირებს დეზინფორმაციის გავლენას და ხელს უწყობს სამართლიან, ინფორმირებულ საზოგადოებრივ აღქმებს.

გლობალური გამოცდილება — COVID-19-ის, პოლიომიელიტის აღმოფხვრისა და HPV-ის ვაქცინაციის მაგალითებზე დაფუძნებით — ცხადყოფს, რომ მესიჯის თანმიმდევრულობა ხშირად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ქცევის მიმართულებას, ანუ მიიღებს თუ უარყოფს მოსახლეობა ვაქცინაციის პროცესს.

თანამედროვე საინფორმაციო გარემოში, სადაც შეთქმულების თეორიები და ციფრული დეზინფორმაცია სწრაფად ვრცელდება, თანმიმდევრულობა უნდა იქცეს ყველა პლატფორმასა და მონაწილეს შორის საერთო, გამაერთიანებელ ხაზად. მთავრობებმა, ჯანდაცვის ორგანიზაციებმა და მედიამ უნდა უზრუნველყონ კოორდინაცია, რათა გავრცელებული გზავნილები იყოს ერთგვაროვანი, გამჭვირვალე და ემპათიური.

საბოლოოდ, ჯანდაცვის სფეროში თანმიმდევრული კომუნიკაცია არის როგორც მეცნიერული, ისე მორალური იმპერატივი — შემაერთებელი ქსოვილი, რომელიც აკავშირებს საზოგადოებრივ ნდობას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შედეგებთან. იგი უზრუნველყოფს, რომ სიცოცხლის გადამრჩენი ვაქცინები ეფექტიანად მიეწოდოს ყველა ჯგუფს და თაობას, საზოგადოებრივი კეთილდღეობის სამართლიანი და მდგრადი განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Betsch, C., Böhm, R., Korn, L., & Holtmann, C. (2020). On the benefits of explaining herd immunity in vaccine advocacy. *Nature Human Behaviour*, 4(4), 372–379.
2. Burki, T. (2021). Vaccine misinformation and social media. *The Lancet Digital Health*, 3(5), e219–e220.
3. Childress, J.E., Faden, R.R., Gaare, R.D., Gos M.L., Kahn, J., Bonni, R.J., Kass, N.E., Mastroianni, A.C., Moreno, J.D., Nieburg, P. (2002). Public health ethics: Mapping the terrain. *Journal of Law, Medicine & Ethics*, 30(2), 170–178.
4. Cinelli, M., Quattrocioni, W., Galeazzi, A., Valensise, C.M., Brugnoli, E., Schmidt, A.L., Zola, P., Zollo, F., Scala, A. (2020). The COVID-19 social media infodemic. *Scientific Reports*, 10(1), 16598.

5. Douglas, K.M., Uscinski, J.E., Sutton, R.M., Cichocka, A., Nefes, T., Chee Siang Ang., Deravi, F. (2019). Understanding conspiracy theories. *Political Psychology*, 40(S1), 3–35.
6. Dubé, E., Ward, J.K., Verger, P., MacDonald, N.E. (2021). Vaccine hesitancy: An overview. *Human Vaccines & Immunotherapeutics*, 17(5), 1599–1609.
7. Gavi, The Vaccine Alliance. (2022). *Rwanda's success in vaccination campaigns*.
8. Hornsey, M.J., Harris, E.A., Fielding, K.S. (2021). The psychological roots of anti-vaccination attitudes. *PNAS*, 118(25), e2106445118.
9. Jegede, A.S. (2007). What led to the Nigerian boycott of the polio vaccination campaign? *PLoS Medicine*, 4(3), e73.
10. Kalke, K., Studd, H., Scherr, C.L. (2021). Communicating uncertainty in public health. *Health Communication*, 36(1), 10–18.
11. Larson, H.J., Clarke, R.M., Jarrett, C., Eckersberger, E., Levine, Z., Schulz, W.S., Paterson, P. (2018). Measuring trust in vaccination: A global perspective. *The Lancet*, 392(10161), 2244–2256.
12. Lewandowsky, S., Cook, J., Ecker, U.K.H. (2021). The Debunking Handbook 2020. *PLOS ONE*, 16(10), e0259050.
13. OECD. (2022). *Trust and public communication in times of crisis*. OECD Publishing.
14. Oketch, S.Y., Ochomo, E.O., Orwa, J.A., Mayieka, L.M., Abdullahi, L.H. (2023). Communication strategies to improve human papillomavirus (HPV) immunization uptake among adolescents in sub-Saharan Africa: a systematic review and meta-analysis, *BMJ Open*
15. Opel, D.J., Salmon, D.A., Marcuse, E.K. (2020). Building trust and confidence in COVID-19 vaccines. *JAMA*, 324(23), 2215–2216.
16. Pennycook, G., Rand, D.G. (2021). The psychology of fake news. *Trends in Cognitive Sciences*, 25(5), 388–402.
17. Pennycook, G., Rand, D.G. (2018). Cognitive reflection and the evaluation of fake news. *Journal of Experimental Psychology: General*, 147(12), 1865–1880.
18. van Prooijen, J. W., & Douglas, K. M. (2018). Belief in conspiracy theories: Basic principles of an emerging research domain. *European Journal of Social Psychology*, 48(7), 897–908.
19. Vosoughi, S., Roy, D., & Aral, S. (2018). The spread of true and false news online. *Science*, 359(6380), 1146–1151.
20. WHO. (2020). *Managing the COVID-19 infodemic: Promoting healthy behaviours and mitigating the harm from misinformation and disinformation*. World Health Organization.
21. WHO. (2021b). *Risk communication and community engagement during health emergencies: Interim guidance*.
22. WHO. (2022). *EARS: Early AI-supported response system*.
23. WHO. (2023a). *Immunization Agenda 2030: A global strategy to leave no one behind*. World Health Organization.
24. WHO. (2023b). *WHO partners with digital platforms to counter misinformation*.



ორმაგი თუ სამმაგი ცნობიერება? აფრიკელი იმიგრანტების გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში

<https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.14>

Oluwatimileyin Aborisade ¹⁸

ოლუვატიმილეინ აბორისადე ^{1a}

¹ Department of Sociology, Case Western Reserve University, Cleveland, USA

¹ სოციოლოგიის დეპარტამენტი, კეის ვესტერნ რეზერვის უნივერსიტეტი, კლივლენდი, აშშ

^a Oaa55@case.edu

Abstract

This paper employs W. E. B. Du Bois's concept of double consciousness to analyze the lived experiences of African immigrants in the United States. It explores what it means to be Black in a predominantly White society and what it means to navigate life as an immigrant in a country where privileges are largely mediated by citizenship and legal status. The paper argues that the experiences of Black immigrants differ markedly from those of White (European) immigrants because of the intersection of race, nationality, and citizenship. It further questions whether Du Bois's (1903) notion of double consciousness adequately captures the realities of African immigrants, or whether a broader conceptual framework - what I term triple consciousness - more effectively explains their multiple, intersecting identities and social locations.

Keywords: African Immigrants, Race and Citizenship, Structural Racism, Cultural Identity, Acculturation, Double Consciousness, Intersectionality, Racialized Legal Status, Assimilation.

Quote: Oluwatimileyin Aborisade. Double Consciousness or Triple Consciousness? Experiences of African Immigrants in the United States. *Health Policy, Economics and Sociology*, 2025; 9 (2). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.14>

აბსტრაქტი

ნაშრომი იყენებს დიუ ბოისის ორმაგი ცნობიერების კონცეფციას, რათა გააანალიზოს აფრიკელი ემიგრანტების ცხოვრებისეული გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში. კვლევა ეხება, თუ რას ნიშნავს იყო შავკანიანი უპირატესად თეთრკანიან საზოგადოებაში და რას ნიშნავს ცხოვრების ნავიგაცია, როგორც იმიგრანტისა, ქვეყანაში, სადაც პრივილეგიები ძირითადად განპირობებულია მოქალაქეობითა და სამართლებრივი სტატუსით. შავკანიანი იმიგრანტების გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდება თეთრკანიანი (ევროპელი) იმიგრანტების გამოცდილებისგან რასის, ეროვნებისა და მოქალაქეობის გადაკვეთის გამო. ასევე, ადეკვატურად ასახავს თუ არა დიუ ბოისის (1903) ორმაგი ცნობიერების ცნება აფრიკელი იმიგრანტების რეალობას, თუ უფრო ფართო კონცეპტუალური ჩარჩო, უფრო ეფექტურად ხსნის მათ მრავალჯერად, გადამკვეთ იდენტობებსა და სოციალურ ლოკაციებს.

საკვანძო სიტყვები: აფრიკელი იმიგრანტები, რასა და მოქალაქეობა, სტრუქტურული რასიზმი, კულტურული იდენტობა, აკულტურაცია, ორმაგი ცნობიერება, ინტერსექციულობა, რასიზებული სამართლებრივი სტატუსი, ასიმილაცია.

ციტატა: ოლუვატიმილეინ აბორისადე. ორმაგი თუ სამმაგი ცნობიერება? აფრიკელი იმიგრანტების გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*. 2025; 9 (2). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.14>

⁸ radu.dumitrescu@medicover.ro

<https://orcid.org/0009-0008-4481-394X>



Double Consciousness

Du Bois (1903) described double consciousness as the peculiar sensation of “twoness”: “an American, a Negro; two souls, two thoughts, two unreconciled strivings” (p. 16). This captures how African Americans have long perceived themselves through the eyes of a society that denies their full humanity. Although Du Bois wrote at the beginning of the twentieth century, his insight remains relevant in a twenty-first-century America where racial hierarchies persist beneath the language of color-blindness (Alexander, 2010; Bonilla-Silva, 2018).

For Du Bois, this was not simply a psychological state but a social condition produced through daily encounters with exclusion and inequality. The “veil” symbolized both separation and distorted visibility, a filter through which Black Americans viewed themselves as objects of White perception. It exposed the contradiction of being a citizen of the United States while remaining alienated from full belonging (Meer, 2019).

Later scholars have shown that double consciousness operates as a process of negotiation between self-definition and imposed identity (Bulhan, 2015; Itzigsohn & Brown, 2015). African Americans must constantly reconcile the ideals of equality with the lived reality of racism. African immigrants, by contrast, bring additional layers to this experience. Many arrive with national and cultural identities rooted in their home countries and then encounter American racial categories that compress diverse heritages into the single label “Black” (Arthur, 2000; Awad et al., 2021).

Racialization in the United States forces African immigrants to develop the same kind of divided awareness Du Bois described, recognizing themselves as both African and Black within an American racial order. Yet their experience differs from that of African Americans because it is shaped by migration history, accent, and legal status (Joseph & Golash-Boza, 2021). Scholars have called this a “diasporic double consciousness,” in which migrants live between transnational cultural frames and local racial hierarchies (Nunn, 2019).

Symbolic-interactionist theory helps explain how this dual awareness emerges. People form self-concepts through reflected appraisals—the images they believe others hold of them (Cooley, 1902). For Black Americans and immigrants alike, these reflections are often negative because the dominant gaze continues to devalue Blackness (Mead, 1934; Hurst & Cross, 2022). Over time, such stigmatized reflection produces a split sense of self and encourages self-monitoring to navigate racially charged institutions such as schools and workplaces.

Research confirms that structural racism reinforces this inner division. Studies of labor-market discrimination find that equally qualified Black applicants receive fewer callbacks than White candidates (Pager & Shepherd, 2008). Similar patterns appear in housing, finance, and policing (Massey & Denton, 1993; Ray et al., 2017). These external inequalities interact with internalized doubts about belonging, deepening the conflict Du Bois described. The constant need to manage stigma can also damage self-esteem and mastery, two coping resources identified in stress-process theory (Pearlin et al., 1981). When individuals internalize racial stereotypes, they may experience what Frantz Fanon (1952/2008) called the “epidermalization of inferiority,” where race becomes inseparable from a feeling of marginalization. Yet Du Bois also saw in double consciousness a kind of “second sight,” an ability to perceive social contradictions invisible to those in dominant positions.

In modern contexts, double consciousness interacts with gender, class, and migration. Patricia Hill Collins (2019) shows that intersectionality exposes how racism, sexism, and classism intertwine to shape awareness. African and Caribbean immigrants must also navigate cultural adaptation and uncertain legal status (Awad et al., 2021). These overlapping pressures suggest that Du Bois’s idea must be broadened to capture the full complexity of contemporary Black immigrant life.

Double consciousness therefore remains both a lived condition and a framework for understanding how marginalized people make sense of themselves in unequal societies. For African immigrants, the tension between how they see themselves educated professionals, nationals of specific countries, contributors to American society and how they are seen as Black foreigners produces a layered awareness that moves beyond Du Bois’s original formulation. This evolving consciousness prepares the ground for

the idea of triple consciousness, where race, immigration, and citizenship intersect to define belonging in America.

Triple Consciousness?

The idea of triple consciousness has emerged in contemporary scholarship as an extension of Du Bois's original theory. Whereas double consciousness captures the internal conflict of being both Black and American, triple consciousness speaks to the multiple and intersecting identities of those who are simultaneously Black, immigrant, and navigating citizenship in a society stratified by race and legality (Joseph & Golash-Boza, 2021; Pelt-Willis, 2021). This concept reflects an intersectional understanding of oppression and belonging, where the experience of racialized immigrants cannot be reduced to race alone.

African immigrants in the United States often encounter a unique identity formation process that differs from that of U.S.-born African Americans. They must negotiate not only racial difference but also cultural adaptation and legal incorporation (Awad et al., 2021; Tetteh, 2020). Scholars such as Nunn (2019) and Arthur (2000) note that many African migrants initially identify through nationality or ethnicity Nigerian, Ghanaian, Ethiopian before being absorbed into a broad "Black" category that carries the social meanings of American racial history. This forced re-racialization produces what may be called a third consciousness: an awareness of being an immigrant within Blackness itself.

For immigrants on temporary visas, consciousness operates along two main lines. They see themselves as foreigners with limited rights and as racialized individuals within a White-majority society. Over time, some obtain permanent residence or citizenship, which adds a third dimension: legal belonging that does not erase racial and cultural exclusion. Even naturalized citizens who have sworn allegiance to the United States may find their identities questioned because of accent, name, or perceived foreignness (Ramos & Kasinitz, 2015). This creates a cycle of recognition and disavowal that resembles what Du Bois called the "veil," yet now filtered through the additional layer of immigration status.

The experiences of African immigrants illustrate this triple tension clearly. They are often reminded of their "foreignness" by both White Americans and African Americans. White Americans may express surprise at their English fluency or education, revealing a narrow perception of Africa as backward or undeveloped. At the same time, some African Americans may view African immigrants as competitors for jobs or educational opportunities, or as outsiders unfamiliar with the long struggle for civil rights (Kendi, 2019). These encounters generate a form of consciousness that oscillates between pride in origin, awareness of racial subordination, and efforts to claim Americanness.

At the institutional level, African immigrants experience exclusion in subtle but significant ways. Many programs designed for "minorities" restrict eligibility to U.S. citizens or permanent residents. The American Sociological Association's minority fellowship, for instance, limits awards to citizens or green-card holders, thereby excluding non-citizen Black immigrants who also face racial disadvantage. Such experiences reinforce a sense that minority status in the United States is recognized only through citizenship first and race second. This exclusion sharpens the awareness of triple consciousness: being Black, being an immigrant, and being positioned outside the boundaries of full belonging (Bloemraad et al., 2022). Culture shock also deepens this layered consciousness. New arrivals often describe confusion over unfamiliar customs, communication styles, and social expectations (Obeng, 2019). The pressure to "sound American" or assimilate linguistically underscores how accent functions as a racialized marker of difference (Ferguson, 2021). Even after years in the country, many African immigrants report feeling that they must constantly prove their competence and legitimacy, which aligns with what Fanon (1952/2008) described as the psychological burden of colonial difference.

Scholars of intersectionality argue that this combination of racial, cultural, and legal subordination reflects the structural entanglement of racism and nationalism (Crenshaw, 1989; Collins, 2019). For African immigrants, these overlapping hierarchies produce both constraint and insight. The awareness of triple consciousness not only captures marginalization but also highlights resilience and agency. As Du Bois suggested in *The Souls of Black Folk*, the gift of "second sight" allows the oppressed to perceive social realities that remain hidden to others. For immigrants, this sight expands into a "third view," a recognition of how global histories of race, colonialism, and migration converge in their everyday lives.

In the twenty-first century, scholars such as Joseph and Golash-Boza (2021) and Awad et al. (2021) argue that examining race through the lens of racialized legal status clarifies why formal citizenship alone cannot guarantee equality. African immigrants may hold U.S. passports yet still confront barriers to full acceptance. The promise of inclusion coexists with the persistent reality of exclusion, creating an ever-shifting awareness of self and society.

Triple consciousness therefore extends Du Bois's insights into the realm of globalization and mobility. It speaks to the complex negotiations that shape how African immigrants see themselves and are seen by others. It is the consciousness of being simultaneously African, Black, and American of living within and across national and racial borders while striving to belong in all.

Discussion

Understanding double and triple consciousness within the context of African immigrant experiences requires close attention to the structural systems that define who belongs in America. Race and citizenship, though often discussed separately, intersect to determine access to rights, resources, and legitimacy (Golash-Boza, 2015; Menjívar & Abrego, 2012). Structural racism operates through a combination of policies, institutions, and cultural narratives that privilege whiteness as the normative standard of national identity while rendering Blackness—particularly foreign Blackness suspect, inferior, or temporary.

This system functions not only through explicit laws but also through the implicit rules that shape social life. Racialized perceptions of competence, morality, and belonging continue to influence who is trusted, hired, or granted the full protections of citizenship (Bonilla-Silva, 2018; Fox & Mogul, 2022). African immigrants, despite often arriving with high levels of education and professional experience, encounter barriers to employment, housing, and political participation that mirror those faced by African Americans (Arthur, 2000; Awad et al., 2021). Studies by Tetteh (2020) and Nunn (2019) show that these barriers persist even when immigrants possess advanced degrees or English proficiency, suggesting that their exclusion is not based on skill but on the racialized assumptions that underlie American social structure.

Structural racism also shapes the legal boundaries of citizenship itself. Policies that determine who may enter, work, or remain in the United States are deeply intertwined with racial hierarchies inherited from colonialism and slavery (Ngai, 2004; Golash-Boza, 2015). The expansion of immigration enforcement since the 1990s, especially after 9/11, has produced what Armenta (2017) calls the “criminalization of migration,” where immigrants of color are policed and surveilled as potential threats. For African and Caribbean immigrants, this surveillance intersects with the historical stigmatization of Blackness, creating a double burden of racial and legal precarity (Joseph & Golash-Boza, 2021).

At the everyday level, structural racism manifests in what sociologists describe as racialized belonging, the idea that citizenship is socially graded rather than universally shared (Bloemraad et al., 2019; Fox & Mogul, 2022). Immigrants may possess the formal documentation of membership yet remain excluded from full participation in the nation's symbolic community. Everyday encounters reinforce this exclusion: accents are mocked, names are mispronounced, and African immigrants are often asked where they are “really from.” These interactions reveal how national identity remains implicitly coded as White, while Blackness is positioned as permanently foreign.

From the founding of the republic, American citizenship has been racially defined. The Naturalization Act of 1790 limited naturalization to “free White persons,” establishing a legal precedent that tied national belonging to whiteness (Ngai, 2004). This racial foundation of citizenship positioned people of African descent as outsiders to the American polity, even as their labor and presence were integral to the nation's growth. Over time, the language of the law changed, but its social meaning endured. Omi and Winant's (2015) racial formation theory explains how racial categories are continuously re-created through political and legal processes, ensuring that whiteness remains the invisible norm of national identity.

Although overt racial barriers to citizenship were dismantled through legislation such as the Immigration and Nationality Act of 1965, the logic of exclusion persists in more subtle forms. Contemporary immigration policies, visa restrictions, and enforcement priorities reproduce hierarchies

of worthiness that privilege some racial and national groups over others (Golash-Boza, 2015; Armenta, 2017). The preference for “high-skilled” migrants from Europe, Asia, and Canada—coupled with the racialized criminalization of migration from the Global South—continues to mark African and Caribbean immigrants as less desirable entrants to the American project of nationhood (Ryo, 2022). Empirical studies show that Black immigrants are disproportionately detained and deported, even when their immigration infractions mirror those of White or non-Black migrants (Golash-Boza, 2015; Armenta, 2017). These disparities illustrate how the notion of the “good immigrant” remains implicitly coded as non-Black, English-speaking, and culturally assimilable (Brown & Bean, 2021).

The ideology of whiteness also shapes public perceptions of citizenship itself. Legal scholars have documented how media narratives, political discourse, and bureaucratic practices continue to equate Americanness with whiteness, depicting Black immigrants and other people of color as perpetual foreigners (Fox & Mogul, 2022; Shulman, 2023). This perception influences everything from hiring decisions to voting rights enforcement, where Black immigrants are sometimes treated with suspicion or excluded from civic participation despite meeting all formal requirements of citizenship. The internalization of such hierarchies reveals the deep entanglement of race, nation, and belonging that underpins the American social order.

African immigrants thus occupy a complex social position shaped by overlapping hierarchies of race, nationality, and legality. On one level, they share with African Americans the collective burden of anti-Black racism; on another, they must navigate a racialized legal order that frames them as temporary guests whose legitimacy depends on documentation and cultural conformity. Even after naturalization, many encounter conditional acceptance: their accents, names, or religious practices often mark them as perpetually foreign (Tetteh, 2020; Ferguson, 2021). This dual exclusion racial and civic forms the structural foundation for triple consciousness, in which the individual simultaneously experiences awareness as Black, as immigrant, and as a conditional citizen.

Belonging in America, as sociologists have long argued, extends far beyond legal status. It is a sociocultural process through which individuals seek recognition, legitimacy, and participation in collective life (Bloemraad et al., 2019; Fox & Mogul, 2022). African immigrants may acquire formal citizenship yet still find themselves positioned outside the symbolic boundaries of the nation. Everyday interactions in workplaces, classrooms, and neighborhoods often reproduce subtle forms of exclusion: accent policing, assumptions of cultural backwardness, and stereotypes of incompetence. These interactions echo what Du Bois (1903) described as “the veil,” the psychological and social barrier that distorts mutual recognition between dominant and subordinate groups. In this context, the African immigrant’s struggle for recognition is not simply about legal inclusion but about dismantling a racial order that has long defined who counts as truly American.

The concept of racialized legal status (Joseph & Golash-Boza, 2021) helps clarify this condition. It explains how formal citizenship or immigration status interacts with racial hierarchies to create graded forms of belonging within the nation-state. Possessing a U.S. passport or residency card does not automatically confer full civic inclusion. Instead, social acceptance is mediated through race, accent, religion, and perceived cultural proximity to whiteness. As Menjívar (2021) notes, citizenship in the contemporary United States has become “stratified and conditional,” where legality offers only partial protection against exclusion. Some citizens remain symbolically “less American” than others because they are denied cultural recognition and everyday legitimacy. For African immigrants, this tension between legal membership and social exclusion reproduces the paradox that Du Bois articulated more than a century ago: the contradiction between national identity and racial subordination.

Racialized legal status is also reproduced through institutional structures that reward assimilation to dominant norms while penalizing visible difference. Sociologists such as Fox and Mogul (2022) describe how immigration and welfare regimes implicitly rank immigrants by perceived “fit” within the racial order. Black immigrants, regardless of class or education, are often positioned at the bottom of this hierarchy. The result is what Golash-Boza (2015) terms a racialized citizenship regime: a system in which race silently determines who is seen as deserving of rights, protection, and inclusion. For many African

immigrants, this regime is experienced not only in encounters with the state such as visa processing, airport screening, or police surveillance—but also in daily interactions that question their belonging.

Despite these constraints, African immigrants actively reshape what it means to belong in America. Through churches, mosques, hometown associations, mutual-aid groups, cultural festivals, and professional networks, they build community structures that affirm identity and provide material and emotional support (Bloemraad et al., 2022; Okeke-Ihejirika & Bilge, 2021). These spaces function as counterpublics arenas where marginalized voices articulate alternative visions of citizenship and nationhood (Fraser, 1990). Within these networks, immigrants reinterpret Americanness through an Afro-diasporic lens that emphasizes collective responsibility, spirituality, and transnational solidarity. In doing so, they transform experiences of marginalization into collective resilience, producing what Bourdieu (1986) described as social capital: resources embedded in networks of trust and mutual recognition.

Community institutions also operate as cultural bridges that link African traditions with African-American and other diasporic identities. They foster spaces where immigrants can negotiate the complexities of racialization and citizenship while maintaining pride in heritage (Owusu, 2019; Tetteh, 2020). These organizations encourage cultural exchange African drumming in Black History Month events, Ghanaian and Nigerian food festivals in U.S. cities, and mentorship programs pairing African and African-American youth. Such practices exemplify how immigrants contribute to a redefinition of Blackness that is simultaneously global and local, incorporating histories of slavery, colonialism, and migration. This redefinition unsettles essentialist ideas of race and challenges both White and African-American notions of authenticity.

Examining structural racism alongside identity formation thus extends Du Bois's framework beyond psychology to structure. Consciousness does not reside only within the individual mind; it is shaped by the institutional arrangements that govern opportunity, recognition, and belonging. The experiences of African immigrants demonstrate that race, migration, and citizenship operate together as interlocking systems that mold the modern self. Their lives show that belonging is not a fixed legal category but an ongoing negotiation one that must be renewed in every interaction and institutional encounter.

In the era of global mobility, triple consciousness represents more than a personal struggle; it exposes the contradictions of democratic ideals in a racialized world. The presence of African immigrants challenges the United States to confront its unfinished project of equality and to recognize the plural voices that constitute its citizenry. As Collins (2019) reminds us, critical consciousness emerges through engagement with systems of power. In this sense, the African immigrant's awareness of being African, Black, and American at once becomes a political insight rather than a private wound. By tracing how structural racism operates through citizenship and belonging, it becomes clear that Du Bois's early insight remains prophetic: the problem of the color line has not disappeared, it has multiplied and now stretches across borders, languages, and continents.

იმპლანტირებული კარდიომოწყობილობის (ICD) ტესტირებით, ბოლო ინტეროგაციის შემდეგ ფიქსირდებოდა პარკუჭთა ფიბრილაციისა და პარკუჭოვანი ტაქიკარდიის 8 ეპიზოდი, რომლის ამოცნობა და ინტრაკარდიული ელექტრული განმუხტვა მოხდა აგრეგატის მიერ.

ჩატარდა ტრანსეზოფაგური ექოკარდიოგრაფია (ინფექციის წყაროს ლოკალიზაციის დიაგნოსტიკის მიზნით) ტრანსეზოფაგური ექოკარდიოგრაფიით - შუა ეზოფაგურ და ბიკავალურ (110 გრად.) პოზიციაში ზემო ღრუ ვენის შესართავთან გამოვლინდა ელექტროდზე ფიქსირებული, მოფლოტირე წარმონაქმნი ზომებით 1.3/0.65 სმ.

ჩატარდა გულმკერდის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია, სადაც მიღებული კტ კვლევით გამოვლინდა ორმხრივ ფილტვის ქვემო წილოვანი სეგმენტური და სუბსეგმენტური არტერიების თრომბოემბოლია.

ჰოსპიტალიზაციის პერიოდში პაციენტის მძიმე მდგომარეობის, არასტაბილური ჰემოდინამიკის გათვალისწინებით მიმდინარეობდა ვაზო-ინოტროპული მხარდაჭერა. ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის გამო რისკისა და სარგებლის გათვალისწინებით მიმდინარეობდა ანტიკოაგულაციური თერაპია დაბალმოლეკულური ჰეპარინით (ფრაქსიპარინი) 0.8მლ. 2 - ჯერ დღეში. ჰოსპიტალიზაციიდან მე-3 დღეს პაციენტთან გამოვლინდა ჰემორაგიული დიათეზი, რის გამოც პაციენტს გადაესხა მე-8 ფაქტორის კონცენტრატი 3000 IU. სეპტიური პროცესის გათვალისწინებით მიმდინარეობდა ანტიბიოტიკოთერაპია ცეფტრიაქსონი 1გ. 2 - ჯერ ვანკომიცინი 1გ. 2ჯერ. კომბინაციით. ჰოსპიტალიზაციიდან მე 15 დღეს ჩატარებული მედიკამენტური თერაპიის ფონზე დინამიკაში პაციენტის ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესდა; შეწყდა ინოტროპული მხარდაჭერა. გაუმჯობესდა ლაბორატორიული მონაცემები; ლეიკოციტი - 11.45 $10^9/მმ^3$; CRP - 18.21 mg/L; პროკალციტონინი 0.45 $\mu\text{g/L}$. ჩატარდა დინამიკაში ტრანსეზოფაგური ექოკარდიოგრაფია, სადაც სარქვლოვან აპარატზე (კარედებზე, რგოლებზე), ელექტროდზე მოცულობითი წარმონაქმნები აღარ დაფიქსირებულა.

დისკუსია

გენეტიკური დაავადებები მრავალფეროვან კლინიკურ გამოვლინებებს იწვევს და განსხვავებული მემკვიდრეობის მოდელით გადაეცემა. დილატაციური კარდიომიოპათია (DCM) და ჰემოფილია ამის კარგი მაგალითებია – ორივე მათგანი მემკვიდრული დაავადებაა, რომელიც ვლინდება ორი სხვადასხვა სისტემის პათოლოგიით.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ფაქტი, რომ არსებობს ისეთი იშვიათი გენეტიკური კომბინაციები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს, როგორც ჰემოფილიას/ან მსგავს სიხლდენის დარღვევებს, ისე კარდიომიოპათიას, როგორცაა ბართის სინდრომი ასევე, გენეტიკური სინდრომები, რომელთაც თან ახლავს დისტროფინოპათიები (დიუშენის და ბეკერის კუნთოვანი

დისტროფია). ამ დაავადებებს ახასიათებს პროგრესირებადი კუნთების სისუსტე და ხშირად კარდიომიოპათიის განვითარება (უფრო ხშირად DCM).

მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკური სინდრომები არ იწვევს ჰემოფილიას, შესაძლებელია იშვიათ შემთხვევებში გენეტიკური მუტაციების კომბინაცია, როდესაც პაციენტს აქვს, როგორც დისტროფიის გენის, ასევე ჰემოფილიის გამომწვევი გენის მუტაცია. გენეტიკურად დეტერმინებული დილატაციური კარდიომიოპათია და ჰემოფილიის გამოვლენა კი ერთროულად ძალიან იშვიათ გენეტიკურ კომბინაციას წარმოადგენს.

დასკვნა

წაროდგენილი კლინიკური შემთხვევით გვინდა ავლნიშნოთ რომ გენეტიკური დილატაციური კარდიომიოპათიისა და ჰემოფილიის, როგორც ორი მემკვიდრული დაავადების ერთდროული თანხვედრა ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ასევე, გვინდა ხაზი გავუსვათ თერაპიული მკურნალობის იმ რთული სტრატეგიებს, რაც მოიცავს ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის დროს სტანდარტული ანტიკოაგულაციურ თერაპიას, რომელიც ფათე-ს მკურნალობის ქვაკუთხედაა, თუმცა ჰემოფილიის მქონე პაციენტებში სისხლდენის მაღალი რისკის გამო გართულებულია. ასევე დაავადებებიდან ერთად სეპტიური პროცესის არსებობა, რომელიც ამძიმებს პაციენტის მდგომარეობას და ლეტალური გამოსავლის რისკი ძალიან მაღალია, მნიშვნელოვანია სწორი თერაპიული ტაქტიკის შერჩევა, რაც საჭიროებს მულტიპროფილური გუნდის კარდიოლოგების, ინფექციონისტებისა და ჰემატოლოგების ჩართულობას.


ბიბლიოგრაფია

- Myers, M. C., Wang, S., Zhong, Y., Maruyama, S., Bueno, C., Bastien, A., ... & Golchin, N. (2024). Prevalence of Genetically Associated Dilated Cardiomyopathy: A Systematic Literature Review and Meta-Analysis. *Cardiology Research*, 15(4), 233.
- Hirayama, A. B., da Silva, A. K. C., Rocha, J. S., & Roberti, M. D. R. F. (2019). Prevalence of symptoms in hemophilia carriers in comparison with the general population: a systematic review. *Hematology, Transfusion and Cell Therapy*, 41(4), 349-355.



ამფეტამინის ტიპის სტიმულანტებთან ასოცირებული კარდიომიოპათია
კლინიკური შემთხვევის განხილვა

Amphetamine-type stimulant-associated cardiomyopathy: a clinical case report

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.08>

თამაზ ხელაძე^{1a}, ვაჩე შიოლაშვილი¹, მარიამ ლომიძე^{1b}, ნანი გონჯილაშვილი¹

Tamaz Kheladze^{1a}, Vache Shiolashvili¹, Mariam Lomidze^{1b}, Nani Gonjilashvili¹

¹ აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, თბილისი, საქართველო

¹Chapidze Emergency Cardiology Center, Tbilisi, Georgia

^akheladze1986@gmail.com



<https://orcid.org/0009-0007-4905-7760>

^bmariamlomidze05@gmail.com

აბსტრაქტი

მსოფლიოში მეტამფეტამინისა და სხვა ამფეტამინის ტიპის სტიმულანტების მოხმარება ყოველწლიურად იზრდება, რაც იწვევს სიკვდილიანობისა და ავადობის მნიშვნელოვან ზრდას. ამფეტამინის ტიპის სტიმულანტებს შორის ყველაზე კარგად შესწავლილია მეტამფეტამინის ტოქსიკური ეფექტი ნევროლოგიურ, გულ-სისხლძარღვთა, პულმონურ და რენალურ ორგანოთა სისტემებზე. ამფეტამინის ქრონიკულმა მოხმარებამ გვაჩვენა, რომ ამ ნივთიერებებს გააჩნია პოტენციურად მნიშვნელოვანი კარდიოტოქსიკური ეფექტი, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა მექანიზმით, მათ შორის გაზრდილი ოქსიდაციური სტრესი, ჭარბი სიმპათიკური აქტივობა და პირდაპირი მიოკარდიული ტოქსიკური ეფექტი. მეტამფეტამინთან ასოცირებული კარდიომიოპათია და ამფეტამინის ტიპის სტიმულანტებთან ასოცირებული კარდიომიოპათია ორივე სახელწოდება მონაცველობით გამოიყენება ლიტერატურაში აღნიშნული კარდიოვასკულური დაავადების დახასიათებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ამჟამად ზუსტად განსაზღვრული არ არის, ის უნდა მოვიაზროთ როგორც შეძენილი კარდიოვასკულური დაავადება, რომელიც ხასიათდება ამფეტამინთან ექსპოზიციის დროს სხვა მხრივ ამოუხსნელი კარდიომიოპათიით. ნაშრომში წარმოდგენილია 24 წლის მამაკაცის კლინიკური შემთხვევა, რომელმაც საავადმყოფოს მიმართა სუნთქვის უკმარისობით. ის

ანამნეზში აღნიშნავდა სხვადასხვა ამფეტამინის ტიპის სტიმულანტის მოხმარებას. პაციენტს ჰოსპიტალიზაციისას აღნიშნა მეტამფეტამინთან ასოცირებული კარდიომიოპათიით/ ამფეტამინის ტიპის სტიმულანტებთან ასოცირებული კარდიომიოპათიით გამოწვეული მწვავე პარკუჭოვანი დისფუნქცია (LVEF-14%). სტიმულატორების მზარდი პოპულარობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, და იმ ამფეტამინის მოხმარების შემთხვევებში, რომელთა როლი გულის უკმარისობის განვითარებაში ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი, აუცილებელია დიაგნოსტიკისთვის და კარდიოვასკულური რისკების შესაფასებლად ყოვლისმომცველი სამედიცინო ისტორიის შეგროვება. ეს საშუალებას გვაძლევს ადეკვატური და დროული ნაბიჯები გადაიდგას გულის შეუქცევადი რემოდელირების პრევენციის, მიოკარდიუმის ფუნქციის გაუმჯობესებისა და საბოლოო ჯამში პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაზრდის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ამფეტამინის მოხმარება, მეტამფეტამინი, კარდიომიოპათია, მწვავე პარკუჭოვანი დისფუნქცია.

რეკომენდირებული ციტირება: ხელაძე თ, შიოლაშვილი ვ, ლომიძე მ, გონჯილაშვილი ნ. (2025). ამფეტამინის ტიპის სტიმულანტებთან ასოცირებული კარდიომიოპათია კლინიკური შემთხვევის განხილვა. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.08>.

Abstract

The use of methamphetamine and other amphetamine-type stimulants is increasing worldwide, resulting in significant increases in mortality and morbidity. Among the amphetamine-type stimulants, the toxic effects of methamphetamine on the neurological, cardiovascular, pulmonary, and renal organ systems are the best studied. Chronic use of amphetamines has shown that these substances have potentially significant cardiotoxic effects, which are caused by various mechanisms, including increased oxidative stress, excessive sympathetic activity, and direct myocardial toxic effects. Methamphetamine-associated cardiomyopathy and amphetamine-type stimulant-associated cardiomyopathy are both terms used interchangeably in the literature to describe this cardiovascular disease. Although the latter is not yet precisely defined, it should be considered an acquired cardiovascular disease characterized by otherwise unexplained cardiomyopathy during amphetamine exposure. The paper discusses a clinical case. The patient was hospitalized with acute ventricular dysfunction due to cardiomyopathy associated with amphetamine-type stimulants. The aim of the study is to study the role of amphetamine use in the development of heart failure in young people.

Keywords: Amphetamine use, methamphetamine, cardiomyopathy, acute ventricular dysfunction.

Recommended Citation: Kheladze, T., Shiolashvili, V., Lomidze, M., Gonjilashvili N. (2025). Amphetamine-type stimulant-associated cardiomyopathy: a clinical case report. *Health Policy, Economics and Sociology*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.08>

შესავალი

ამფეტამინები პირველად სინთეზირდა 1920 -იანი წლების ბოლოს, 1940 -იანი წლების ბოლოს კი ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც ანტიდეპრესანტი და დიეტისთვის განკუთვნილი მედიკამენტი. 1980-იანი წლების ბოლოს პირველად სინთეზირდა კრისტალური მეტამფეტამინი, იგივე "ice". ამფეტამინების ჯგუფის სინთეზური ნარკოტიკ-სტიმულატორებმა (MDMA) პოპულარობა მოიპოვა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხელმისაწვდომობისა და დაბალი ღირებულების გამო. მისი დამოკიდებულების პოტენციალის გაცნობიერებამ განაპირობა წარმოებისა და გასაღების შეზღუდვები, თუმცა, შავ ბაზარზე ხელმისაწვდომობის გამო დაიწყო მათი მოხმარების ეპიდემია.

მეტამფეტამინი (METH) განსაკუთრებით აზიანებს ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემებს. ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებით მეტამფეტამინი იწვევს ეიფორიასა და გაზრდილ სიფხიზლეს. დოპამინის კონცენტრაციის გაზრდამ მიმდებარე ბირთვში (nucleus accumbens) შეიძლება ხელი შეუწყოს “გამოყენება-დაჯილდოების” ურთიერთობის ჯაჭვის წარმოშობას, რაც პასუხისმგებელია დამოკიდებულების განვითარებაზე. გრძელვადიანი გამოყენება კი საპირისპიროდ იწვევს დოპამინის სინთეზისა და რეცეპტორების დაქვეითებას, რასაც მივყავართ მეხსიერების, ყურადღებისა და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციების

დაქვეითებამდე. ქრონიკულად ან/და მაღალ დოზებში მეტამფეტამინი გამოყენება ხშირად იწვევს ფსიქოზს, დეპრესიასა და ძალადობრივ ქცევას. ზოგადად ცხოვრების განმავლობაში სუიციდის მცდელობები მეტამფეტამინის მომხმარებლებში არის ძალიან მაღალი და შეადგენს ≈30%(Zweben et al., 2004). საზიანო ეფექტი გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე აისახება გაზრდილი კატეჟოლამინერგული მდგომარეობით, მეტამფეტამინის მომხმარებლებთან ჰემორაგიული ინსულტის რისკი ორჯერ არის გაზრდილი (Huang et al., 2016). ამფეტამინთან ასოცირებული კარდიომიოპათიით პაციენტთა დაახლოებით ერთ მესამედთან (≈33%) აღინიშნება ინტრაკარდიული თრომბი (Schürer et al., 2017). ასევე მეტად ხშირია არითმიები - როგორც წინაგულოვანი, ასევე პარკუჭოვანი (Dominic et al., 2022).

ამფეტამინების ჯგუფის სინთეზური ნარკოტიკ-სტიმულატორები (MDMA), რომელიც ასევე ცნობილია როგორც „ექსტაზი“, წარმოადგენს ნახევრად სინთეზურ ენტაქტოგენურ ფენილეთილამინს, რომლის მიღებამაც შესაძლოა გამოიწვიოს სიმპტომები, როგორებიცაა; მადის კარგვა, ტრიზმუსი და ბრუქსიზმი, გულისრევა, მიაღვია, დაღლილობა, ჭარბი ოფლიანობა და ატაქსია. თუმცა, მეტად საყურადღებოა ისეთი გვერდითი მოვლენები, როგორებიცაა: ფსიქოზი ან მწვავე გულის, ღვიძლის, თირკმლისა და ცერებრალური ტოქსიკურობა. ამფეტამინების ჯგუფის სინთეზური ნარკოტიკ-სტიმულატორებით (MDMA) გამოწვეული მწვავე ტოქსიკურობის მრავალი სერიოზული გართულებაა დაფიქსირებული, როგორებიცაა; ჰიპერთერმია, კონვულსიები, არითმიები, რაბდომიოლიზი, დისემინირებული სისხლძარღვშიდა კოაგულაცია, ჰიპონატრიემია, ჰეპატოტოქსიკურობა, აპლასტიური ანემია, პნევმომედიასტინუმი, ინსულტი, ცერებრალური სისხლდენა და სიკვდილი. ამფეტამინების ჯგუფის სინთეზური ნარკოტიკ-სტიმულატორების დოზის გადაჭარბებით გამოწვეული სიკვდილიანობის მიზეზად, როგორც წესი, ავთვისებიანი ჰიპერთერმია, სითბური დარტყმა ან ღვიძლის მწვავე უკმარისობა ითვლება(Bonsignore et al., 2019).

გლობალურად, როგორც ATS (Amphetamine Type Stimulants)-ის მოხმარება, ასევე MACM (Amphetamine Associated Cardiomyopathy) /ATSAC (Amphetamine Type Stimulants Associated Cardiomyopathy)-ის შემთხვევები ყოველწლიურად მზარდია. მხოლოდ გასულ წელს 15-64 წლის ასაკის მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 0.6%-მა გამოიყენა ATS(*Online World Drug Report 2024 - Drug Market Patterns and Trends*, n.d.). METH მსოფლიოში ყველაზე ხშირად გამოყენებადი სტიმულანტია ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მარტივი ხელმისაწვდომობისა და დაბალი ღირებულების გამო სავსაოდ გაიზარდა ისეთი ნივთიერებების მოხმარება, როგორებიცაა; MDMA, 4-Fluoroamphetamine, Adderall, alpha-PVP და სხვა. MDMA (3,4-Methylenedioxymethamphetamine) პოპულარობით სარგებლობს ევროპის ქვეყანებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მისი მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 9.3% დაფიქსირდა 2023 წელს ნიდერლანდებში, 15-34 წლის ახალგაზრდებში (“European Union Drugs Agency (2025), European Drug Report 2025: Trends and Developments,” 2025). საქართველოში 2021 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელ რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა გამოიყენა MDMA მხოლოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ხოლო ამფეტამინის მოხმარება 2016 წლიდან 2022 წლამდე პრაქტიკულად ნულიდან 10%-მდე გაიზარდა (*ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2022, 2023*). ATS-ები აუმჯობესებენ დავალებაზე კონცენტრირების უნარს, ხელს უწყობენ მიზნისკენ მიმართულ ქცევას. ისინი ასევე ხშირად გამოიყენება კლუბურ გარემოში და წვეულებებზე. რითაც აიხსნება, თუ რატომ იყენებენ მათ ასე ფართოდ სტუდენტი ახალგაზრდები, რომლებიც ცდილობენ გააუმჯობესონ აკადემიური მოსწრება. ჩვენი შემთხვევა არ არის ერთად რამდენიმე ტიპის ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად გამოყენების იზოლირებული მაგალითი. ხშირია სხვადასხვა ტიპის ATS-ის და ასევე მასთან ერთად ალკოჰოლის მოხმარების შემთხვევები. საქართველოში ნარკობაზარზე პრობლემაა გაყიდული სტიმულანტების სისუფთავე, საიდანაც ამოღებულ MDMA-ს ნახევარზე მეტი (57%), შეიცავს დამატებულ ნივთიერებებს ან წარმოადგენს სრულიად სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებას (*ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2022, 2023*). საზოგადოებაში გავრცელებული აზრია, რომ MDMA ნაკლებად მავნებელია, ვიდრე METH და არსებობს მცდარი წარმოდგენა მისი დაბალი ტოქსიკურობის შესახებ, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში შეგროვებულმა

მტკიცებულებებმა გვამცნო MDMA-ს კარდიოტოქსიკური ეფექტების შესახებ, რომელიც მექანიზმით ჰგავს METH-ის ტოქსიკურ ეფექტს (Bonsignore et al., 2019).

კლინიკური შემთხვევა

24 წლის სტუდენტმა მამაკაცმა მიმართა ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტს. პაციენტი ანამნეზში აღნიშნავდა ერთი თვის განმავლობაში მიმდინარე პროგრესირებად ქოშინს, ხოლო ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარე ორთოპნოეს.

თავდაპირველად ის თავს არიდებდა კითხვებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების ფაქტზე, თუმცა, მოგვიანებით, მისივე გადმოცემით, ექვსი წლის განმავლობაში მოიხმარდა სხვადასხვა ამფეტამინის ტიპის სტიმულანტს. კერძოდ, MDMA-ს, მეტამფეტამინსა და ამფეტამინს, პერიოდულად კი ალკოჰოლთან ერთად. პაციენტის თქმით, ხუთი წლის წინ მან მიიღო ტრამვა, მომხდარი უბედური შემთხვევის დროს ის იყო ზემოქმედების ქვეშ. მნიშვნელოვანი სისხლის დანაკარგის გამო ის მოთავსდა გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტს, სადაც თირკმლის მწვავე უკმარისობის გამო ჩაუტარდა დიალიზის რამდენიმე პროცედურა. მისი თირკმლის ფუნქცია აღდგა და პაციენტს აცნობეს, რომ ექოკარდიოგრაფიულად მისი მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია (LVEF) შემცირებული იყო ($\approx 40\%$), სხვა დიაგნოსტიკური დამატებითი კვლევა არ ჩატარებულა.

პაციენტმა ინციდენტის შემდგომ შეწყვიტა ყველა ტიპის ნარკოტიკული ნივთიერების მიღება, თუმცა ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებისა და დეპრესიის გამო ის მალევე დაუბრუნდა ძველ მავნე ჩვევებს - სტიმულატორების მიღებას. ოჯახური ანამნეზი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით დატვირთული არ იყო. შემოსვლისას იყო ფიზიკურად და ორიენტირებული დროში, ადგილსა და პიროვნებაზე, აღენიშნებოდა ოფლიანობა. სასიცოცხლო ნიშნები: აღენიშნებოდა ტაქიკარდია HR-120 Bpm, SpO₂- 88%, RR-27, T/A-150/90; mmHg, ტემპერატურა 36.6°C, ელექტროკარდიოგრამაზე-სინუსური ტაქიკარდია, T კბილების ინვერსია V4, V5, V6-ში, პარკუჭოვანი ჰიპერტროფიის ნიშნებით (სურათი 1).

ლაბორატორიული შედეგები: მომატებული NT-pro-BNP-2800 pg/mL, ოდნავ მომატებული თრომბოციტების რაოდენობა 367 10³/μL და CRP-8,6 მგ/ლ. HS-TNI-ის დონე ოდნავ მომატებული - 0.016 ნგ/მლ (N=<0.014 ნგ/მლ) დინამიკაში ცვლილების გარეშე, GFR-99 მლ/წთ, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური ტესტები ნორმალური.

ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფიით: მარცხენა პარკუჭის დილატაცია LVEDD-6.9 სმ, მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია მნიშვნელოვნად შემცირებული LVEF-21% გლობალური ჰიპოკინეზია, გარდა ამისა, დილატირებული იყო სხვა კამერებიც, RVEDD-4.1 სმ, LA-4.8 სმ და RA-4.4 სმ, აღინიშნა პულმონური ჰიპერტენზია (PASP-42 mmHg) და მსუბუქი მიტრალური რეგურგიტაცია.

ვილტვის სონოგრაფიამ გამოავლინა პლევრალური ეფუზია ორივე პლევრის დრუში, მარჯვენა პლევრულ სივრცეში 1500 მლ, ხოლო მარცხნივ 1000 მლ სითხით. ჩატარდა თორაკოცენტეზი თავდაპირველად მარჯვენა მხარეს, შემდგომ კი მარცხენა მხარეს. თორაკოცენტეზის შემდეგ სიმპტომების ინტენსივობა შემცირდა, პროცედურის შემდგომ ჩატარდა გულმკერდის რენტგენოგრაფია, რომელმაც აჩვენა გაძლიერებული სისხლძარღვოვანი სურათი, ინტერსტიციული შეშუპებითი რეაქცია, ორმხირვ ლატერალურად კერლის B ხაზები, სინუსები თავისუფალი, გულის საზღვრები გაფართოებული (სურათი 2).

პაციენტი საჭიროებდა ინოტროპულ მხარდაჭერას, მიმდინარეობდა დიურეზის ფორსირება მარყუჟოვანი შარდმდენით, ივაბრადინი გამოიყენებოდა სინშირის კონტროლისთვის, ხოლო ენოქსიპარინი ინტრაკარდიული თრომბის პრევენციის მიზნით.


მომდევნო დღეებში ჰემოდინამიკის სტაბილიზაციის შემდგომ დაინიშნა სხვა მედიკამენტებიც: საკუბიტრილი/ვალსარტანი, კარვედილოლი, დაპაგლიფლოზინი, ეპლერენონი, ტორასემიდი. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტი მესამე დღისთვის აღნიშნავდა სუბიექტურად მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საჭირო იყო მარჯვენა მხარეს განმეორებითი თორაკოცენტეზი, რის შედეგადაც დამატებით 1000 მლ ტრანსუდატი იქნა ევაკუირებული. პაციენტის ასაკის, სამედიცინო ისტორიისა და DCM-ის სავარაუდო ეტიოლოგიის გათვალისწინებით, კორონარული ანგიოგრაფია არ ჩატარებულა.

მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე ჩატარდა CMR, სადაც: EF-14% LVEDV-313 მლ SV-44 მლ LVCO-5.0 ლ/წთ LVEDV/BSA- 226 მლ/მ², გადოლინიუმის გაძლიერებით ადრეულ და გვიან ფაზებში არ დაფიქსირებულა ინტრამიოკარდიული ლოკალური დაზიანება, ფიბროზი, ანთეზა ან ნეკროზი (სურათი 3). მომდევნო დღეებში პაციენტის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, შეწყდა ინოტროპული თერაპია. რაც შეეხება SCD-ის პირველად პრევენციას, განხილული იქნა ICD იმპლანტაცია. გათვალისწინებული იქნა ფაქტორები, როგორებიცაა: პაციენტის ასაკი და DCM-ის სავარაუდო ეტიოლოგია, ასევე ის ფაქტი, რომ პაციენტთან არ აღინიშნულა VT/VF-ის ან SCA-ს ეპიზოდი. გადაწყდა ICD-ის იმპლანტაციის საკითხის განხილვა 3 თვიანი OMT-ის შემდგომ. შვიდდღიანი ჰოსპიტალიზაციის შემდგომ პაციენტის ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესდა. გაწერამდე პაციენტს ერჩია სპეციალიზებულ რეაბილიტაციის ცენტრში გადამისამართება, რაზეც უარი განაცხადა.


პაციენტი კლინიკიდან გაეწერა მედიკამენტებით: საკუბიტრილი/ვალსარტანი, კარვედილოლი, დაპაგლიფლოზინი, ეპლერენონი, ტორასემიდი. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყვეტდა სტიმულანტების გამოყენებას. ორი თვის შემდგომ პაციენტმა მოგვმართა ამბულატორიულ საკონტროლო ვიზიტზე. იგი თავს კარგად გრძნობდა, გაუმჯობესებული იყო მისი მენტალური სტატუსი, დანიშნული მედიკამენტური რეჟიმის მიმართ დამყოლობა დამაკმაყოფილებელი გახლდათ, მისი გადმოცემით, მეტწილად ოჯახისა და მეგობრების დახმარებით მან წარმატებით დაძლია ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება. რაც მთავარია, აღინიშნა ექოკარდიოგრაფიული პარამეტრების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება - მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია (LVEF) 35%-მდე გაუმჯობესდა და კამერების ზომებიც მნიშვნელოვნად შემცირდა- LVEDD-5.8 სმ, ნატრიორეზული პეპტიდის დონე ნორმალურ საზღვრებში დაფიქსირდა-NT-pro-BNP-85.1 pg/mL.

12 თვის განმავლობაში განმეორებითი ვიზიტებისას დადებითი ექოკარდიოგრაფიული დინამიკა შენარჩუნდა. ბოლო ვიზიტის დროს LVEF 50%-ს შეადგენდა და ყველა კამერის ზომა ნორმალურ რეფერენტულ საზღვრებში იყო. პაციენტი დღემდე თავს ბევრად უკეთ გრძნობს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურად, აგრძელებს დანიშნულ მედიკამენტურ თერაპიას.


სურათი 1 ინსტრუმენტული კვლევები - ელექტროკარდიოგრამა



სურათი 2. ინსტრუმენტული კვლევები - გულმკერდის რენტგენი



სურათი 3 - გულის მაგნიტურ - რეზონანსული კვლევა



დისკუსია

ამგეტამინის ტიპის ყველა სტიმულანტიდან METH-ის მოხმარებასთან დაკავშირებული გულ-სისხლძარღვთა გართულებები ყველაზე კარგად არის განსაზღვრული და აღწერილი, ესენია: ჰიპერტენზია, არითმიები, აორტის დისექცია, მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელიც გამოწვეულია ვაზოსპაზმით და/ან CAD-ით, ინსულტი, პულმონური ჰიპერტენზია, ენდოთელუმის დისფუნქცია და კარდიომიოპათია. მისი ძირითადი მექანიზმებია: ოქსიდაციური სტრესი, კატეჟოლამინით გაშუალებული მიოკარდიუმის სტრესი, კარდიომიოციტების წინააღმდეგ კატეჟოლამინების პირდაპირი ტოქსიკურობა და სტიმულანტების პირდაპირი ტოქსიკურობა. გამოჯანმრთელებისთვის მნიშვნელოვანია პაციენტებმა შეწყვიტონ ATS მოხმარება. ერთ-ერთი კვლევით რომელშიც მონაწილეობდნენ METH-ის მოხმარებელი პაციენტები მძიმე სისტოლური დისფუნქციით, დაასკვნეს, რომ METH-ის გამოყენების შეწყვეტის შემდგომ მიოკარდიუმის ფუნქციის გაუმჯობესება დამოუკიდებლად იყო დაკავშირებული მიოკარდიუმის ფიბროზის ხარისხთან, ხოლო METH-ის მოხმარების გაგრძელება ასოცირებული გახლდათ გულის უკმარისობის განგრძობასა და უარეს გამოსავალთან (Schürer et al., 2017). ასე რომ, მოხმარების შეწყვეტა, ასევე მიოკარდიუმის ფიბროზის ხარისხი, როგორც შეუქცევადი მიოკარდიუმის დაზიანების მარკერი, გულის ფუნქციის გაუმჯობესების მთავარი პრედიქტორებია. რევერს-ტაკოცუბოს პატერნი და ნაკლები პარკუჭოვანი დილატაცია პარკუჭოვანი სისტოლური ფუნქციის ადრეული აღდგენის კიდევ ერთი პრედიქტორია (Voskoboinik et al., 2016). რაც შეეხება მედიკამენტურ მკურნალობას, ჯერჯერობით არცერთი კვლევით არ შეფასებულა მედიკამენტური თერაპიის ეფექტურობა MACM-ის მქონე პაციენტებში. თუმცა იმ დრომდე, სანამ დამატებითი ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი, მიზანშეწონილია მკურნალობა HFrEF-ის მქონე პაციენტთათვის განკუთვნილი GDMT-ით (Reddy et al., 2020). პაციენტებში მიოკარდიუმის ფიბროზის ხასისხის დადგენის ოქროს სტანდარტად რჩება მიოკარდიუმის ბიოფსია. თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ მხრივ LGE CMR კვლევაც კლინიკურად რელევანტურია და CMR-ით გაზომილი ფიბროზისა და ანთების ხარისხი ღირებულია LVEF-ის აღდგენის პროგნოზირებისთვის. ჩვენმა პაციენტმა, რომელსაც ანამნეზში ჰქონდა ATS-ის მოხმარების რამდენიმეწლიანი ისტორია, შუალედებში აბსტინენციის რამდენიმეწლიანი ეპიზოდებითა და LGE CMR ფიბროზის გარეშე, 12 თვის განმავლობაში აბსტინენციისა და GDMT-ის ფონზე აჩვენა ნათელი გაუმჯობესება, რაც შეესაბამება ზემოხსენებული კვლევების შედეგებს.

დასკვნა

ATS-ის მოხმარების საკითხი ჯანდაცვისთვის მნიშვნელოვან პრობლემად იქცა, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციული და ადრეული გამოვლენის მეთოდები. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს სტიგმა, რომელიც ნარკოტიკებზე დამოკიდებულებასა და კლინიკურ დეპრესიას უკავშირდება ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო. ATSAC ყოველთვის უნდა იყოს განხილული როგორც პოტენციური დიაგნოზი კლინიკურ გარემოში, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდა მამაკაცებს ამოუხსნელი კარდიომიოპათიით. მიუხედავად იმისა, რომ ATSAC-ის მქონე პაციენტებში საკმარისი მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის სტრატეგიები არ არსებობს, პაციენტთა უმრავლესობასთან, მძიმე მიოკარდიუმის ფიბროზის გარეშე, აბსტინენციისა და GDMT-ის პირობებში შესაძლებელია კარდიული ფუნქციის აღდგენა. ATS-ის მოხმარებლებთან დამოკიდებულების დაძლევაში დასახმარებლად და მედიკამენტურ თერაპიაზე მათი დამყოლობის გაუმჯობესებისა და მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანია მულტიდისციპლინური მიდგომა, რომელშიც ჩართული იქნებიან ოჯახის ექიმები, კარდიოლოგები, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტები და სოციალური მუშაკები. ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ATS გამოყენების შეწყვეტას შეუძლია მწვავე გულის სტრუქტურული რემოდელირების უკუგანვითარება და ფუნქციური სტატუსის გაუმჯობესება გულის მწვავე უკმარისობის მქონე ახალგაზრდებში, მიუხედავად მისი ხანგრძლივი გამოყენებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bonsignore, A., Barranco, R., Morando, A., Fraternali Orcioni, G., & Ventura, F. (2019). MDMA Induced Cardio-toxicity and Pathological Myocardial Effects: A Systematic Review of Experimental Data and Autopsy Findings. *Cardiovascular Toxicology*, 19(6), 493–499. <https://doi.org/10.1007/s12012-019-09526-9>
- Dominic, P., Ahmad, J., Awwab, H., Bhuiyan, Md. S., Kevil, C. G., Goeders, N. E., Murnane, K. S., Patterson, J. C., Sandau, K. E., Gopinathannair, R., Olshansky, B. (2022). Stimulant Drugs of Abuse and Cardiac Arrhythmias. *Circulation: Arrhythmia and Electrophysiology*, 15(1), e010273. <https://doi.org/10.1161/CIRCEP.121.010273>
- European Union Drugs Agency (2025), European Drug Report 2025: Trends and Developments, (2025). Publications Office of the European Union. <https://doi.org/10.2810/3504283>
- Huang, M.-C., Yang, S.-Y., Lin, S.-K., Chen, K.-Y., Chen, Y.-Y., Kuo, C.-J., & Hung, Y.-N. (2016). Risk of Cardiovascular Diseases and Stroke Events in Methamphetamine Users: A 10-Year Follow-Up Study. *The Journal of Clinical Psychiatry*, 77(10), 1396–1403. <https://doi.org/10.4088/JCP.15m09872>
- Online World Drug Report 2024—Drug market patterns and trends. (n.d.). www.unodc.org. <https://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/wdr2024-drug-market-trends.html>
- Reddy, P. K. V., Ng, T. M. H., Oh, E. E., Moady, G., Elkayam, U. (2020). Clinical Characteristics and Management of Methamphetamine-Associated Cardiomyopathy: State-of-the-Art Review. *Journal of the American Heart Association*, 9(11), e016704. <https://doi.org/10.1161/JAHA.120.016704>
- Schürer, S., Klingel, K., Sandri, M., Majunke, N., Besler, C., Kandolf, R., Lurz, P., Luck, M., Hertel, P., Schuler, G., Linke, A., & Mangner, N. (2017). Clinical Characteristics, Histopathological Features, and Clinical Outcome of Methamphetamine-Associated Cardiomyopathy. *JACC: Heart Failure*, 5(6), 435–445. <https://doi.org/10.1016/j.jchf.2017.02.017>
- Voskoboinik, A., Ihle, J. F., Bloom, J. E., & Kaye, D. M. (2016). Methamphetamine-associated cardiomyopathy: Patterns and predictors of recovery. *Internal Medicine Journal*, 46(6), 723–727. <https://doi.org/10.1111/imj.13050>
- Zweben, J. E., Cohen, J. B., Christian, D., Galloway, G. P., Salinardi, M., Parent, D., Iguchi, M., & Methamphetamine Treatment Project. (2004). Psychiatric Symptoms in Methamphetamine Users. *The American Journal on Addictions*, 13(2), 181–190. <https://doi.org/10.1080/10550490490436055>
- ნარკოვიტარების წლიური ანგარიში 2022. (2023). ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი. <https://justice.gov.ge/files/iz7zjVX7E2Nb.pdf>



მიოკარდიტი როგორც არითმოგენული კარდიომიოპათიის განვითარების ერთ-ერთი რისკფაქტორი

Myocarditis as a risk factor for the development of arrhythmogenic cardiomyopathy

doi https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.12

თამაზ ხელაძე^{1a}, მარიამ ლომიძე^{1b}, გიორგი ბაზერაშვილი¹

Tamaz Kheladze^{1a}, Mariam Lomidze^{1b}, Giorgi Bazerashvili¹

¹ აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, თბილისი, საქართველო
¹Chapidze Emergency Cardiology Center, Tbilisi, Georgia

^akheladze1986@gmail.com

https://orcid.org/0009-0007-4905-7760

^bmariamlomidze05@gmail.com

აბსტრაქტი

შესავალი: არითმოგენური კარდიომიოპათია პროგრესირებადი მიოკარდიუმის დაავადებაა გენეტიკური ან შეძენილი ეტიოლოგიით, რომელიც დაკავშირებულია პარკუჭოვან არითმიებთან და უეცარი გულის სიკვდილის მაღალ რისკთან. ამ შემთხვევის აღწერის მიზანია არითმოგენური კარდიომიოპათიის დიაგნოსტიკისა და მართვის თავისებურებების წარმოჩენა და გულის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მნიშვნელობის ხაზგასმა დიაგნოსტიკაში. **მეთოდი:** წარმოდგენილია ქალის კლინიკური შემთხვევა მიოკარდიტის შორეული ანამნეზით, რომელმაც განიცადა განმეორებადი სინკოპე და მდგრადი პარკუჭოვანი ტაქიკარდია, რომელიც პარკუჭოვან ფიბრილაციაში გადაიზარდა. ჩატარდა სრული კლინიკური და ინსტრუმენტული გამოკვლევები, მათ შორის ექოკარდიოგრაფია და გულის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია დიაგნოსტიკისა და რისკის შეფასების მიზნით. **შედეგები:** გამოკვლევებმა აჩვენა ბივენტრიკულური დილატაცია და მიოკარდიუმის ფიბროზი, რაც შეესაბამებოდა არითმოგენური კარდიომიოპათიის დიაგნოზს. პაციენტს ჩატარდა წარმატებული დეფიბრილაცია და შემდგომში, უეცარი გულის სიკვდილის პრევენციის მიზნით კარდიოვერტერ-დეფიბრილატორი. **დასკვნა:** წარმოდგენილი შემთხვევა უსვამს ხაზს გულის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის კრიტიკულ როლს არითმოგენური კარდიომიოპათია დიაგნოსტიკაში, განსაკუთრებით არაგენეტიკური ეტიოლოგიის შემთხვევებში. ადრეული რისკის სტრატეგიკაცია და მოწყობილობაზე დაფუძნებული თერაპია მნიშვნელოვანწილად ამცირებს უეცარი გულის სიკვდილის რისკს და აუმჯობესებს პაციენტის პროგნოზს.

საკვანძო სიტყვები: არითმოგენური კარდიომიოპათია, მიოკარდიტი, პარკუჭოვანი ტაქიკარდია, პარკუჭოვანი ფიბრილაცია, უეცარი კარდიული სიკვდილი, გულის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, ბივენტრიკულური დისფუნქცია.



This is an open-access article distributed under the terms of the Creative Commons Attribution 4.0 International License (CC BY 4.0), which permits unrestricted use, distribution, and reproduction in any medium, provided the original author and source are credited.

რეკომენდირებული ციტირება: ხელაძე თ, ლომიძე მ, ბაზერაშვილი გ. (2025). მიოკარდიტი როგორც არითმოგენული კარდიომიოპათიის განვითარების ერთ-ერთი რისკფაქტორი. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 9 (2). DOI: https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.12.

Abstract

Introduction: Ventricular arrhythmias and a high risk of sudden cardiac death are features of arrhythmogenic cardiomyopathy (ACM), a progressive myocardial disease with a genetic or acquired etiology. This case report aims to highlight the significance of cardiac magnetic resonance imaging (MRI) in diagnosis, as well as its diagnostic and treatment aspects in arrhythmogenic cardiomyopathy. **Methods:** We describe a clinical case of a female patient who had a distant history of myocarditis. The patient had ventricular tachycardia that progressed to ventricular fibrillation and recurrent syncope. For risk assessment and diagnostic confirmation, extensive clinical and instrumental investigations were carried out, including cardiac magnetic resonance imaging and echocardiography. **Results:** Arrhythmogenic cardiomyopathy was diagnosed based on the examinations, which showed biventricular dilatation and myocardial fibrosis. To prevent sudden cardiac death, the patient received an implanted cardioverter-defibrillator (ICD) after undergoing successful defibrillation. **Conclusion:** This case highlights the importance of cardiac magnetic resonance imaging in diagnosing arrhythmogenic cardiomyopathy, particularly when the cause is not genetic. The prognosis of patients is improved, and the risk of sudden cardiac death is considerably decreased with early risk stratification and device-based therapy.

Keywords: Arrhythmogenic cardiomyopathy, myocarditis, ventricular tachycardia, ventricular fibrillation.

Recommended Citation: Kheladze, T., Lomidze, M., Bazerashvili, G. (2025). Myocarditis as a risk factor for the development of arrhythmogenic cardiomyopathy. *Health Policy, Economics and Sociology*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.12>

შესავალი

არითმოგენური კარდიომიოპათია არის მიოკარდიუმის დაავადება, რომელიც ხასიათდება მიოკარდიუმის არაიშემიური, ფიბროზული ან ფიბრო-ცხიმოვანი ნაწიბუროვანი დეგენერაციით. ეს ძირითადი დიაგნოსტიკური კრიტერიუმები პირველად 1994 წელს დადგინდა (Corrado et al., 2021). არითმოგენური კარდიომიოპათია, როგორც წესი, გამოწვეულია დესმოსომური ცილების კოდირების გენების დესტაბილიზაციით, მიოციტების დარღვევით და მიოკარდიუმის რემოდელირებით. თუმცა, ეს შეიძლება იყოს პოსტ-ანთებითი მდგომარეობა ან იდიოპათიური. ეს ცვლილებები უზრუნველყოფს ელექტროფიზიოლოგიურ სუბსტრატს მთელი სიცოცხლის განმავლობაში პარკუჭოვანი არითმიების განვითარებისთვის. ისინი დაკავშირებულია გულის სიკვდილის ძალიან მაღალ რისკთან, განსაკუთრებით ახალგაზრდა და ფიზიკურად აქტიურ პირებში.

კარდიომიოპათიის პოპულაციური სიხშირე შეფასებულია 1:1000-დან 5000-მდე (Corrado et al., 2017). სტატისტიკურად, შემთხვევათა დაახლოებით 50-60%-ში გვხვდება მარჯვენა პარკუჭის ფორმა, ხოლო 20-30%-ში - მარცხენა პარკუჭის ან ორივე პარკუჭის.

ამ შემთხვევის ანგარიშის მიზანია წარმოადგინოს არითმოგენური კარდიომიოპათიის (ACM) ატიპიური, ორივე პარკუჭის ფორმის კლინიკური სურათი საშუალო ასაკის ქალ პაციენტში, რომელსაც მიოკარდიტის ისტორია აქვს. შემთხვევა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ის ასახავს დაავადების პროგრესირებას უსიმპტომო ფაზიდან სიცოცხლისთვის საშიშ არითმიებამდე და ასევე ხაზს უსვამს გრძელვადიანი მონიტორინგისა და სტრატეგიული კვლევის მეთოდების (მათ შორის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის) მნიშვნელობას პაციენტებში, რომლებსაც მიოკარდიტის ან უცნობი წარმოშობის არითმიული მოვლენების ისტორია აქვთ.

შემთხვევის მიმოხილვა

44 წლის ქალი, დაოჯახებული, 2 ორსულობა და 2 შვილი. პროფესიით მზარეული. მის სამედიცინო ისტორიაში წარსულში მიოკარდიტის დიაგნოზი ჰქონდა, რის გამოც კლინიკაში იმყოფებოდა ჰოსპიტალიზაციის ქვეშ. იმავე პერიოდში ექოკარდიოგრაფიულმა კვლევამ აჩვენა მარცხენა პარკუჭში არამოფლოტირე თრომბი, რის გამოც ვარფარინით თერაპიაზე იმყოფებოდა. მედიკამენტური თერაპიის ფონზე, ამ პერიოდში გამოვლინდა დადებითი ექოკარდიოგრაფიული დინამიკა. შემდგომი გამოკვლევების დროს მარცხენა პარკუჭში თრომბის მასა აღარ დაფიქსირებულა. პაციენტი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ექიმთან არ მისულა. ის რეგულარულად არ იტარებდა მედიკამენტურ თერაპიას.

მიოკარდიტის დიაგნოზიდან ხუთი წლის შემდეგ, პაციენტს აღენიშნებოდა გულისცემის აჩქარების რამდენიმე ეპიზოდი, ასევე სინკოპეს რამდენიმე ეპიზოდი, სიმძიმისა და დისკომფორტის შეგრძნებასთან ერთად მკერდის არეში, ქოშინის გაძლიერებასთან და ტაქიპნოესთან ერთად, რის გამოც გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება. სასწრაფო დახმარების მანქანაში პაციენტს ეკვ მონიტორზე აღენიშნებოდა პარკუჭოვანი ტაქიკარდიის და პარკუჭოვანი ფიბრილაციის რამდენიმე ეპიზოდი, რის გამოც ჩატარდა დეფიბრილაცია და ელექტრული განმუხტვის ფონზე აღდგა სინუსური რიტმი. კლინიკაში ჰოსპიტალიზაციის დროს ჩატარებულმა ეკვ აჩვენა ეპსილონ ტალღები V1, V2, V3 განხრებში, ასევე (-T) - V1, V2, V3, V4, V5, V6 განხრებში. ხშირი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია. ჰისისი კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადა. დაბალი QRS ვოლტაჟი (<0.5 mV) სტანდარტულ განხრებში.

ჩატარდა ექოკარდიოგრაფია - გამოვლინდა მარჯვენა პარკუჭის დილატაცია. სისტოლური დისფუნქცია. ლოკალური დისინერგია არ გამოვლინდა. მარცხენა პარკუჭის დიასტოლური დისფუნქცია იყო რესტრიქციული ტიპის. აორტის ფესვი და ფილტვის ღერო ნორმალური ზომის იყო. დოპლეროგრაფიამ აჩვენა მსუბუქი მიტრალური და საშუალო ზომის სამკარიანი სარქვლის რეგურგიტაცია. ფილტვის არტერიაში წნევა ნორმის ზედა ზღვარზე იყო.

პარკუჭოვანი ტაქიკარდიის/პარკუჭოვანი ფიბრილაციის ხშირი ეპიზოდების და სტენოკარდიული ტკივილის ხშირი შემთხვევების გათვალისწინებით, მათი იშემიური გენეზისის (TNTs-0.104 ნგ/მლ) გამოსარიცხად, ჩატარდა კორონაროგრაფია, სადაც კორონარულ არტერიებში ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა. პაციენტის კლინიკური მონაცემების გათვალისწინებით, რაც მოიცავდა

ქომინს, დესატურაციას, ტაქიპნოს. ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის გამოსარიცხად, ლაბორატორიულად განისაზღვრა D დიმერი-1.4 მკგ/მლ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარდა ფილტვის არტერიის კომპიუტერული ტომოგრაფია, სადაც ფილტვების თრომბოემბოლიის კომპიუტერული ნიშნები არ დაფიქსირებულა.

პაციენტის ანამნეზის, კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემების საფუძველზე გადაწყდა გულის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (CMR) ჩატარება, სადაც გამოვლინდა მარცხენა პარკუჭის შეკუმშვის ფუნქციის მკვეთრი შემცირება, EF-33%. LVEDV-140 მლ. RVEDV/BSA 80 მლ/მ². ასევე, მკვეთრად შემცირდა მარჯვენა პარკუჭის შეკუმშვის ფუნქცია. ის ასინქრონულად იკუმშებოდა EF-21%. RVEDV-246 მლ. RVEDV/BSA-138 მლ/მ².


ინტრავენური გადოლინიუმის კონტრასტის გამოყენებით სტრუქტურული შეფასება: მარცხენა პარკუჭის გვერდითი კედელში აღინიშნა სუბპერიკარდიული გადიდება, მარჯვენა პარკუჭი მნიშვნელოვნად გაფართოებული იყო, მარჯვენა პარკუჭის შეკუმშვა დობა შემცირებული და ასინქრონული (ნორმალური Qd/Qs-ის წინააღმდეგ), ასევე მარცხენა პარკუჭში სუბეპიკარდიული გაძლიერების უბნები. გულის მაგნიტურ-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ დაადგინა მარჯვენა და მარცხენა პარკუჭების არითმოგენური კარდიომიოპათია (კომბინირებული).

განდევნის ფრაქციის მკვეთრი შემცირებისა და პარკუჭოვანი ტაქიკარდიის ხშირი შემთხვევების გათვალისწინებით, პაციენტი შეფასდა, როგორც უეცარი კარდიული სიკვდილის მაღალი რისკის მქონე. ECS I კლასის რეკომენდაციას უწევს ICD იმპლანტაციას, კარდიომიოპათიის მქონე პაციენტებში, რომლებსაც აქვთ არითმოგენური კარდიომიოპათია, რომლებმაც გადაიტანეს გულის გაჩერება, პარკუჭოვანი ტაქიკარდიის ან ფიბრილაციის გამო, ან რომლებსაც აქვთ სპონტანური მდგრადი პარკუჭოვანი არითმიები, რომლებიც იწვევენ სინკოპეს ან ჰემოდინამიკურ არასტაბილურობას შექცევადი მიზეზების გარეშე.

ორკამერიანი კარდიოვერტერ-დეფიბრილატორი (ICD) იმპლანტირებული იქნა სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ, პაციენტის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. დინამიური ექოკარდიოგრაფიით, თრომბის მასა აღარ იყო გამოვლენილი. პაციენტის გაწერიდან 1 თვის შემდეგ დაფიქსირდა პარკუჭოვანი ტაქიკარდიის ეპიზოდი, რომელიც კუპირდა ანტიტაქიკარდიული სტიმულაციით იმპლანტირებული აგრეგატის გამოყენებით.

ანტიარითმიული პრეპარატებით მკურნალობის არაეფექტურობის გათვალისწინებით, რეკომენდებული იყო ინვაზიური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და რადიოსიხშირული აბლაცია. პაციენტს ასევე ურჩიეს გენეტიკური ტესტირების ჩატარება და თრომბოფილიის პანელის დადგენა. პაციენტი გულის უკმარისობის სამკურნალოდ შესაბამის მედიკამენტურ თერაპიას იღებდა. ექოკარდიოგრაფიულად, გულის შეკუმშვის ფუნქცია გაუმჯობესდა, ოპტიმალური მედიკამენტური თერაპიის 5-თვიანი მკურნალობის შემდეგ განდევნის ფრაქციამ 58% შეადგინა.

სურათი 1: ელექტროკარდიოგრამა



ეკგ ზე ჩანს ეპსილონის ტალღები V1, V2, V3 განხრებში, ასევე (-T) - V1, V2, V3, V4, V5, V6. პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია.ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადა. დაბალი QRS ვოლტაჟი (<0.5 mV) სტანდარტულ განხრებში.

დისკუსია

არითმოგენური კარდიომიოპათიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მისი ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკის სირთულეა. დაავადება ხშირად სრულიად უსიმპტომოდ ვითარდება, სანამ მისი ერთ-ერთი გართულება არ გამოვლინდება. ელექტროკარდიოგრამაზე დამახასიათებელი ცვლილებებია T ტალღის ინვერსია მარჯვენა პრეკორდიალურ განხრებში, ექსილონის ტალღები და პარკუჭოვანი არითმიები.

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური საშუალებაა, რომელსაც შეუძლია ცხიმოვანი დეპოზიტების, ფიბროზის და გულის კუნთში კედლის მოძრაობის ანომალიების აღმოჩენა, რაც არითმოგენური კარდიომიოპათიის დიაგნოსტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ეს კლინიკური შემთხვევა წარმოადგენს არითმოგენური კარდიომიოპათიის (ACM) რთულ გამოვლინებას 44 წლის ქალი პაციენტის შემთხვევაში, რომელსაც ადრე აღენიშნებოდა მიოკარდიტი და მარცხენა პარკუჭში თრომბი. შემთხვევა ხაზს უსვამს მიოკარდიუმის სტრუქტურული და ელექტრული რემოდელირების დაგვიანებულ პროგრესირებას, რაც საბოლოოდ იწვევს სიცოცხლისთვის საშიშ პარკუჭოვან არითმიებს და ბივენტრიკულურ სისტოლურ დისფუნქციას.

მიუხედავად იმისა, რომ ACM კლასიკურად ასოცირდება გენეტიკურ დესმოსომურ მუტაციებთან და უპირატესად აზიანებს მარჯვენა პარკუჭს, ბოლოდროინდელი მტკიცებულებები ადასტურებს არითმოგენური კარდიომიოპათიის, როგორც სპექტრის დაავადების კონცეფციას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ერთ ან ორივე პარკუჭს. ამ პაციენტში გულის მაგნიტურ-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ (CMR) დაადასტურა ბივენტრიკულური დაზიანება, ორივე პარკუჭში მძიმე სისტოლური დისფუნქციით (LVEF 33%, RVEF 21%) და RVEDV/BSA-ს მომატებით - მონაცემები შეესაბამება ბივენტრიკულური ACM-ის შორსწასულ სტადიას. გენეტიკური კვლევა არ ჩატარებულა.

ერთ-ერთი კვლევის თანახმად, მწვავე მიოკარდიტის მქონე 13 შემთხვევიდან ერთს ჰქონდა კარდიომიოპათიასთან ასოცირებულ ძირითად გენში პათოგენური ან სავარაუდოდ პათოგენური ვარიანტი (Lota et al., 2022). ეს ხაზს უსვამს გენეტიკური სეკვენირების პოტენციურ როლს მწვავე მიოკარდიტის მქონე პაციენტებში და ადასტურებს იმ კონცეფციას, რომ გენოტიპ-პოზიტიური პირები შეიძლება ფენოტიპურად ჩუმად დარჩნენ გარემო ფაქტორების გამოვლენამდე.

საჭიროა შემდგომი კვლევები იმ მექანიზმების გასარკვევად, რომლებიც ხელს შეუწყობს მიზნობრივ თერაპიას და უკეთ გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებს გენეტიკური ვარიანტები გრძელვადიან კლინიკურ შედეგებზე, რაც ხაზს უსვამს გენეტიკური ტესტირების მნიშვნელობას.

არითმოგენური კარდიომიოპათიის მართვა ფოკუსირებულია არითმიების პრევენციასა და უეცარი სიკვდილის რისკის შემცირებაზე. ცხოვრების წესის ცვლილებები, განსაკუთრებით დამაბული ვარჯიშის თავიდან აცილება, მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც დადასტურდა, ისინი ანელებენ დაავადების პროგრესირებას. მაღალი რისკის მქონე პაციენტებისთვის ძირითადი თერაპიული სტრატეგიებია ანტიარითმიული პრეპარატები, კათეტერული აბლაცია და იმპლანტირებადი კარდიოვერტერული დეფიბრილატორები (ICD).

დასკვნა

წარმოდგენილი შემთხვევა ადასტურებს, რომ მიოკარდიტის გადატანამ შეიძლება გამოიწვიოს არითმოგენური კარდიომიოპათიის განვითარების პროვოცირება, რომელიც კლინიკურად საკმაოდ გვიან ვლინდება სიცოცხლისთვის საშიში პარკუჭოვანი არითმიებით და პარკუჭოვანი ფიბრილაციით. ხანგრძლივი უსიმპტომო პერიოდის მიუხედავად, დაავადება პროგრესირებს და მნიშვნელოვნად ზრდის უეცარი გულის გაჩერების რისკს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადამწყვეტ როლს თამაშობს გულის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და გენეტიკური კვლევები, რამაც შესაძლებელი გახადა დიაგნოზის დაზუსტება და მიოკარდიუმის სტრუქტურული ცვლილებების შეფასება.

განხილული კლინიკური შემთხვევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს როგორც მიოკარდიტის პოტენციურ გრძელვადიან გართულებებს, ასევე არითმოგენური კარდიომიოპათიის გვიან და რთულად დიაგნოსტიკურ ბუნებას. დროული დიაგნოზი, შესაბამისი ვიზუალიზაცია და პროფილაქტიკური ჩარევა (ICD) აუცილებელია პაციენტის გადარჩენისა და ცხოვრების დამაკმაყოფილებელი ხარისხის შენარჩუნებისთვის.

ეთიკა

პაციენტისგან მიღებული იქნა წერილობითი და ინფორმირებული თანხმობა გამოქვეყნებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Corrado D, Zorzi A, Cipriani A, Bauce B, Bariani R, Beffagna G, De Lazzari M, Migliore F, Pilichou K, Rampazzo A, Rigato I. Evolving diagnostic criteria for arrhythmogenic cardiomyopathy. *Journal of the American Heart Association*. 2021;10(18):e021987.
2. Corrado D, Basso C, Judge DP. Arrhythmogenic cardiomyopathy. *Circulation research*. 2017;121(7):784-802.
3. Marcus FI, McKenna WJ, Sherrill D, Basso C, Bauce B, Bluemke DA, Calkins H, Corrado D, Cox MG, Daubert JP. Diagnosis of arrhythmogenic right ventricular cardiomyopathy/dysplasia: Proposed modification of the task force criteria., 2010, 121. DOI: <https://doi.org/10.1161/CIRCULATIONAHA.108.1533-41>.
4. Öncel CR, Küçük M, Yıldırım AB. The Role of Atrial Myocardial Deformation Parameters in Determining Cardioversion Success in Atrial Fibrillation Patients. *Gazi Medical Journal*. 2019;30(3).
5. Lota AS, Hazebroek MR, Theotokis P, Wassall R, Salmi S, Halliday BP, Tayal U, Verdonchot J, Meena D, Owen R, De Marvao A. Genetic architecture of acute myocarditis and the overlap with inherited cardiomyopathy. *Circulation*. 2022;146(15):1123-34.

ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია

Health Policy, Economics and Sociology

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებ-გვერდზე:
<https://heconomic.cu.edu.ge>

ელ ფოსტა: tverulava@cu.edu.ge

The online version of the journal is available on the website: <https://heconomic.cu.edu.ge>
Email: tverulava@cu.edu.ge

რედაქციის მისამართი: პაატა სააკაძის ქ. 1, ქ.თბილისი 0102, საქართველო
Adress: Paata Saakadze St. 1, Tbilisi 0102, Georgia

PRINT ISSN 2449-2469
ONLINE ISSN 2346-7983